გრძნობს, თუ სასულიერო მსახურება მან მთლიანად საკუთარს მოსაწონ თარგზე მოირგო. ქრისტეს მართლმსაჯულება კი ასე უღერს: ეს ფარისევლობაა და სისხლიანი ცოდვა. ისიც არ არის სიმართლე, რომ კვირის დღეებში ცხოვრება ამქვეყნიურობაა და კარგი რამ ამ ცხოვრებაში ისაა, რომ კვირა დღეს ადამიანი სამლოცველოში მიდის, ოფიციალური ქრისტიანობის ეკლესიაში. არამც და არამც, ოფიციალური ქრისტიანობა ბევრად უარესია, ვიდრე საშუალო დღეების ამქვეყნიურობა, ის ფარისევლობაა და სისხლიანი დანაშაული.

“ქრისტენდომის” საფუძვლად ის აქსიომა დევს, რომ ადამიანი ფარისევლად იბადება. ახალი აღთქმის ქრისტიანობა არის ჭეშმარიტება. მაგრამ ადამიანებმა ეშმაკურად და ცბიერად გამოიგონეს ახალი ტიპის ქრისტიანობა, რომელიც აკლდამებს უშენებს წინასწარმეტყველებს, მათს საფლავებს რთავს და ამბობს: “ჩვენ რომ ვყოფილიყავით ჩვენი მამების ადგილას...” და ეს არის ის, რასაც ქრისტე სისხლიან დანაშაულს უწოდებს.

ქრისტიანობას ჩვენგან რაც უნდა, ეს არის ქრისტეს მიმდევრობა. რაც კაცს არ უნდა, ეს არის წამება, ყველაზე ნაკლები წამება, რომელიც ნამდვილად ქრისტიანულია, ესაა წამების მიღება კაცისაგან. აქედან გამომდინარე, ის გვერდზე აგდებს “მიმდევრობას”, ამის შედეგად - წამების მიღებასაც, და იწყებს აკლდამების შენებას წინასწარმეტყველათვის. ეს ერთი რამ არის. და ამის შემდეგ ის ამბობს, იტყუება ღვთის, საკუთარი თავისა და სხვების წინაშე, რომ ის უკეთესია მათზე, ვინც წინასწარმეტყველნი დახოცა. ეს არის მეორე რამ. ფარისევლობა საწყისში და ფარისევლობა ბოლოში - ქრისტეს განაჩენის თანახმად - სისხლიანი დანაშაული.

წარმოიდგინეთ, რომ ხალხი შეკრებილია ქრისტენდომის ეკლესიაში და უეცრად ქრისტე შემოდის დარბაზში. რას ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს იგი?


ის უეჭველად მიუბრუნდება მასწავლებლებს (მრევლს ის განსჯის ისევე როგორც თქვენ, როგორც შეცდომაში შეყვანილთ), ის მათ აიძულებს, რომ “იარონ გრძელ სამოსში”, როგორც ვაჭრებს, აფერისტებს, რომელთაც ღვთის სახლი გადააქციეს, მძარცველთა ბუნაგად თუ არა, დუქნად მაინც, მეწვრილმანეთა ფარდულად. და ის მათ ეტყვის: “თქვენ, ფარისევლებო, თქვენ, გველებო, თქვენ, ჭრელი ქვეწარმავლების თაობავ”; და როგორც თქვენ ხვდებით, ის პატარა მთრანს გადაჰკრავდა და განდევნიდა მათ ტაძრიდან.

ის, ვინც ამას კითხულობს, თუ მან არაფერი იცის ქრისტიანობის შესახებ, გარდა იმისა, რასაც საკვირაო მასხრობაზე ასწავლიან, ვფიქრობ, შოკირებული იქნება ჩემგან. ის იფიქრებს, რომ მე ვარ დამნაშავე ყველა ღმერთის უმოწყალო დაცინვაში, იმით, რომ ასეთად წარმოვადგენ ქრისტეს და მას ასეთს რამეებს ვათქმევინებ: „გველებო, ჭრელი ქვეწარმავლების თაობავ“. ეს ხომ საშინელებაა. ეს ხომ მართლაც ისეთი სიტყვებია, რომლებიც არასდროს ამოდის ზრდილობიანი ადამიანის პირიდან. და თუ ეს სიტყვები რამდენიმეჯერ წარმოითქმება,

ეს ხომ საშინლად აუტანელია. და ქრისტე რომ მოძალადე კაცად ვაქციოთ, ეს ხომ საერთოდ...

ჩემო მეგობარო, შენ შეგიძლია ჩახედო ახალს აღთქმას. მაგრამ, როდესაც ის, რასაც ვიგებთ ქრისტიანობის ქადაგებითა და სწავლებით, არის ყოვლად მისაღები, სიამოვნებით სავსე ცხოვრება პრესტიჟულ პოზიციებზე, მაშინ ქრისტეს სურათი შესამჩნევად უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება “ძვირფასეულობებს” - არ იქნება დანდობა მათზე: ოქრო, ბრილიანტი, ლალი და ა.შ. არა. მღვდელი კმაყოფილია ამის დანახვაზე და კაცს არწმუნებს იმაში, რომ ეს არის ქრისტიანობა. მაგრამ მრისხანება, ის მრისხანება, რომელიც განუყოფელია მარადისობისაგან, ამ ყველაფრის მოშორებისაკენ მოგვიწოდებს. აქედან გამომდინარე, ქრისტე იქცევა ტანჯულ ფიგურად, უგემური ადამიანური სისუფთავის გამოვლინებად. ეს იმაზეა გათვლილი, რომ სასულიერო ცერემონიის დროს შესაწირის მოსაგროვებელი თეფში იმ დროს გადავიდეს ხელიდან ხელში, როდესაც მრევლი ფულის გაცემის განწყობას მიიღებს, რომ თავისუფლად დაიცალოს ხელის ჭუჭყისგან. უპირველეს ყოვლისა, ეს უკავშირდება იმ სურვილს, რომელსაც კაცთა შიში განაპირობებს, რომ კარგ ურთიერთობაში ვიყოთ ხალხთან. იმ დროს, როცა ახალი აღთქმის ქრისტიანობა ამბობს: ღვთის შიშით ჩვენ უნდა ვეწამოთ მოძღვრებისათვის კაცთა ხელით.

მაგრამ, „ვინ თქვენ, რომ აშენებთ წინასწარმეტყველთა სამარხებს“ (ვინც ხალხს ასწავლის, რომ ეს არის ახალი აღთქმის ქრისტიანობა) და ამკობთ მართალთა ძეგლებს“ (ყოველთვის რომ ყურებით აბამთ ერთმანეთზე ფულსა და ქრისტიანობას) და თქვით, “თუ ჩვენ-თქვენ, ვიცხოვრებდით წინასწარმეტყველთა დროში, დიანაც, ჩვენ მათ სიცოცხლეს გამოვასალმებდით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავაკეთებდით იმასვე, რაც გაკეთდა, ჩუმად მაინც ვუბიძგებდით ხალხს ამის გასაკეთებლად და ბრალის ასაღებად. მაგრამ ამაოდ იმალებით თქვენ “ქრისტენ-დომის” უკან, რადგანაც, რაც დამალულია, აუცილებლად გამოჩნდება, როდესაც სიმართლე თავის განაჩენს გამოიტანს: “მამასადამე, თქვენ უმოწმებთ საკუთარს თავს, რომ ხართ წინასწარმეტყველთა მკვლელების შვილები და თქვენ თქვენი მამების წესრიგს იცავთ; რადგანაც მათ მოკლეს წინასწარმეტყველნი და თქვენ ძეგლებს უგებთ მათ.” ამაოდ ცდილობთ, წარმოაჩინოთ თქვენი თავი როგორც წმინდა სულის პატრონი, ამაოდ ფიქრობთ, რომ მართალთა ძეგლების აგებით თქვენ უკეთესნი ხართ იმ უღმერთო ადამიანებზე, ვინც ისინი დახოცა. აი, სად ხდება ფარისევლობა საჭურისი იმისათვის, რომ დამალოს საკუთარი თავი! თქვენ გამჭოლად, გამჭოლად ჩანხართ. სწორედ მართალთა ძეგლების აგება, და იმის ძახილი “ჩვენ რომ,” - სწორედ ეს არის მათი მოკვლის ტოლფასი. ზუსტად ეს არის, იყოთ ნამდვილი მემკვიდრეები იმ უღმერთო ადამიანებისა, რამეთუ იმასვე აკეთებთ, რასაც ისინი. ეს ნიშნავს, რომ დაემოწმეთ მამების ნამოქმედარს და დასტური მისცეთ მათ, რომ იმოქმედოთ თქვენი მამების მსგავსად. ეს არის ის, რაც კიდევ უფრო უარესია.




Синий цвет (вид. ностос) на поверхности
 а также (вид. ностос) - 10.10.1951 г.



Синий цвет
 10.10.1951 г.
 вид. ностос
 вид. ностос

Э. Г. С. 8
 Курям Тибакхашвили





რონალდ რეიგანის წერილი ლეონიდ ბრეჟნევს

საკუთარი ინაუგურაციიდან ექვს კვირაზე ნაკლებ პერიოდში რეიგანმა საბჭოთა ლიდერის ლეონიდ ბრეჟნევისაგან მიიღო პერსონალური წერილი, რომელშიც საბჭოთა პოლიტიკის უხეში შეხსენება იყო მხოლოდ. რეიგანს კი უნდოდა, რომ მისი პასუხი დაეწყო ბევრად უფრო წყნარი და პიროვნული მიმართვით საერთო მიზნის ძიებისათვის. 1981 წლის აპრილში, მისი მკვლევლობის მცდელობის გამო საავადმყოფოში ყოფნის ვადის გასვლიდან ერთ კვირაში, ამერიკის პრეზიდენტი დაჯდა თეთრი სახლის სოლარიუმში და ყვითელ ქალაქზე დაიწყო ბრეჟნევისადმი საპასუხო წერილის მონახაზის გაკეთება. მიუხედავად იმისა, რომ წერილის საბოლოო ვარიანტი 1990 წელს გამოქვეყნდა, ეს პირველი ვარიანტი, რომელიც რეიგანის ხელით იყო დაწერილი, მხოლოდ ახლა იქნა აღმოჩენილი.

გთავაზობთ ამ წერილის პირველ ვარიანტს:

„ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

მე ვწუხვარ და ამავე დროს მესმის თქვენი ახლანდელი წერილის ცოტა არ იყოს გაუწონასწორებელი ტონი. ბოლოს და ბოლოს, გასაგებია, რომ ჩვენ ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემებს ურთიერთსაწინააღმდეგო ფილოსოფიური თვალსაზრისით განვიხილავთ.

შესაძლოა თუ არა, რომ ჩვენ უფლება მივცეთ ჩვენს იდეოლოგიებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ფილოსოფიებს და სამთავრობო პოლიტიკას, აგვარიდონ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ხალხის ნამდვილ და ყოველდღიურ პრობლემებს? ნუთუ საშუალო რუსული ოჯახი თავს უკეთ იგრძნობს, ან თუნდაც გაიაზრებს იმ ფაქტს, რომ მისმა მთავრობამ ავლანელ ხალხს საკუთარი სურვილით მოახვია თავს მმართველობა?..

თქვენს წერილში აღნიშნავთ, რომ ასეთი რამეები აუცილებელი ხდება შეერთებული შტატების ტერიტორიული ამბიციების გამო; და რომ ჩვენ იმპერიალისტური გეგმები გვაქვს და ამით საფრთხეს ვუქმნით თქვენს და ახლად წარმოშობილი ერების უშიშროებას. ამის დასასაბუთებლად არა მარტო მარტივი საბუთები არ არსებობს, არამედ ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მეტად მყარი მტკიცებულება იმისა, რომ შეერთებულ შტატებს არასდროს უცდიათ მსოფლიო დომინაციის განხორციელება, თუმცა ეს შესაძლებელია ჩვენთვის ყოველგვარი რისკის გარეშე.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, შეერთებულ შტატებს გააჩნდა

მსოფლიოში ერთადერთი დაუზიანებელი სამრეწველო ძალა. მისი სამხედრო ძლიერება საკუთარ პიკში იყო და მხოლოდ ჩვენ გვქონდა ყველაზე სასურველი იარაღი, ატომური ბომბი და იმის უთუო შესაძლებლობა, რომ ჩამოგვეგდო ეს ბომბი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ჩვენ რომ მსოფლიო დომინაციაზე გვეფიქრა, ვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა ჩვენთვის?

მაგრამ შეერთებულმა შტატებმა აირჩია სხვა გზა - უნიკალური გზა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ გამოვიყენეთ საკუთარი ძალა და სიმდიდრე იმისათვის, რომ აღგვედგინა მთელ მსოფლიოში ომის მიერ გაჩანაგებული ეკონომიკური სისტემები იმ ერების ჩათვლით, რომლებიც ჩვენი მტრები იყვნენ.

დაახლოებით ათი წლის წინ, ბატონო პრეზიდენტო, მე და თქვენ შევხვდით კალიფორნიის ქალაქ სან კლემენტეში. მე მაშინ კალიფორნიის გუბერნატორი გახლდით, თქვენ კი ასრულებდით თქვენი შეხვედრების სერიას პრეზიდენტ ნიქსონთან. ამ შეხვედრამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. კაცთა შორის მშვიდობა და კეთილი ნება არასდროს ყოფილა ასე ახლოს ჩვენთან.

ჩვენი შეხვედრისას მე გკითხეთ, იცოდით თუ არა თქვენ იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის იმედი და სასოება დამოკიდებული იყო იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთაც თქვენ მიიღებდით ამ შეხვედრებზე.

თქვენ ორივე ხელით აიღეთ ჩემი ხელი და დამარწმუნეთ, რომ თქვენ იცოდით ამის შესახებ, და რომ თქვენ მთელი სულითა და გულით მიუძღვნიდით თქვენს ცხოვრებას ამ იმედებისა და ოცნებების გამართლებას.

მსოფლიოში მოსახლე ადამიანები ღღესაც ამ იმედით ცხოვრობენ. და ნამდვილად, მთელი მსოფლიოს ხალხებს, მიუხედავად მათი ეთნიკური და რასობრივი განსხვავებებისა, უამრავი რამ აქვთ საერთო. ისინი ისწრაფიან ისეთი ღირსეული ცხოვრებისაკენ, სადაც შესაძლებლობა ექნებათ, აკონტროლონ საკუთარი ბედი.

მათ უნდათ, რომ იმ ხელობით და სავაჭრო საქმით იყვნენ დაკავებული, რომელსაც ისინი თვით აირჩევენ და მათი შრომა სამართლიანად იქნას ანაზღაურებული. მათ სურთ აღზარდონ საკუთარი შთამომავლობა მშვიდობაში, იმის გარეშე, რომ ზიანი მიაყენონ ვინმეს, ან თვით დაზარალდნენ. მთავრობა მხოლოდ ამ ადამიანების კეთილმოწყობისათვის არსებობს და არა პირიქით.

... ბატონო პრეზიდენტო, ნუთუ ჩვენ არ უნდა ვიღვაწოთ იმისათვის, რომ გადავლახოთ ის წინააღმდეგობები, რომლებიც ჩვენს ხალხს ამ უბრალო მიზნების ასრულებაში უშლის ხელს? შესაძლებელია თუ არა ჩავთვალოთ, რომ ზოგიერთი ამ ბარიერთაგანი შექმნილია მთავრობის მიზნებისა და ამოცანების გამო, რომელთაც ძალიან ცოტა საერთო აქვთ ჩვენი ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებსა თუ სურვილებთან?....

სიყვარულის პონა დანაკარგის შემდეგ

ეს წერილი რონალდ რეიგანმა გაუგზავნა საკუთარ მეგობარ ქალს, ფლორენს ერლის, რომელმაც 1951 წელს მეუღლე დაკარგა. ფლორენს ერლი რეიგანის თანაქალაქელი და ბავშვობის მეგობარი იყო. რეიგანი ამ წერილში საკუთარ თანაგრძნობას გამოხატავს და მეგობარს სწერს სიცოცხლეზე, სიყვარულზე, სექსზე და ბედისწერაზე.

ბვირფასო ფლორენს

მე გადავდე შენი სექტემბრის კორესპონდენციის პასუხი იმ მიზეზის გამო, რომ შინაგანად ვეწინააღმდეგებოდი „რჩევის მოცემის“ სურვილს. მე ვიცი, რომ ეს არ უნდა გავაკეთო და შენ ყველანაირი უფლება გაქვს, მიმითითო ჩემს საკუთარ საქმეებზე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერ ვითამაშებ „მოხუც პროფესორს“ (ალბათ ცურვის დარგში) და ვიტყვი ჩემს სათქმელს.

შენმა წერილმა მაფიქრებინა, რომ შენ ისეთ გზაზე დგახარ, რომელსაც უბედურებისა და გაურკვეველი მომავლისაკენ მიჰყავს, მე ვთვლი, რომ ეს არ არის სწორი. შენ ახალგაზრდა და მეტად მიმზიდველი ქალი ხარ, თან ძალიან ბევრის შეთავაზება შეგიძლია ღირსეული მამაკაცისათვის. ამავე დროს შენც და შენს გაუიშვილსაც ნამდვილად გჭირდებათ კაცი ცხოვრებაში.

შენ მიყვებოდი დეიდაშენისა და იმ „იდეალების“ შესახებ, რომლებიც მან გადმოგცა. ძალიან კარგი დროა იმისათვის, რომ შენ ამ სწავლებას იხსენებ მთელი თავისი სინათლით - არა თანამედროვე ცხოვრების სტილისა, არამედ თანამედროვე ცოდნისა. მეც ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ასეთსავე იდეალებს მინერგავდა დედაჩემი. მე უდიდესი პატივისცემა მაქვს მისი და მისი პრინციპებისა, მაგრამ უნდა წამოვსულიყავი იქიდან, რომ მეპონა საკუთარი „ცხოვრების კოდი“ საკუთარი სინდისის ძახილთან და იმის ცოდნასთან ერთად, თუ რა არის სწორი და რა არასწორი. ეს სულაც არ ნიშნავს მისი პრინციპების უარყოფას. ეს არის უბრალოდ ჩემი მოთხოვნები დაკმაყოფილება იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომელიც მისგან მივიღე. ამავე დროს, მე მივხვდი, რომ ზოგიერთი სახის „იდეალიზმი“ რეალობისაგან ძალიან ზემოთ დაფრინავს.

შენ ამბობ, რომ ყოველი ჩვენგანისათვის მხოლოდ ერთი სიყვარული არსებობს - ეს არ არის მართალი. ნუთუ გვჯერა იმისა, რომ ღმერთს იმ მილიონობით ახალგაზრდა ადამიანისათვის მარტოობა სურს იმიტომ, რომ საშინელმა ომმა მათს პირველ სიყვარულს სიცოცხლე წაართვა? შეიძლება შენ ამ აზრს შეეწინააღმდეგო, ფლორენს, მაგრამ მე მაინც უნდა გითხრა - კარგად უნდა ჩაიხედო შენს საკუთარ გულში და ჰკითხო შენს თავს, თუ რამდენად გვჯერა მხოლოდ ერთი სიყვარულისა, რომელიც უკვე დაკარგულია შენთვის; ან შეიძლება ეს მხოლოდ ნიდაბია შენი რეალური შიშისა, რომელიც წინა, შენი ბავშვობის ოცნებებისაგან შორს მდგომმა ურთიერთობამ გაგიჩინა და ახლა

გემინია მამაკაცების.

მე მივიღებ იმ აზრს, რომ ჩვენ ყველანი ვიზრდებით სასიყვარულო ურთიერთობებზე “მთვარის შუქისა და ვარდების” სურნელის შეხედულებებით და რომ ხანდახან ძალიან რთულია ამ ოცნების შეთავსება ფიზიკური კონტაქტის ყოველდღიურ რეალობასთან. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად „ზედმეტად იდეალისტური“ იყო ჩემი წვრთნა, მინდა გითხრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მე მომეჩვენა (თითქმის უკვე დაგვიანებულად), რომ თვით ქორწინების დროსაც სექსუალური კავშირისას მე თავს ცოტაოდენ მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი, თითქოს მთელი ეს საქმე ბოროტებასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ჩემი სწორ გზაზე დაყენება დაიწყო საკმაოდ ხანდაზმულმა ჯენტლმენმა, რომელმაც გამაცნო ეგრეთწოდებული პრიმიტიული ხალხის - რომელთაც შეხება არა აქვთ ჩვენს ცივილიზაციასთან და როგორც არიან პოლინეზიელები - ცხოვრების პრაქტიკასა და მორალურ პრინციპებს. ეს ხალხები, რომლებიც ნამდვილად ბუნებისა და, მაშასადამე, ღმერთის შვილები არიან, მიიჩნევენ, რომ ფიზიკური მოთხოვნილება ბუნებრივია, ეს ნორმალური შიმშილია, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს პატიოსნად და უშიშრად და რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ახლდეს თან ცოდვისა და ბნელი ჭორების აურა...

მე იმის თქმა მინდა, რომ მე წინააღმდეგი ვარ ზოგიერთი ორგანიზებული რელიგიების დოგმისა, რომლებიც მხოლოდ ქორწინებისას “ითმენენ” ბავშვის შექმნის ცოდვას და რომელთაც სწამთ, რომ ყველა ბავშვი იბადება ცოდვით. ჩემი პირადი მრწამსია, რომ ღმერთს არ შეუძლია ბოროტების შექმნა და ის სურვილები, რომლებიც მან ჩვენში დათესა, კარგის მეტი არაფერია და რომ კაცსა და ქალს შორის ფიზიკური ურთიერთობა ურთიერთთანადგომის უმაღლესი ფორმაა...


მსოფლიო სავსეა მარტოხელა ადამიანებით - ხალხით, რომელთაც ხელეწიფებათ ბედნიერება და ბედნიერების მიცემა. სიყვარული არ არის რაღაც ჯადოსნური კოსმოსური სილის შეყრა, რომელიც მხოლოდ ორ ადამიანს აბამს უღელში და ორ ადამიანს მხოლოდ ერთმანეთისათვის. სიყვარული შეიძლება ნელა აშენდეს სითბოსა და კომპანიონობაზე და არც ერთ ჩვენგანს არ უნდა ეშინოდეს მისი ძიება.

ამ წერილს ძალიან სწრაფად ჩავდებ კონვერტში და გამოვგზავნი, რადგანაც, თუ კიდევ ერთხელ წავიკითხე, მაშინ გამოგზავნის ვაჟკაცობა არ მეყოფა. ბედნიერ შობას და სულ ბედნიერებას გისურვებ.

გულწრფელად, დატჩი. (რეიგანის მეტსახელი)

(მასალები გადმოთარგმნილია ჟურნალ „თაიმიდან“)

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili



Non-finito - (ბარ.) 02/11/27/25





ფიქრები 11 სექტემბერზე

ნოამ ჩომსკი

დღეს ხშირად ამტკიცებენ, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა დრამატულად შეცვალა მსოფლიო და რომ არაფერი იქნება ძველებურად, როდესაც მსოფლიო შეაბიჯებს “ტერორის ხანაში” - ესაა სახელი, რომელიც იელის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სხვების აკადემიური ესეების კოლექციას წაემძღვარა და ანთრაქსის შეტევებს კიდევ უფრო შემამოფოთებლად თვლის.

ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ 11 სექტემბრის ბარბაროსობა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, არა მხოლოდ მისი სამწუხარო მასშტაბის გამო, არამედ უდანაშაულო მსხვერპლის ამორჩევის მიზეზითაც. უკვე ჭეშმარიტებად იქნა აღიარებული ის ფაქტი, რომ ახალი ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად ინდუსტრიული ქვეყნები დაკარგავდნენ ფაქტობრივ მონოპოლიას ძალადობაზე, თუმცა შეინარჩუნებდნენ დიდ უპირატესობას. არავის შეეძლო იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ როგორ ახდებოდა ეს მოლოდინი, მაგრამ ეს მოხდა. პირველად თანამედროვე ისტორიაში ევროპამ და მისმა წარმონაქმნებმა საკუთარ მიწაზე მიიღეს ისეთი დამანგრეველი ძალადობა, რომელსაც ისინი თვითონ იყენებდნენ რეგულარულად სხვათა მიმართ. ისტორია ზედმეტად ნაცნობია, რომ განვიხილოთ ის, თუმცა დასავლეთმა შეიძლება ეს არ გაითვალისწინოს, მაგრამ ამ აქტების მსხვერპლებმა ეს უნდა გააკეთონ. ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება ტრადიციული ქმედების ფორმაში ნამდვილად ახასიათებს 11 სექტემბრის ისტორიულ მოვლენას და მისი ზემოქმედებაც უდავოდ აღსანიშნავი იქნება.

რამდენიმე ძირეული კითხვა ისმება ერთად:

- 1) ვინ არის პასუხისმგებელი?
- 2) რა არის მიზეზები?
- 3) რა იქნება შესაბამისი რეაქცია?
- 4) რა იქნება გრძელვადიანი შედეგი?

გარკვეული მიზეზების გამო (1) მიჩნეულ იქნა და საფუძვლიანადაც, რომ დამნაშავე მხარეს წარმოადგენდნენ ბინ ლადენი და ალ ქაიდას ქსელი. არავინ იცნობს მათ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოზე (აშშ-ს ცსს)

ნოამ ჩომსკი / ფიქრები 11 სექტემბერზე

უკეთესად, რომელიც, საკუთარ კოლეგებთან ერთად, შეერთებული შტატების მოკავშირეთა რიგებიდან, სამსახურში იყვანდა რადიკალურ ისლამისტებს ბევრი ქვეყნიდან და აყალიბებდა მათ სამხედრო და ტერორისტულ ძალად. ეს არ ხდებოდა ავღანელთა დანმარებისათვის რუსული აგრესიის წინააღმდეგ, რაც თავისთავად მეტად ლეგიტიმური მიზანი იქნებოდა, არამედ სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მიზეზების გამო, თავისი მძიმე შედეგებით ავღანელთათვის, მას შემდეგ, რაც მოჯაჰედებმა გაიმარჯვეს. აშშ-ის დაზვერვა დანამდვილებით ადევნებდა თვალყურს ამ ქსელების სხვა ქმედებებს მას მერე, რაც მათ მოკლეს ეგვიპტის პრეზიდენტი სადათი, ოციოდ წლის წინ და უფრო მეტი ყურადღებით - 1993 წლის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის და ბევრი სხვა ობიექტის აფეთქების მცდელობის უაღრესად ამბიციური ტერორისტული ოპერაციის შემდეგ. მიუხედავად ისტორიის მანძილზე ყველაზე ინტენსიური საერთაშორისო სადაზვერვო გამოძიებისა, მტკიცებულებანი 11 სექტემბრის აქტის უშუალო აღმსრულებლებზე მეტად ძნელი საპოვნია. დაბომბვიდან რვა თვის თავზე, გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დირექტორმა რობერტ მუელერმა კონგრესისათვის მიცემულ ჩვენებაში მხოლოდ ის თქვა, რომ აშშ-ის დაზვერვას ახლა „სჯერა“, რომ შეთქმულება ჩაისახა ავღანეთში, ხოლო დაიგეგმა და განხორციელდა სხვაგან. დიდი ხანია უკვე, რაც ანთრაქსის შეტევების წყარო ლოკალიზებულ იქნა შეერთებული შტატების შეიარაღების ლაბორატორიებში, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ დასახელებულა. ეს იმის მანიშნებელია, თუ რამდენად რთული იქნება, ვუპასუხოთ ტერორის იმ აქტებს, რომლებიც სამიზნეებად მდიდარსა და ძალაუფლებიან ობიექტებს აირჩევენ მომავალში. მიუხედავად ამ ყველაფრისა, 11 სექტემბრის შესახებ თავიდან გაკეთებული დასკვნები მართებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მეორე (2) შეკითხვაზე რომ გადავიდეთ, მეცნიერები თითქმის ერთხმად აღიარებენ ტერორისტთა მიერ გაცხადებულ სიტყვებს, რომელნიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში ემთხვევა მათს მოქმედებას: მათი სიტყვებით, მათი მიზანია, განდევნონ ურჯულოები მუსლიმთა მიწებიდან, გადაადონ ის კორუმპირებული მთავრობები, რომლებიც ურჯულოთა დაყენებული და შენარჩუნებულია და შემოიღონ ისლამის ექსტრემისტული ვერსია.

უფრო მნიშვნელოვანი, ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვისაც იმედი აქვს, რომ შეამცირებს ამგვარ დანაშაულებებს, არის ის ისტორიული გარემოებები, საიდანაც ეს ტერორისტული ორგანიზაციები წარმოიშობიან. ეს გარემოებანი აყალიბებს მათი მოწოდების ნაწილისადმი მანძილ სიმპათიური დამოკიდებულების რეზერვუარს იმ ხალხშიაც კი, ვისაც ისინი ეზიზღება და მათი ემინია. ჯორჯ ბუშის მოსარჩელე სიტყვებით რომ ვთქვათ: „რატომ ვეჯავრებით მათ ჩვენ?“

ეს კითხვა არ არის ახალი და მასზე პასუხიც არ არის რთულად მისაგნები. ორმოცდახუთი წლის წინ პრეზიდენტი ღუაიჭ აიზენჰაუერი და მისი შტაბის წევრები საუბრობდნენ იმაზე, რასაც ის უწოდებდა „არა მთავრობის, არამედ ხალხის მიერ წარმოებულ სიძულვილის კამპანიას ჩვენს წინააღმდეგ“ არაბულ სამყაროში. ეროვნული უშიშროების საბჭომ მაშინ, რჩევის სახით, მთავარ მიზეზად დაასახელა შეერთებული შტატების მხარდაჭერა კორუმპირებული და სასტიკი რეჟიმებისა, რომლებიც ბლოკავენ დემოკრატიასა და განვითარებას და ამას აკეთებენ იმისათვის, რომ „დაიცვან საკუთარი ინტერესი ახლო აღმოსავლეთის ნავთობისადმი“. „უოლ სტრიტ ჯორნალ“-ის გამოკვლევამ მდიდარ დასავლურად მოაზროვნე მუსლიმთა შორის, 11 სექტემბრის შემდეგ, დაახლოებით იგივე მიზეზი დაასახელა, თუმცა ახლა ეს გრძნობები გაძლიერებულია შეერთებული შტატების სპეციფიკური პოლიტიკით ისრაელ-პალესტინის კონფლიქტსა და ერაყში.

კომენტატორები, ძირითადად, უფრო კომფორტულ პასუხს ირჩევენ: მათი (მუსლიმების) ბოღმა ჩვენი თავისუფლებისა და დემოკრატიის სიყვარულის სიძულვილშია ფესვგადგმული, მათი კულტურის ჩამორჩენილობაში, რომელსაც მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, მათს უუნარობაში, რომ მიიღონ მონაწილეობა ისეთი ფორმის „გლობალიზაციაში“ (რომელშიაც დიდი სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ) და სხვა ნაკლოვანებებში. ასეთი დასკვნა ალბათ ბევრად უფრო კომფორტულია, მაგრამ ნაკლებად გამჭრიახი.

რაც შეეხება შესაბამის რეაქციას (3) და ამ კითხვას, პასუხები, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირია, მაგრამ უდავოა, რომ პასუხი ამ მოვლენებზე ელემენტარულ მორალურ სტანდარტებში უნდა თავსდებოდეს: კონკრეტულად თუკი ესა თუ ის ქმედება მართებულია ჩვენთვის, მაშინ ის მართებული უნდა იყოს სხვებისთვისაც; და თუ ის არ არის სწორი სხვისთვის, მაშინ ის არასწორია ჩვენთვისაც; ვინც ამ სტანდარტს უარყოფს, უბრალოდ ამბობს, რომ ძალა ამართლებს ნებისმიერ ქმედებას; მაშასადამე, ეს არგუმენტები შეიძლება გვერდზე გადავწიოთ, თუკი საუბარია ნებისმიერი შესაბამისი ქმედების გამართლებულობასა ან გაუმართლებლობაზე. აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რა დარჩება იმ კომენტარების ნიაღვრისაგან, რომელიც მესამე (3) კითხვაზე პასუხად წამოვიდა (დებატები “სამართლიან ომზე” და ა.შ.), თუკი ეს მარტივი კრიტერიუმი შევარჩიოთ.

საილუსტრაციოდ რამდენიმე ისეთი შემთხვევა მოვიყვანოთ, რომელზედაც კამათი აღარ არის. ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა კენედიმ ბრძანება გასცა, რომ “დედამიწის ტერორი” უნდა დაატყდეს თავს კუბას, სანამ განადგურებულ არ იქნება მისი მთავრობა, რომელმაც დაარღვია კარგი

ნოამ ჩომსკი / ფიქრები 11 სექტემბერზე

ფორმა შეერთებული შტატების მიერ ინსპირირებული სამხედრო შეჭრისაგან წარმატებული თავდაცვით. ეს ტერორი საკმაოდ სერიოზული იყო და 90-იან წლებამდე გაგრძელდა. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რეიგ-ანმა დაიწყო ტერორისტული ომი ნიკარაგუის წინააღმდეგ, რომლის წარმოებისას ბარბაროსული სისხლისღვრა და ნგრევა იქნა გამოყენებული. ამ ომმა ათობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ქვეყანა ისე დაანგრია, რომ აღდგენაზე ლაპარაკი ძნელია. ამ ომის შედეგად აშშ მსოფლიო სასამართლომ და გაეროს უშიშროების საბჭომ (აშშ-მ ამ რეზოლუციას ვეტო დაადო) საერთაშორისო ტერორიზმში დაადანაშაულა. მაგრამ ვერავის დააჯერებთ იმაში, რომ კუბას ან ნიკარაგუას ჰქონდათ ისეთი სახის ბომბები ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში, რომ მოეკლათ შეერთებული შტატების პოლიტიკური ლიდერები. ძალიან ადვილია კიდევ უფრო თვალნათელი მაგალითების მოყვანა, დღევანდელი დღის სიტუაციის ჩათვლით.

აქედან გამომდინარე, მათ, ვინც ამ ელემენტარულ მორალურ სტანდარტებს აღიარებს, საკმაოდ შრომა მოუწევთ იმისათვის, რათა გაამართლონ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ავღანელთა დაბომბვა. ეს დაბომბვა იმ მიზეზით ხდებოდა, რომ ეიძულებინათ ისინი, მოკავშირეთათვის ჩაებარებინათ ის ხალხი, ვინც შეერთებულ შტატებს ეჭვი ჰქონდათ, რომ მონაწილეობდნენ კრიმინალურ სისხლისღვრაში - ეს იყო ომის ოფიციალური მიზანი, რომელიც გამოცხადდა პრეზიდენტის მიერ დაბომბვის დაწყებისას; ანდა ის, რომ გადაეგდოთ ადვილობრივი მთავრობა, მიზანი, რომელიც გაცხადდა რამდენიმე კვირის შემდეგ.

იგივე მორალური სტანდარტი მიესადაგება უფრო ნიუანსებით სავსე მიდგომას ტერორისტული აქტების შესაბამისი პასუხის შესახებ. ანგლო-ამერიკელი სამხედრო ისტორიის პატივსაცემი სპეციალისტი მაიკლ ჰოვარდი გვთავაზობს, რომ “გაერთიანებული ერების ეგიდის ქვეშ ჩატარდეს პოლიციური ტიპის ოპერაცია, რომელიც მიმართული იქნება კრიმინალური შეთქმულების წინააღმდეგ, რომლის მონაწილეებიც დაჭერილ იქნებიან და წარსდგებიან საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, სადაც ისინი სამართლიან სამსჯავროს მიიღებენ და, თუ მათი ბრალი დამტკიცდება, მიიღებენ შესაბამის სასჯელს” (გარდიანი, ფორენსი ეფფერს). ეს ლოგიკურად ჟღერს, თუმცა კი აქვე ისმის კითხვა, რა რეაქცია იქნება იმაზე, თუ ეს წინადადება გამოიყენება უნივერსალურად, ანუ ყველას მიესადაგება. ეს დღეს წარმოუდგენელია და, თუ ვინმე ამას იტყვის, ეს მყისვე გამოიწვევს საზოგადოების უარყოფით რეაქციას.

იგივე შეკითხვები შეიძლება დაისვას „ბუშის დოქტრინასთან“ დაკავშირებით რომელიც „თავდაცვითი დარტყმის“ პრინციპს ეყრდნობა საეჭვო

საშიშროების მიმართ. მაღალი ღონის დამგვეგმავები რეიგანის ადმინისტრაციის ნარჩენებს წარმოადგენენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ლიბის დაბომბვა გაეროს წესდებით იყო გამართლებული, როგორც “თავდაცვითი აქცია მომავალი შეტევის წინააღმდეგ”. კლინტონის ადმინისტრაცია გვირგვინდა „პრეემპტიულ პასუხს” (ბირთვული პირველი დარტყმის ჩათვლით). ამ დოქტრინას ადრეული პრეცედენტებიც გააჩნია. მიუხედავად ამისა, ასეთი მკაცრი ტონით ამ უფლების გაცხადება ახალი მოვლენაა და საიდუმლოს არ წარმოადგენს, თუ ვის წინააღმდეგ არის ეს საშიშროება მიმართული. მთავრობა და კომენტატორები ხმამაღლა და ნათლად ხაზს უსვამენ იმას, რომ ისინი ამ დოქტრინის ერაყის წინააღმდეგ გამოყენებას აპირებენ. უნივერსალიზმის ელემენტარული სტანდარტის დაცვა ახლა გაამართლებს ერაყის მიერ „პრეემპტიული დარტყმის” გამოყენებას შეერთებული შტატების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ დასკვნას არავინ მიიღებს. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, თუკი ჩვენ მივიღებთ ელემენტარულ მორალურ პრინციპებს, ძალიან აშკარა კითხვები ჩნდება და ამ შეკითხვებს უნდა უპასუხონ მათ, ვინც ახლა იცავს ან უბრალოდ თანაუგრძნობს “პრეემპტიული პასუხის” სელექციურ, შერჩევით გამოყენებას. ასეთი თანაგრძნობა უფლებას აძლევს მეტი ძალის მქონეს, გამოიყენოს ეს პრინციპი დანარჩენი მსოფლიოს ანგარიშგაუწვევლად. მტკიცებულების წონა აქ არ არის მსუბუქი, რაც ყოველთვის მართალია, როდესაც საქმე გვაქვს ძალის გამოყენების, ან მუქარის მხარდაჭერასა და მოთმენასთან.

არსებობს, რა თქმა უნდა, მარტივი პასუხი ამ იოლ შეკითხვებზე: ჩვენ კარგები ვართ და ისინი ბოროტები არიან. ეს გამოსადეგი პრინციპი თითქმის ყველა არგუმენტს ამარცხებს. ამ კომენტარებისა და მეცნიერული არგუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ განმარტების მიზეზი საერთოდ იმ ძირეულ პრინციპშია, რომელიც არ მტკიცდება არგუმენტებით, არამედ თავსმოხვეულია. ხანდახან, ზოგიერთი გამაღიზიანებელი ელემენტი ცდილობს, დაუპირისპირდეს ამ ძირეულ პრინციპს ახლანდელი, უახლესი ისტორიის გახსენებით. ჩვენ მეტს ვსწავლობთ დომინანტი კულტურის შესახებ ამ რეაქციაზე თვალყურის დევნებით და მეტად საინტერესო ბარიერების წყებით, რომელსაც წინ უყენებენ ხოლმე ამ ერეტიკულ აზროვნებას. ეს, რა თქმა უნდა, არ არის თანამედროვე ძალაუფლების ცენტრების და ინტელექტუალური კულტურის მოგონილი. მიუხედავად ამისა, ეს ყურადღებას იმსახურებს, ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვისაც აინტერესებს, თუ სად ვართ ახლა და რა გველის.

ახლა კი ნება მომეცით, მოკლედ შევეხო უკანასკნელ გააზრებას: შეკითხვა (4).

უფრო შორეული პერსპექტივით, მე ეჭვი მაქვს, რომ 11 სექტემბრის კრიმინალი გააძლიერებს უკვე არსებულ ტენდენციებს: ბუშის დოქტრინა, რომელიც

ახლა ვახსენეთ, ამის ილუსტრაციაა. როგორც უკვე ითქვა ადრე, მთავრობებმა, მთელს მსოფლიოში გამოიყენეს 11 სექტემბრის მიერ მიცემული საშუალება, რომ შემოიტანდნენ მმართველობის მკაცრ და რეპრესიულ პროგრამებს. რუსეთი სასწრაფოდ შეუერთდა „ანტიტერორისტულ კოალიციას“, მოელოდა რა ხელდასხმას მისი საზარელი სისხლისღვრის გასამართლებლად ჩეჩნეთში და ამაზე უკმაყოფილო არ დარჩენილა. ჩინეთიც სიხარულით შეუერთდა ამ კოალიციას, იმავე მიზეზებისა გამო. თურქეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც “ტერორიზმთან ომს” შეუერთდა, იმის სამადლიეროდ, როგორც თურქეთის პრემიერ მინისტრმა აგვიხსნა, რომ აშშ დაეხმარა თურქეთს საცოდავად რეპრესირებული ქურთული მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელსაც საოცარი სისასტიკით გაუსწორდა ძირითადად ამერიკული იარაღის წყალობით. თურქეთმა დიდი ქება დაიმსახურა მისი მიღწევებისათვის სახელმწიფო ტერორის სფეროში, 1990-იანი წლების ყველაზე საშინელი სისხლისღვრებისთვისაც ამისათვის მან მიიღო უფლება, რომ დაეცვა ქაბული იმავე სუპერსახელმწიფოსაგან, რომელიც მას აიარაღებდა, აწვდიდა დიპლომატიურსა და იდეოლოგიურ დახმარებას ამ სულ ახლანდელი სისხლისღვრის კამპანიის დროს. ისრაელმა კი გააკეთა დასკვნა, რომ პალესტინელთა დარბევა კიდევ უფრო უმოწყალოდ შეიძლება, კიდევ უფრო დიდი ამერიკული მხარდაჭერით. და ასე იყო თითქმის მთელს მსოფლიოში.

უფრო დემოკრატიულ საზოგადოებებში, შეერთებული შტატების ჩათვლით, მიღებულ იქნა ზომები დისციპლინის გასამყარებლად საკუთარ მოსახლეობაში და ამ არაპოპულარული ზომების მიღება მოხდა „ტერორიზმთან ბრძოლის“ დევიზის ქვეშ, რომელიც იყენებდა შიშის დამკვიდრებულ ატმოსფეროს და „პატრიოტიზმის“ მოთხოვნას, რაც სინამდვილეში ნიშნავს: „თქვენ გაჩუმდით და მე ჩემს დღის წესრიგს ყველა საშუალებით გავიტან““. ბუშის ადმინისტრაციამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, რომ შეტევა განეხორციელებინა საკუთარი მოსახლეობის უმრავლესობაზე და მომავალ თაობებზე, იმ ვიწრო კორპორატიული ინტერესების სამსახურში, რომლებიც მართავენ ამ ადმინისტრაციას ყოველგვარ ნორმაზე გადაჭარბებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, თავიდან გაკეთებული ვარაუდები ზუსტად გამართლდა.

ერთი ძირითადი შედეგი ამ ოპერაციისა ის არის, რომ შეერთებულ შტატებს, პირველად ისტორიაში, გააჩნია სამხედრო ბაზები შუა აზიაში. ეს ბაზები მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენონ ამერიკული ტრანსნაციონალური კომპანიები თანამედროვე „დიდ თამაშში“, რათა გააკონტროლონ რეგიონის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი და ამავე დროს რკალში მოაქციონ მსოფლიოს ძირითადი ენერგორესურსების ადგილსამოყოფე-

ლი, სპარსეთის ყურის რეგიონი. ა.შ.შ. ბაზების სისტემა, რომელიც სპარსეთის ყურეს უმიზნებს, წყნარი ოკეანიდან აზორის ზღვამდე განლაგებული, მაშინ, როდესაც ავღანეთის ომამდე, ყველაზე ახლომდებარე სამხედრო ბაზა კუნძულ დიეგო გარსიაზე იმყოფებოდა. ახლა სიტუაცია ბევრად უფრო გაუძვირბესდა, და ძალისმიერი შეჭრა, თუ ეს საჭირო გახდა, ბევრად უფრო გაადვილდება.

ბუშის ადმინისტრაცია განიხილავს “ტერორიზმთან ომის” ახალ ფაზას, (რომელიც ძალიან ჰგავს 20 წლის წინ რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებულ “ტერორთან ომს”), როგორც შესაძლებლობას, რომ კიდევ გაზარდოს საკუთარი განუსაზღვრელი სამხედრო უპირატესობა დანარჩენ მსოფლიოზე და იმისათვის, რომ გადავიდეს გლობალური ბატონობის ხელში ჩაგდების სხვა მეთოდებზე. ამერიკის მთავრობის პოზიცია კარგად იქნა გამოხატული მაღალი თანამდებობის პირების მიერ, როდესაც საუდის არაბეთის პრინცი აბდულა სტუმრობდა შეერთებულ შტატებს და ურჩია ადმინისტრაციას, ყურადღება მიექცია არაბული სამყაროს რეაქციისათვის, რომელსაც ის აშშ-ის მიერ ისრაელის მიერ წარმოებული ტერორისა და რეპრესიის მხარდაჭერას აძლევდა. მას უთხრეს, რომ შეერთებულ შტატებს სულ არ აინტერესებს, თუ რას ფიქრობს იგი ან სხვა არაბი ლიდერები. როგორც “ნიუ იორკ თაიმს”-მა გადმოგვცა, მაღალი თანამდებობის პირმა აუხსნა არაბ პრინცს, რომ “თუ მას ეგონა, რომ ჩვენ ძლიერები ვიყავით “დებერტ სტორმის” დროს (1991 წლის ომი ერაყთან), ჩვენ 10-ჯერ უფრო ძლიერები ვართ დღეს. ეს იმისთვის მოხდა, რომ მისთვის გვეჩვენებინა, რა ძალის დემონსტრირებას ვახდენთ ავღანეთში.” თავდაცვის ანალიტიკური სამსახურის უფროსმა წევრმა მარტივი ახსნა მოგვაწოდა: სხვები “პატივს გვცემენ ჩვენ ჩვენი დაუნდობლობისათვის და აღარ აგვირევენ სიტუაციას”. ასეთ პოზიციას ბევრი ისტორიული პრეცედენტი აქვს, მაგრამ 11 სექტემბრის შემდგომ მსოფლიოში მას ახალი ძალა გაუჩნდა.

ჩვენ არ გავგაჩნია შიდაუწყებრივი დოკუმენტაცია, მაგრამ ლოგიკურია, რომ დავასკვნათ, ასეთი შედეგების მიღწევა იყო ძირითადი მიზანი ავღანეთის დაბომბვისა: გაეფრთხილებინა ყველა, რისი გაკეთება შეუძლია შეერთებულ შტატებს, თუკი ვინმე ცუდად მოიქცევა. სერბიის დაბომბვაც იმავე მიზეზების გამო განხორციელდა. მისი ძირითადი მიზანი იყო, დაემტკიცებინა ნატოს დამაჯერებლობა”, როგორც ბლერმა და კლინტონმა განმარტეს. ისინი არ გულისხმობდნენ ნორვეგიისა თუ იტალიის დამაჯერებლობას, არამედ შეერთებული შტატებისა და მისი ძირითადი სამხედრო კლიენტისა. ეს არის მეტად გავრცელებული თემა სახელმწიფო საქმიანობაში და საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში; და ამას გარკვეული მიზეზი აქვს, როგორც ისტორია ნათლად გვიჩვენებს.

ბევრი გავრძელების გარეშე, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძირეული საკითხების უმრავლესობა იგივე დარჩა, მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ ნამდვილად ადგილი ჰქონდა ცვლილებებს, და, ზოგიერთ შემთხვევაში, შესამჩნევი და არცთუ სახარბიელო შედეგებით.

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili



VIP - დანიელი სტილი-გ/ტ





**უემოქმელება,
თანაგრძნობა,
არაკალადობა**

**CREATIVITY,
EMPATHY,
NONVIOLENCE**





ლექსები

ზურაბ რთველიაშვილი

* * *

ჩრდილი ხეს ახლავს,
 ლექსი – პოეტს,
 ფეხს – მოძრაობა,
 ანგელოზს – ფრთები,
 ბერს – ბიბლია,
 ბიბილოს ბაგე,
 ქალის ტადარი კარადაა,
 მის საგალობლებს
 ყრუ კარის მიღმა გადამალავს მეგარდერობე.

კირთანა აშრამს!
 ჰარე კრიშნას!
 ჯალათებს კუნძი!
 სიყვარულს სექსი –
 როცა ზღვაში
 არ ცხრება ღელვა –
 მშვიდად ილოცე, დედოფალო,
 მხოლოდ შენ გესმის
 ჩემი სხეულის უსაშველოდ
 მარტივი ენა.

ოდა ადიდებულ პოეტებს

რაც გათამაშდა, ჩემ მზერაში აღსრულდა უცებ.
 თვალახვეულმა გავატარე თითი პროსპექტზე.

რა შემაჩერებს, როცა მაღალ ცაში მივიწევ,
 რომ დავანახო ფრთების სიგრძე ნატიფ პოეტებს!
 არკალიგიდან ტიმერტაუს ვარღვიე სტეპი,
 ყაყაჩოს ყელში წავუჭვირე ძლიერი თითი,
 არ გავხდი ღროშა, რომ კონგრესის შემევსო ხედი!
 ან ბუნდესტაგის ამერბინა მაღალი კიბე.
 მონომახები გაურბიან დიდების ქუდებს,
 ადიდებულმა პოეტებმა დაკეცეს ფრთები!
 ნეტარ არიან, ვინც ცდუნებას გაუძლო ესეთს.
 ნეტარ არიან, ვინც დაეცა უსახურ ველზე.
 რაც გათამაშდა, ჩემ მხერაში აღსრულდა უცებ.
 თავაწიულმა გავატარე ღროშა პროსპექტზე,
 რა შემაჩერებს, როცა მაღალ ცაში მივიწევ,
 რომ დავანახო ფრთების სიგრძე ნატიფ პოეტებს!..

ოდა რომს

უფლებას გაძლევ, დაარღვიო
 რიჟმა და
 რიტმი
 დაიწყე ბრძოლა
 ამ სხეულთან
 ჩამოჰკრა
 გონგმა!
 სად გაქრა შენი
 რუბიკონის დახრილი ხიდი,
 სარეცელივით რომ დავლეწეთ
 ღამეში ორმა?!!!
 მე ცხადად ვხედავ, როცა ვიხდი
 – მიყურე ესე!..
 ჩუმად ვაკითხებ ამ სიშიშვლეს
 შენ ფარულ სურვილს.
 გამომაცალე ეგ საყრდენი,
 აგიგო წესი!
 რომ ავაცეკვო ცოდვებისგან

დაცლილი სული.
 ბერწი მამრების თვითმპყრობელი ბეჭედი აზის
 თავდაჭერილი წიწილების გაპარსულ ბოქვენს –
 გინდა?! გავხდები ვეზირივით ბრძენი და ნაზი,
 უზმოზე
 სექსი –
 როგორც გინდა,
 მწუწნე და
 მლოკე!..

უფლებას გაძლევ, დაარღვიო
 რიტმა და
 რიტმი
 ასმა ტომ-ტომმა ერთდროულად
 გააბას გამმა!
 სად გაქრა რომი?
 დედუფალო მანიშნე თითით,
 ისე გაამებ,
 როგორც იტყვი,
 რად გინდა ღრამა?

მიჩვენე, სად გყავს
 ცხელი მკერდით
 გაწვრთნილი ჯარი?
 სარკინოზებთან რომ დახარჯე
 დიდი ხნის წინათ,
 ცხელი კოცნებით
 შენს ტუჩებსაც
 გაუჩნდა ბზარი
 და ჩემი ხმალი
 მაგ ქარქაშში
 მზესავით ბზინავს!...

მე ცხადად ვხედავ,
 როცა ვიხდი,
 მიყურე ესე!
 ჩუმად ვაკითხებ ჩემ სიმრუშეს
 შენს ფარულ სურვილს.
 გამომაცალე ეგ საყრდენი,
 ავიგო წესი!
 რომ ავაცეკვო ცოდვებისგან დაცლილი სული....

პოეტური ექსპროპრიაცია

კანონი არა აქვს ჩემს ჩაცმას წესებით,
 გაგყავი
 ფეხები
 პატარა
 ქუჩაში.

მათ – ვისაც არ ესმის,
 ვპასუხობ ლექსებით –
 სამოთხის დარაბებს
 ვურტყამ
 ჩაქუჩივით!...

ნუთუ მე ვარდი ვარ
 ამ თბილი ქალაქის?!
 როცა ეს პროსპექტი
 სანაგვემ არია!
 კანონით ჩაცმული
 კაპიკად არა ღირს (!)
 განსენი
 კარები,
 ძვირფასო
 მარიაძე....

ეს თავსხმა დაიწყო, როცა მე ავენთე
 და ველარ ჩამაქრობს, რაც უნდა უხშიროს –
 გამორთეთ
 ეთერი.
 მე

უნდა
 გავერთო -
 გუგუნით ავაგებ სუყველა სინშირეს!....
 კანონი არა აქვს ჩემს ჩაცმას წესებით
 შევწვიტე
 ქუჩაში
 ცეკვა
 და
 ჩურჩული.

ზურაბ რთველიაშვილი / ლექსები

მათ – ვისაც არ ესმის
ვპასუხობ ლექსებით –
ოქროს
სალაროზე
ვურტყამ
ჩაქუჩივით!....

მინი პოემა უეპილოგოდ . . .

კოსმოსი ყლაპავს ვარსკვლავის აბებს
მიყურე, როგორ დავ

ბან

გო
ეს ცა!

რომელი გან
გა

გაიტანს განზე

ეპოქის ნაგავს,
წმინდანს და მეძავს(!).

კოსმოსი ყლაპავს პლანეტის აბებს,
ძველი ლოცვებით გაივსო ხახა!
იმპერიების გამოჩნდა სახე და
მოთმინება ვაშლივით დახრა.

დროა!

მანახე

ისეთი

გუნდი,

ამბოხებული რომ გაჰყვეს ხალხი -
როცა, სტროფი ქადაგებას უდრის!
როცა ტემბრი კივილია ქარხნის!

მოკვდა მეფე! გაუმარჯოს მეფეს!
მთავარ დოგმას ისევ ბოღავს ექო,

ფურაბ რთველიაშვილი / ლექსები

აშვებული ქოფაკები ყეფენ! ყეფენ,
ვისაც ვერცხლის ფული ერგო.

ბედუნის მზერით ვზომავ მექას,
ბალდადიდან ალასკამდე ვკივი-
გუშინ ყველას მუჭამედი ერქვა!
გუშინ ყველამ ჩაიარა მწკრივი. . .

ყველა პოეტს ვინც მესიას გაჰყვა,
უპირობო მიუსაჯეს რწმენა,
ყველა პოეტს დააკისრეს მარხვა,
ვინც ვერ შეძლო კალამბურის წერა! . . .

კოსმოსი ყლაპავს ვარსკვლავის აბებს,
ლიმუზინებმა გატკეპნეს ეს გზა-
გაწიეთ გზიდან ნაგავი განზე!
ჩვენ დავასრულებთ დაწყებულ მესას. . .

ჩვენ ამ გზებს დავგვით ცეცხლით და ცოცხით,
რომ გახდეს ცხადი განზრახვა წმინდა!
როგორც რკინიგზა ცახცახებს ხორხი და
ქარხნის ხმაზე გაჰკივის გზიდან . . .

კოსმოსი ითვლის ვარსკვლავის აბებს
რკინის დაზგებმა და

ბან

გეს

ეს ცა,

ბულდოზერივით გავიტან განზე ყველა პარაზიტს და სულით მეძავს!

ზურაბ რთველიაშვილი / ლექსები

* * *

ოლიგარქები იწერენ პირჯვარს,
 რევოლუციამ დარეკა ტაში!
 დააკანონე, ღირსებას ნიშნავს,
 რაც ებრძვის ნიშანს სასტიკს და საშიშს,
 დააკანონე უეკლო ვარდი-
 რომ ყველამ კრეფით იჯეროს გული,
 დააკანონე! და ისე წადი,
 რომ მიხაკების არ გაგყვეს სუნი. . .

* * *

რომელი რასა
 რა დიდების
 არის მოსურნე. . . ? . . .
 მე,

კავ

კა

სია

დაგანახე ისევ ალერსით-
 ქედზე ავმაღლდი, ძერასავით
 სივრცე მოვზომე, რომ
 ყიამეთი გამერღვია მშვიდი დაისის. . . .



Handwritten text in a script, likely Telugu, describing the scenes in the photographs. The text is written vertically and appears to be a narrative or a list of observations related to the images.

29658 Poojasa Poojasa
Guram Tsbakhashvili

HELLO, MY BEAUTIFUL GEORGIA

Irakli Z. Kakabadze

I was sitting in an airplane and thinking about the truth, which I have abandoned many years ago. I was gone far, I crossed the oceans and mountains, and I was asking myself: is there any real beauty and love? Can I really love, when everywhere in the world everything is sold and considered merchandise? Can I not consider my fellow human beings as my enemies and competitors and rejoice this life, even when our friend Michel Foucault thought that doing this is impossible.

Wars, fighting and competition have destroyed much of the world. East, South, West. North was watching. False prophets were coming and telling us that we can't hope for better. People are born to kill each other. That's what they are telling us. They wanted to kill last hope of love.

- Nothing could be improved, nothing could be better! We are the worst creatures, we are beastly animals! -

They were watching clouded sky and telling us Machiavelian truth.

- In order to survive here, you have to dominate someone. If you are not going to dominate, they are going to dominate over you for sure. So, you should be careful not to fall. Careful, careful, careful! -

- But why should I be happy at the expense of others? -

- Because there is not enough happiness. Either you have it or somebody else has it. There is no chance that both of you possess happiness. -

I was trying to remember Robespierre and Marat, I was trying to remember all the revolutions of the world, which didn't bring any happiness to people. Some people really enriched themselves at the expense of others. And I was really afraid to think about it, because it was too scary.

I was thinking of people who tried to bring happiness to other people and instead brought more blood and misery. And invisible voice was telling me:

- That is what I am trying to tell you. You need to understand that human beings are the most monstrous animals, who are constantly competing for power and are at each others throats. -

This invisible voice was constantly beside me in airplane . 'And we were so stupid to fight for freedom, equality, happiness! And what happened after? Almost entire country was destroyed. So much blood, so much tragedy, so many tears... Did we want this? Did we fight for this?'

The war, bullets, poverty, violence, hunger. All of this was in my imagination.

And Machiavelli was laughing at me.

- And this is you, noble human beings! -

I was flying over Caucasian mountains. Vajha Pshavela was writing his great poems of love there. And Queen Tamara gave her riches to the poor there. And all those hundreds of people's of Caucasus were having a joyful, mad dancing together. You can feel the crazy wind in your blood, when flying over those mountains.

Did we believe that happiness was granted to us at the expense of others? Why was our generation praying on those who achieved their happiness while dominating? Didn't we have a magnificent beauty in our lives? Didn't we see giving love, respect, sacrifice? Wasn't marvelous Anka there for us? Didn't we feed hungry, didn't we sing the ode to happiness?

I thought that we had all of this and we had seen beautiful Anka. But after a while some guy with the gray hair came and told us that we, humans should not aspire too high. He was saying that we have already achieved everything. There is no way farther.

- You humans need to understand that you can't overcome power struggle. You see those people who fight for liberation, and then fight for power! Those people who fight for happiness, bring unhappiness to others! Can't you see where did you get?! -

And the world looked so scary. So many little wars and so many big tears. So much blood. And those who fought for happiness of others were blamed for it.

And I thought this could be horror, this could make us cry, this could make us die. Make us die, even without living our lives. And I couldn't understand what was the joy of being a winner in this battle for survival. I was afraid of living in this kind of world. This place looked so scary.

Gray haired man was not as old as he looked. He had wisdom written on his face. He did look at me. I could see he did not enjoy telling me those things. He just thought that they were truthful! He wanted to be an optimist in his heart. And I could see this in his eyes. He was just saying that things went wrong. We didn't think about consequences. And now we are divided in those small groups competing for power. White people against black people, this country against that country, men against women, individual against individual... All of us in this struggle for power.

I decided to ask him.

- Are you really a pessimist? Do you really believe there is no better future for us? He looked at me with the sad eyes and calmly responded.

- I am not a pessimist. I just want to let you know that it did not work. Look at what happened in your country. You were enslaved for last two hundred years. You fought for liberation, did you? -

- Yes I did. -

- And what did you get? You got several people grabbing power and ruling your country, getting almost all of the bounties. They don't care about others! The don't care

about the poor! They just wanted power. And this happened in every country. Did you see how people were killed for the sake of power, did you see how women were being raped, and how children were kidnapped to be sold? -

- Yes I did. -

- That is why I feel so skeptical. Even though I am dead, I still want to be an optimist. But I think there is no enlightenment for those humans. It did not work, my friend. And I am sad about it. -

He was true for the most part. He was arguing with Mr. Rousseau. He wanted to be an optimist. But he did not believe Mr. Rousseau.

I just wanted to ask him one question.

- Have you forgotten about beautiful Anka? -

- I don't know anything about her and I don't care. I just don't believe in Mr. Rousseau. His truth is disgusting. -

But is this place only for sorrow? Is this place only filled with the struggle for power?

I was thinking a lot about it.

No, it is not just struggle. I have seen some other things too.

I have seen real joy and real love in this place. We really believed that love and joy are here with us. We really thought that everybody is entitled to have love and joy. And we tried to act. We tried to do something about it.

We were open to everyone. We wanted to love everyone. At times we managed to do so, at times we did not. Sometimes we failed loving. Yes, we were wrong sometimes! But is this enough to say that we do not deserve better future? Do we have to give up our hopes? Do we have to conform to this divided reality, where everyone is thinking about struggling for power? No.

Today life is full of desire for new breath. I realize that I need new aspirations and new dreams. Dreams do not end. The history never ends too. We can't think about past forever. We cannot surrender to sorrow. We want to be madly in love, we want to be joyful, we want to dance on Caucasian mountains, we want to sing crazy songs of our imagination, we want to build the new palaces of abundant passion and compassion, and we want to know that this crazy love never ends.

It does not matter that we face death every day. Does not matter that there are many difficulties. We still have the strength to love and to be joyful. We still have a strength to act, and we still have the power to help the impoverished.

And you know what is the strangest thing? We still have a strength to sincerely smile and remember beautiful Anka. Even after all those horrible times. Some of us still managed not to become soulless consumers. Poverty did not make us forget charm of life. And our children are still wonderful.

We have seen many other things.

Gray haired man was looking at me. He was smiling.

- Do you want to prove that Mr. Rousseau was right? -

I don't know? Maybe he was wrong in many things. But Mr. Hope was not wrong. I have seen were the poor were helped without being exploited, and I can still imagine that compassion can coexist with freedom.

And I have also seen a mad dance on the Caucasus mountains.

I have seen the face of a beloved woman, who would bring peace and happiness to my soul. And then I thought that violence and struggle for power are not necessary part of this life. Peace and harmony seemed like a reality then. It was not only a dream.

And I was looking at Machiavelli. He was retreating when seeing this kind of love and harmony. He couldn't handle seeing real compassion. He couldn't handle when he was seeing real faith. He couldn't handle wild and mad fascination. He couldn't handle seeing that one soldier was sacrificing his own life to save the life of an unknown reporter woman. And this woman was from the same country as my gray haired friend.

Machiavelli couldn't stay in the room where there was a real love. He couldn't handle real beauty.

- Aren't people fighting for power? -

No, my dear friend, not always. I believe they can be good too. I don't believe we are born for just competing and fighting each other.

- Don't we always want to dominate each other? -

Maybe not, my friend Michel Foucault. Maybe when we are narrating stories to each other, we are not only fighting, but also expressing our love and compassion. And maybe, we don't even want to fight and dominate necessarily. Perhaps, Mr. Rousseau was wrong in some matters, but the world can be still harmonious and amazing!

My friend with gray hair was smiling and hope was appearing on his face.

- I hope you'll be able to find more harmony. I believed that some people would come and do something. There are many things to do. I never said there is nothing that we can do. I am dead, but I am happy to see people trying. -

He was smiling and zipping his wine. And our friend Machiavelli was retreating from the room. And our other friend, called hope was entering our room again.

- We are going to start it again. -

And again, and again and again. How incredible is to feel the power of hope and joy. We did not know how exciting it is to dance this mad dance in those crazy mountains.

And hello, my dear friend Hope! I know that I face the death every day, but I am happy anyway.

I love you, my incredible life!

I love you, my amazing world!


And hello, my magnificent Georgia!

And hello, my beautiful Anka!

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili

მე = მე

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოსოფიის ფაკულტეტი





მოკლე ავტობიოგრაფია¹

ჰერმან ჰესე

გერმანულიდან თარგმნა: რუსუდან ბეჟაშვილმა

ჰერმან ჰესე / მოკლე ავტობიოგრაფია

დავიბადე ახალი ღროის მიწურულს, შუა საუკუნეებისკენ ხელახალ შებრუნებადვე ცოტა ხნით ადრე, მშვილდოსნის ნიშნით და იუპიტერის ერთგული მფარველობის ქვეშ. ჩემი ქვეყნად მოვლინება შედგა ცხელი ივლისის მიმწუხრისას, და სწორედ იმ მომენტის სითბოა, რომელიც მე არაცნობიერად შევიყვარე და მთელი ცხოვრება ვილტვოდი მისკენ, ხოლო როდესაც მაკლდა იგი, საოცარ ტკივილს განვიცდიდი. ცივ ქვეყნებში ცხოვრება არ შემეძლო. ჩემი მოგზაურობანი – ყველა სამხრეთისაკენ იყო მიმართული. ღვთისმოსავ მშობელთა შვილს ნაზად მიყვარდა ისინი და უფრო მეტადაც მეყვარებოდნენ, რომ ნაადრევად არ გაეცნოთ ჩემთვის მეოთხე მცნება.² მცნებები კი სამწუხაროდ, ყოველთვის ფატალურ ზემოქმედებას ახდენდნენ ჩემზე, რაც არ უნდა სწორი და კეთილი ყოფილიყვნენ ისინი – მე, ბუნებით კრავი და საპნის ბუშტივით დამყოლი ყოველგვარი მცნებებისადმი, – მეტადრე სიყმაწვილის წლებში – მუდამ ვჯიუტობდი. საკმარისი იყო ჩემთვის ეთქვათ; “შენ ასე გამართებს”, რომ ჩემში შიგნით ყოველივე უკუიქცეოდა და მყიფე და შეუვალი ვხდებოდი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ღიდი და უარყოფითი ზეგავლენა იქონია ხასიათის ამ უცნაურობამ ჩემს სკოლისდროინდელ წლებზე. მასწავლებლები, მართალია იმ თავშესაქცევ საგანში, რომელსაც მსოფლიო ისტორია ერქვა, გვასწავლიდნენ, რომ სამყაროს მუდმივად მართავენ და გარდაქმნიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ კანონებს გამოსცემენ და ასევე წინამორბედთა კანონებითაც ხელმძღვანელობენ, თანაც გვეუბნებოდნენ, რომ ეს ხალხი პატივცემის ღირსია. ოღონდ ეს ისეთივე ტყუილი იყო, როგორც ყოველივე ის, რასაც ჩვენ გვასწავლიდნენ, რადგანაც, თუ რომელიმე ჩვენგანი ვაბედავდა კარგი, ან თუგინდ, ბოროტი განზრახვით რომელიმე მცნებას, ჩვევას ან მოდას წინ აღდგომოდა, მასწავლებლები მას არათუ პატივისცემის ღირსად, ან ჩვენთვის სამაგალითოდ თვლიდნენ, არამედ სჯიდნენ, დასცინოდნენ და საკუთარი, ლაჩრული ძალაუფლების ქვეშ აქცევდნენ..

საბედნიეროდ, ბევრი რამ ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და ფასეული ჯერ კიდევ სკოლაძღველ წლებში შევიმეცნე: ვფლობდი ცოცხალ, მგრძობიარე და ფაქიზ აღქმის უნარს, რასაც შემეძლო თავისუფლად მივნივლოდი და რაც არაერთ სასიამოვნო წუთს მანიჭებდა. შემდგომ, როდესაც უკურნებლად

¹ თავად ავტორის თქმით, მან ეს ბიოგრაფია დაწერა მკვლავებისათვის, ვისთვისაც იგი გამოცანას წარმოადგენდა. თხრობისას იგი მსუბუქ ირონიულ სტილს ირჩევს.

² ალბათ ლაპარაკია მეზუთე მცნებაზე ძე.ალექსანდრე: “პატივი ეც მამასა და დედასა შენსა”.

დავსნეული მეტაფიზიკის ცდუნებით და ზოგჯერ საკუთარ მგრძობიარე აღქმის უნარს ვახშობდი ჩემში და დაუდევრად ვექცეოდი, ფაქიზი მგრძობელობა, განსაკუთრებით მხედველობითი თუ სმენითი შთაბეჭდილებები, მუდამ მაინც ჩემი ერთგულნი რჩებოდნენ. ისინი ცოცხლად მონაწილეობდნენ ჩემს იდეათა სამყაროში, მაშინაც კი, როდესაც აბსტრაქტულნი ჩანდნენ. ამგვარად, მე ცხოვრებისათვის შეიარაღებული აღმოვჩნდი, როგორც მოგახსენეთ, სკოლის წლებამდე გაცილებით ადრე. ვიცნობდი ჩვენს მშობლიურ ქალაქს, ფრინველთა ეზოებს, ტყეებს, ხილის ბაღებს, ოსტატთა სახელოსნოებს, ვცნობდი ხეებს, ჩიტებსა და პეპლებს, შემეძლო სიმღერა და კბილებს შორის სტვენა და სხვაც მრავალი, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია. ამას თან დაერთო სასკოლო მეცნიერებანი, რომლებიც მეადვილებოდა და მახალისებდა, განსაკუთრებით ლათინური ენა, ნამდვილ სიამოვნებას რომ მეგრიდა. ამიტომაც ლათინურად ლექსების თხზვა დავიწყე, თითქმის ისევე ადრე, როგორც გერმანულად. სიცრუისა და დიპლომატიის ხელოვნებას მეორე კლასში დავეუფლე, რასთანაც თავად მასწავლებლებმა – უფროსმა თუ უმცროსმა – მიმიყვანეს, მას შემდეგ, რაც ჩემი ბავშვური გულახდილობითა და მიმნდობლობით ერთი უბედურებიდან მეორეს ვაწყებოდი. ამ ორმა აღმზრდელმა წარმატებით ამიხსნა, რომ პატიოსნება და სამართლისმოყვარეობა ის თვისებები როდია, რასაც ისინი მოსწავლეებში ებებენ. ერთხელ კლასში მომხდარი საკმაოდ უცოდველი დარღვევა მომაწერეს, თუმცა მასში სრულებითაც არ მედო წვლილი და ვერ მაიძულეს რა ამის აღიარება, წვრილმანი – ლამის სახელმწიფო პროცესად აქციეს და, თუ ერთობლივი ძალისხმევით, ტანჯვა-წამებით ვერ გამოძევეს აღიარება (რაც უთუოდ არც იყო მოსალოდნელი), სამაგიეროდ, წამართვეს ყოველგვარი რწმენა მასწავლებელთა კასტის პატიოსნებისადმი. თუმცა, დროთა განმავლობაში, მადლობა ღმერთს, გავიცანი ნამდვილად პატივცემის ღირსი მასწავლებლები. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და იმ დროიდან მოყოლებული, ჩემი ურთიერთობა არა მხოლოდ მასწავლებლებთან, არამედ ყველა ავტორიტეტთან, არაბუნებრივი და სიმწრით აღსავსე შეიქმნა. მთლიანობაში პირველი შვიდი თუ რვა წელი კარგად ვსწავლობდი, ყოველ შემთხვევაში, კლასის საუკეთესო მოსწავლეთა შორის ვიჯექი. მხოლოდ იმ შინაგანი ბრძოლების დაწყებასთან ერთად, – რომლებიც ყველასადმი დაუნდობელია და პიროვნებად ჩამოყალიბებას უძღვის წინ, – სულ უფრო მეტად დავიწყე სკოლასთან კონფლიქტი. ის შინაგანი ბრძოლები მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ გავაცნობიერე, ისინი უბრალოდ ჩემი ნების წინააღმდეგ არსებობდნენ მაშინ, მათგან გარემოცული ვიყავი, როგორც რაღაც საშინელი უბედურებისაგან.

საქმე ის იყო, რომ ცამეტი წლიდან ერთი რამ ნათელი გახდა ჩემთვის, კერძოდ, რომ მსურს გავხდე პოეტი, ან - საერთოდ არავინ. ამ სიცხადესთან

ერთად, თანდათან სხვა უსიამოვნო აზრიც მომდიოდა. შეიძლება გახდეს მასწავლებელი, ექიმი, ხელოსანი, ვაჭარი, ფოსტის მუშაკი, აგრეთვე მუსიკოსი, მხატვარი ან არქიტექტორი – ყველა პროფესიისთვის არსებობს წინაპირობები, მისასვლელი გზა, სკოლები, მეცადინეობის ფორმები დამწყებთათვის. მხოლოდ პოეტისთვის არ არსებობს ყოველივე ეს! პოეტობა დაშვებული იყო და პატივისცემიც კი: ე.ი. შესაძლოა იყო წარმატებული და ცნობილი, თუმცა, სამწუხაროდ, პოეტი ამ დროს უკვე ხშირად მკვდარია. მაგრამ პოეტად გახდომა შეუძლებელი იყო, ამის სურვილი კი სასაცილო და სამარცხვინო, როგორც ძალე მივხვდი. ძალიან ძალე გავერკვიე ამ ვითარებაში: პოეტი ისეთი რამ არის, რაც მხოლოდ უნდა იყო და შეუძლებელია პოეტად გახდომა. და შემდგომ: პოეზიისადმი ინტერესისა და ჩემი პოეტური ნიჭის გამო, მასწავლებლები ეჭვის თვალთ მიყურებდნენ, ამიტომაც ხშირად მაძლევდნენ შენიშვნას ან დამცინოდნენ და, არცთუ იშვიათად, გამანადგურებლადაც შეურაცხყოფდნენ. პოეტების საქმე ისევეა, როგორც გმირებისა და ყოველთა ძლიერთა და მშვენიერთა, მამაცი და გამორჩეული პიროვნებებისა თუ მისწრაფებებისა: წარსულში ისინი შესანიშნავნი არიან. ყველა სახელმძღვანელო ხოტბას ასხამდა მათ, აწმყოსა და სინამდვილეში კი სძულდათ ისინი. მასწავლებლები კი, როგორც ჩანს, მოწოდებულნი და განსწავლულნი არიან საიმისოდ, რომ შეძლებისდაგვარად ხელი შეუშალონ გამორჩეულ, თავისუფალ ადამიანებს და დიად საქმეთა განხორციელებას.

ამგვარად, საკუთარ თავსა და მიზანს შორის, გარდა უფსკრულისა, ვერაფერს ვხედავდი, ყველაფერი გაურკვეველი იყო, მხოლოდ ერთი რამ მწამდა მყარად: პოეტი მინდოდა ვყოფილიყავი ყველაფრის მიუხედავად – ადვილი იყო თუ ძნელი, სასაცილო თუ საპატიო. გარეგნული შედეგები ამ გადაწყვეტილებისა – ან უფრო ბედისწერის ნებისა – შემდეგში მდგომარეობდა:

როდესაც ცამეტი წელი შემისრულდა და ის იყო ეს კონფლიქტი იწყებოდა, ჩემი საქციელი როგორც მშობლების სახლში, ასევე სკოლაში, იმდენად ტოვებდა უკეთესის სურვილის შთაბეჭდილებას, რომ გადასახლებაში გამამწესეს სხვა ქალაქის³ ლათინურ სკოლაში. ერთი წლის შემდეგ თეოლოგიური სემინარიის⁴ მსმენელი გავხდი, ვსწავლობდი ძველებრაულ ანბანს და თითქმის უკვე მესმოდა, რას ნიშნავს“ ეგესცჰ ფორტე იმპლიციტუმ,”⁵ როცა თავს მოულოდნელად ქარიშხალი დამატყდა, რომელმაც ჩემი სულის სიღრმეებიდან ძალუმაღ იფეთქა და საბოლოოდ სამონასტრო სკოლიდან⁶ გაქცევამდე, მძიმე კარცერში სასჯელამდე

3 1890 წლის თებერვლიდან 1891 წლის მაისამდე პესე გამოცდებისთვის უკეთ მოსამზადებლად გიოპინინგენის ლათინურ სკოლაში დადიოდა.

4 გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, პესე ჩაირიცხა მიულბრონის სემინარიაში 1891 წლის ივლისში, სადაც 1892 წლის მარტამდე დაჰყო.

5 ძლიერი დავები – იგულისხმება: გარკვეულ თანხმობან ბერათა გაორბაგების ნიშანი ძველ ებრაულ ენაში.

და სემინარიასთან დამშვიდობებამდე მიმიყვანა.

გარკვეული პერიოდი ვცდილობდი სწავლა ერთ-ერთ გიმნაზიაში⁷ გამეგრძელებინა, მაგრამ იქაც ყოველივე კარცერითა და გამოთხოვებით დასრულდა. შემდგომ ვიყავი შეგირდი წიგნების გამყიდველთან, ისევე გავიქეცი და მშობლები-სათვის მეტად შემაშფოთებლად, რამდენიმე დღითა და ღამით გავუჩინარდი. ნახევარი წელი მამას ვენმარებოდი, წელიწადნახევარი მექანიკურ სახელოსნოში პრაქტიკანტად ვიყავი და ასევე - კოშკის საათების ქარხანაში.

მოკლედ, ოთხ წელზე მეტ ხანს, რასაც კი ცდილობდნენ ჩემთვის, ყველაფერი უკუღმა მიდიოდა: არც ერთ სკოლას არ სურდა ჩემი ატანა, მე კი არანაირი სწავლების ატანა დიდხანს არ შემიძლო. ნებისმიერი მცდელობა ჩემგან სასარგებლო ადამიანის შექმნისა, ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა, ხშირად სამარცხვინოდ და სკანდალით, გაქცევით ან გარიცხვით. მიუხედავად ამისა, ჩემში აღიარებდნენ კარგ უნარებს და კეთილი ნების გამოვლინებასაც კი ხედავდნენ! გარდა ამისა, თუმცა ყოველთვის გამოვირჩეოდი ჩინებული გულმოდგინებით, — უსაქმურობის კეთილი ზემოქმედება აღტაცებას იწვევდა ჩემში, მაგრამ მასში ვერასოდეს დავოსტატდი. თხუთმეტი წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც სკოლებთან არ გამიმართლა, ცნობიერად და ენერგიულად დავიწყე თვითგანათლება. ჩემდა საბედნიეროდ, მამაჩემის სახლში უდიდესი ბიბლიოთეკა იყო პაპა-ჩემის დროინდელი, რომელსაც დიდი ნეტარება მოჰქონდა, მთელი დარბაზი სავსე იყო ძველი წიგნებით, რომელთა შორის იყო ისეთებიც, მეთვრამეტე საუკუნის მთელ გერმანულ პოეზიასა და ფილოსოფიას რომ მოიცავდა. თექვსმეტიდან ოც წლამდე არა მხოლოდ გავავსე ქალაქების გროვა პირველი პოეტური მცდელობებით, არამედ გადავიკითხე მსოფლიო ლიტერატურის ნახევარი იმ წლებში. შეუპოვრად ვმუშაობდი ხელოვნების ისტორიაში, უცხო ენებში, ფილოსოფიაში, რაც ნორმალური სკოლისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა.

შემდეგ წიგნებით მოვაჭრე გავხდი, რომ, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი პურის ფული თავად მეშოვნა. წიგნები, ასე თუ ისე, უფრო მიზიდავდა, ვიდრე ჩარხები და თუჯის კბილანა ბორბლები, რომლებთან მუშაობითაც გაწამებული ვიყავი მექანიკოსობის დროს. თავიდან თითქოს კმაყოფილებით დავცურავდი ახალი და უახლესი ლიტერატურის ზღვაში და შეიძლება ითქვას, მისგან წალეკილი — ზღვის მონაბერ ტკობას შევიგრძნობდი. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სულიერ სფეროში მხოლოდ დღევანდელი დღით, ახლითა და უახლესით ცხოვრება აუტანელი და უაზროა, რომ მხოლოდ უწყვეტი კავშირი წარსულთან, ისტორიასთან, ძველთან და უძველესთან, გვაძლევს სულიერი ცხ-

6 მიულბრონის სემინარიიდან გაქცევის ეპიზოდი და შთაბეჭდილებები ჰესეს ასახული აქვს მოთხრობაში "Unterm Rad" (1906).

7 1892 წლის ნოემბრიდან 1893 წლის ოქტომბრამდე ჰესე სწავლობდა ქალაქ კანშტატის გიმნაზიაში

ოვრების შესაძლებლობას. და როდესაც ჩემი პირველი კმაყოფილება სრულიად ამოიწურა, გამიჩნდა მოთხოვნილება, სიახლეებით მოყირჭებული, ძველზე გადავსულიყავი და ავისრულე კიდევ: - წიგნების მალაზიიდან ანტიკვარიატში გადავედი. ამ სამუშაოს ერთგული დავრჩი მანამ, სანამ ის საარსებოდ მესაჭიროებოდა. ოცდაექვსი წლის ასაკში, პირველი ლიტერატურული წარმატების⁸ გამო ეს ხელობაც დავთმე.

და აი, ამჯერად, ამდენი ბობოქრობისა და მსხვერპლის შემდეგ, მიზანი მიღწეული იყო: მე გავხდი პოეტი, როდენ აუხდენელ ოცნებადაც არ უნდა მჩვენებოდა იგი – ხანგრძლივი, მწვავე ბრძოლა სამყაროსთან მაინც მოვიგე. მოწაფეობისა და ჩამოყალიბების მწარე წლები, როდესაც ხშირად დაღუპვასთანაც კი ვიყავი ახლოს, დავიწყებას მიეცა და უკვე სიცილს იწვევდა – ახლობლები და მეგობრებიც კი, რომლებიც იმედგაცრუებულნი იყვნენ ჩემით, ახლა მეგობრულად მიდიმოდნენ. მე გავიმარჯვე და ჩემს ყოვლად სულელურ და არაფრად ღირებულ ნაწარმოებებსაც კი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, ისევე როგორც თავად ვიყავი საკუთარი თავით აღფრთოვანებული. მხოლოდ ახლა შევნიშნე, რა საშინელ მარტოობაში ვცხოვრობდი მაშინ და წლიდან წლამდე როგორი საშიშროება მეძუქრებოდა, აღიარების საამო ნიაჟმა თავბრუ დამახვია და ნელ-ნელა კმაყოფილ კაცად ვყალიბდებოდი.

გარეგნულად ჩემი ცხოვრება, საკმაოდ კარგა ხანს, მშვიდად და სასიამოვნოდ მიედინებოდა. მყავდა მეუღლე, ბავშვები, მქონდა სახლი და ბაღი.⁹ ვწერდი წიგნებს, ღირსეულ მწერლად ვითვლებოდი და ვცხოვრობდი სამყაროსთან თანხმობაში. 1905 წელს ვეხმარებოდი ჟურნალის დაარსებას, რომელიც პირველ რიგში მიმართული იყო ვილჰელმ II-ის პირადი ძალაუფლების წინააღმდეგ, თუმცა სინამდვილეში შინაგანად სერიოზულად არ ვიღებდი ამ პოლიტიკურ მიზანს. მშვენიერი მოგზაურობები მოვაწყვე შევიცარიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და ინდოეთში. როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზე იყო.

მაგრამ დადგა 1914 წლის ზაფხული და უცებ შინაგანად და გარეგნულადაც ყველაფერი შეიცვალა. გამოჩნდა, რომ ჩვენი აქამდელი კეთილდღეობა არამყარ ნიადაგზე იდგა და ახლა დაიწყო ცუდი დრო - დიდი აღზრდის მომენტი. ეგრეთ წოდებული დიადი დრო ჩამოწვა, და მე არ შემიძლია ვთქვა, რომ მისთვის უფრო მეტად ვიყავი მზად ან ღირსეული, ან უკეთ შევხვდი მას, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი. რაც მე მაშინ მათგან განმასხვავებდა, იყო იმ დიდი ნუგეშის არქონა, რასაც ყველა განიცდიდა – ეს იყო აღფრთოვანება. ამან მაიძულა საკუთარ თავს დავბრუნებოდი და კვლავ შევსულიყავი კონფლიქტში

8 იულისხმება: "Hinterlassene Schriften und Gedichte von Hermann Lascher" (1901) და "Gedichte" (1902).

9 1904 წელს ჰესე დაქორწინდა პაულელ მარია ბერნულიზე და გადაიდა სოფ. ჰაინკოფერში ბოლენის ტბაზე. აქ მან რვა წელი დაჰყო და შეეძინა სამი ვაჟი: ბრუნო, კაინერი და მარტინი.

ჰერმან ჰესე / მოკლე ავტობიოგრაფია

გარე სამყაროსთან. ისევ სკოლაში მოვხვდი, კვლავ გადავეჩვიე კმაყოფილებას საკუთარი თავისადმი და ცხოვრებას სამყაროსთან თანხმობაში და ამ განცდით გადავაბიჯე ცხოვრების ხელდასხმის ზღურბლს.

ვერაფრით ვივიწყებ ერთ პატარა მოვლენას, რომელიც ომის პირველ წელს მოხდა. ერთ დიდ ლაზარეთში მივედი იმ შესაძლებლობის ძიებით, რომ ნებაყოფლობით მეპოვნა რაიმე, რითაც ცნობიერად მოვერგებოდი შეცვლილ სამყაროს, რაც მაშინ ჯერ კიდევ შესაძლებლად მიმაჩნდა. დაჭრილთა ამ ჰოსპიტალში გავიცანი ერთი მოხუცი მართონელა ქალბატონი, რომელიც დალხენილ დროს თავისი კაპიტალის პროცენტებით ცხოვრობდა, ახლა კი ამ ლაზარეთში მომვლელად მუშაობდა. მან ამალეღვებელი აღფრთოვანებით მიამბო, თუ რაოდენ მოხარული და ამაყი იყო, რომ წილად ხვდა ამ დიად დროს მოსწრებოდა. რა თქმა უნდა, მესმოდა მისი, რადგან ამ ქალისათვის ომი გახდა საჭირო, რომ შინაბერას მოშვებული და წმინდა ეგოისტური არსებობა ქმედით და სრულყოფილ ცხოვრებად ქცეულიყო. მაგრამ, როდესაც იგი თავის ბედნიერებაზე მიამბობდა იმ დერეფანში, რომელიც სავსე იყო დაჭრილი და შეხვეული ჯარისკაცებით, იმ დარბაზებს შორის, სადაც უამრავი ამპუტირებული და მომაკვდავი იყო, გული შემოიტოკდა. მშენიერად მესმოდა ამ “დეიდის” აღფრთოვანება, მაგრამ არ შემეძლო მისი გაზიარება და მხარდაჭერა. და რადგან ყოველ ათ დაჭრილზე ერთი ასეთი აღფრთოვანებული მომვლელი მოდიოდა, მაშინ ამ ქალბატონთა ბედნიერება, როგორც ჩანს, საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

არა, მე არ შემეძლო ამ დიადი დროის გამო სიხარულის გაზიარება; ისე მოხდა, რომ ომის დაწყებიდანვე ამ სიხარულს პირადად ჩემთვის საშინელი ტანჯვა მოჰქონდა, მთელი წელი სასოწარკვეთილი თავს ვიცავდი თითქოს გარედან, მოწმენდილი ციდან თავს დატეხილი უბედურებისგან, მაშინ, როცა ყველანი ირგვლივ ისე იქცეოდნენ, თითქოს სასიხარულო აღფრთოვანებით იყვნენ აღსავსენი სწორედ ამ უბედურების გამო. და როცა კვითხულობდი პოეტების საგაზეთო სტატიებს, რომლებშიც ისინი ომის მადლის აღმოჩენაზე საუბრობდნენ, პროფესორთა მოწოდებებს და მთელ რიგ ლექსებს ომზე ცნობილ პოეტთა სამუშაო ოთახებიდან, თავს კიდევ უფრო უბედურად ვგრძნობდი.

1915 წლის ერთ დღეს აღმომხდა ამ უბედურების სახალხოდ აღიარება და სიტყვა დასავაძობი იმის თაობაზე, რომ ე.წ. სულიერი ადამიანებიც კი, სხვას არას ჩადიოდნენ, თუ არა სიძულვილის ქადაგებას, სიცრუის გავრცელებას და დიდი უბედურების ხოტბა-დიდებას. ამ საკმაოდ მოკრძალებულად გამოხატული ჩივილის შედეგი გახლდათ ის, რომ საკუთარი სამშობლოს პრესამ მოღალატედ გამოაცხადა – ეს ჩემთვის სრულიად ახალი განცდა იყო, რადგან მიუხედავად პრესასთან ჩემი მრავალგზის შეხებისა, სახალხოდ განკიცხულის მდგომარეობა

ჩემთვის უცხო ხილი იყო. სტატია ზემოთნახსენები ბრალდებებით საკუთარი სამშობლოს ოცმა გაზეთმა გადაბეჭდა და ჩემს თითქოსდა მრავალრიცხოვან მეგობართაგან პრესაში, მხოლოდ ორმა¹⁰ გაბედა ჩემს დასაცავად გამოსვლა. ძველი მეგობრები მეუბნებოდნენ, გველი გაგვიზრდია უბემიო და რომ ეს გული შემდგომში მხოლოდ იმპერატორისა და რაიხისთვის იბგერებს და არა მისთვის – გადაგვარებულისთვის. ბევრი სალანძღავი წერილი მომდიოდა უცნობებისაგან, წიგნის მოვაჭრეებმა კი მაცნობეს, რომ ავტორი ასეთი უდიდესი მოსაზრებებით, მათთვის აღარ არსებობს. ამ წერილთაგან უმრავლესობაზე შევნიშნე მორთულობა, რასაც ადრე არ ვიცნობდი, მრგვალი შტამპისმაგვარი რამ წარწერით: “ღმერთო, დასაჯე ინგლისი”.

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ამ გაუგებრობის გამო ბევრი ვიცინე, მაგრამ არ შემეძლო. თავისთავად, ამ უმნიშვნელო მოვლენამ შედეგად მეორე დიდი გადატრიალება მოახდინა ჩემს ცხოვრებაში.

გავიხსენოთ: პირველი გადატრიალება იმ მომენტში დაიწყო, როდესაც ჩემში პოეტად განდომის გადაწყვეტილება მომწიფდა. ამ დროიდან მოყოლებული, ყოფილი სანიძე მოსწავლე ჰესე ცუდ მოსწავლედ იქცა, დაიწყეს მისი დასჯა, გარიცხვა; ის არსად კარგს არ აკეთებდა, საკუთარ თავსა და მშობლებს საზრუნავს საზრუნავზე უჩინდა. და ეს ყოველივე მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გულისხმა იმ სამყაროსთან, რომელიც მას გარს ეკრა იმ სახით, როგორც ის იყო, ან როგორც ჩანდა, შერიგების შესაძლებლობას ვერ ხედავდა. ყოველივე ეს ახლა, ომის წლებში, ხელახლა განმეორდა. კვლავ აღმოვჩნდი სამყაროსთან კონფლიქტში, იმ სამყაროსთან, რომელთან ერთადაც მანამდე თანხმობით, მშვიდად ვცხოვრობდი. ისევ აღარაფერში მიმართლებდა, ისევ გულსაკლავად მარტო დავრჩი. ყოველივე, რასაც ვამბობდი ან ვფიქრობდი, ისევ გაუგებარი იყო სხვებისთვის და მტრულად მიცქეროდნენ. სინამდვილესა და ჩემთვის სასურველს შორის ისევ უიმედო უფსკრულს ვხედავდი.

ამჯერად თვითანალიზს ვერ გადავურჩი. დიდი დრო არ გასულა, რაც გამიჩნდა მოთხოვნილება, საკუთარ ვნებათა მიზეზი გარეთ კი არა, ჩემში, შიგნით მეძებნა. რადგანაც ერთი რამე გავიაზრე: არა აქვს უფლება არც ერთ ადამიანს, არც ღმერთს და მე მით უმეტეს, რომ ბრალი დასდოს მთელ სამყაროს შემოღობასა და სისასტიკეში. მაშასადამე, თავად ჩემში უნდა ყოფილიყო რაღაც უწესრიგობა, რადგანაც მთელ სამყაროსთან ამგვარ კონფლიქტში აღმოვჩნდი, და უდიდესი ქაოსი მართლაც სახეზე იყო. არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებდა,

10 „Kölner Tagebuch“ 24.10.1915 წლის ნომერში მოწინავე სტატია ჰესეს „ლაჰარსა“ და „მოლაღატეს“ უწოდებდა. ეს სტატია მრავალჯერ იქნა გადაბეჭდილი.

მწერლის ორი მეგობარი გამოვიდა მის დასაცავად. ესენი იყვნენ: თეოდორ პოისი – მწერალი და კრიტიკოსი და კონრად ჰაუსმანი – პოლიტიკოსი და ოურისტი.

ჰერმან ჰესე / მოკლე ავტობიოგრაფია

ეს უწესრიგობა მომეთოკა და რაიმე წესრიგით შემეცვალა საკუთარ თავში. პირველ რიგში, გაირკვა, რომ ის კეთილგანწყობა, რაც მე გარე სამყაროსთან მაკავშირებდა, არა მარტო ძვირად მიღირდა, ის ისევე დაღაპა, როგორც გარეგნული მშვიდობა მსოფლიოში. მჯეროდა, რომ სიყმაწვილეში გამოვლილი მძიმე და ხანგრძლივი წინააღმდეგობებით მოვიპოვე ადგილი სამყაროში და პოეტობის უფლებაც. ამასობაში წარმატებამ და კეთილდღეობამ ჩემზე ჩვეულებრივ იმოქმედა: ვცხოვრობდი კმაყოფილებაში, გავზულუქდი და, როცა საკუთარ თავს უფრო ყურადღებით დავაკვირდი, ძნელი გასარჩევი გახდა ნამდვილი პოეტი გამართობი მწერლისაგან. ზედმეტად კარგად ვიყავი. ახლა კი ცუდად ყოფნაზე, რომელიც ყოველთვის კარგი და ენერგიული სკოლაა, უშურველად იზრუნეს და ამგვარად, სულ უფრო ვსწავლობდი, მეცლია ცხოვრებისათვის, საკუთარი სვლით ევლო და იმაზე ფიქრი შეეძელი, თუ რა წვლილი მელო თავად ამ საყოველთაო არეულობასა და დანაშაულში. მკითხველისთვის მიმინდია ამ თავსატეხის შედეგების ჩემს ნაწარმოებებში ამოკითხვა. მაინც მრჩება იდუმალი იმედი, რომ დროთა განმავლობაში ჩემი ხალხი, ყველა არა, მაგრამ ბევრი ფხიზელი და პასუხისმგებლობით სავსე ადამიანი, განახორციელებს მსგავს ანალიზს და ომის გამო ჩივილისა და ლანძღვის ნაცვლად, – ასევე ბოროტი მტრებისა და ბოროტი რევოლუციის გამო, – ათასობით გულები საკუთარ თავს დაუსვამენ კითხვას: როგორ გავხდი მე ყოველივე ამის თანამონაწილე? და როგორ ძალმიძს კვლავ უდანაშაულო გავხდე? რადგან ყოველთვის შეიძლება მოიხსნა დანაშაული, თუ გააცნობიერებ და ბოლომდე აიტან, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაული სხვას გადააბრალო.

როცა ახალმა შემობრუნებამ ჩემს ნაწარმოებებსა და ცხოვრებაში თავი იჩინა, ბევრი ჩემი მეგობარი თავს აქნევდა. ბევრმა მიმატოვა კიდევ. ყოველივე ეს ჩემი ცხოვრებისეული სურათის შეცვლას განეკუთვნებოდა, ისევე როგორც სახლის, ოჯახისა და სხვა სიამეთა დაკარგვა. ეს ის დრო იყო, როდესაც ყოველდღიურად რაღაცას ვემშვიდობებოდი, თან გოცნებული ვიყავი, თუ როგორ შემემლო გადამეტანა ყოველივე ეს და ისევ ცოცხალი დავრჩენილიყავი; ამ უცნაურ ცხოვრებაში კიდევ მყვარებოდა რაღაც, რასაც ჩემთვის, ეტყობა, მხოლოდ ტკივილი, იმედგაცრუება და დანაკარგი მოჰქონდა.

სხვათა შორის, ყველაფერი რომ კვლავ აღმედგინა, ომის წლებშიც კი თითქოს თან მსდევდა კეთილი ვარსკვლავისა თუ მფარველი ანგელოზის მსგავსი რამ. სანამ საკუთარი მტანჯველი ვნებით შეპყრობილი თავს მარტოსულად ვგრძნობდი, შემობრუნების დაწყებამდე საკუთარ ბედისწერას საათობით ვკმობდი და უბედურად მივიჩნევდი მას. სწორედ ჩემი ეს ტანჯვა-წამება და მის ტყვეობაში ყოფნა გამოდგა მცველი და ჯავშანი გარე სამყაროსაგან. ომის

წლები საშინელ პოლიტიკურ გარემოში გავატარე; შპიონაჟის, მოსყიდვის, კონიუნქტურული ოინების გარემოცვაში, რომლებიც იმ დროისთვისაც კი ესოდენ კონცენტრირებული სახით გვევლინებოდნენ ერთმანეთის გვერდით დედამიწის მხოლოდ მცირე მონაკვეთზე, კერძოდ ბერნში – გერმანულ, ნეიტრალურ და მტრული დიპლომატიის გარემოცვაში. ქალაქში, რომელიც თვალის დახამხამებაში გადაიტვირთა მოსახლეობით; პირველ რიგში, დიპლომატებით, პოლიტიკური აგენტებით, ჯაშუშებით, შემსყიდველებითა და გადამყიდველებით. მე დიპლომატებსა და სამხედროებს შორის ვცხოვრობდი; ამათ გარდა ურთიერთობა მქონდა ძალიან ბევრ, მათ შორის მტრული ქვეყნების წარმომადგენელ ხალხთან. ჰაერი ჩემს ირგვლივ შპიონაჟისა და კონტრშპიონაჟის, პროვოკაციისა და ინტრიგის, პოლიტიკური და პირადი მოღვაწეობისაგან ნაქსოვ ბადეს წარმოადგენდა – მე კი, მთელი ამ წლების განმავლობაში, ყოველივე ეს ვერ შევნიშნე! თურმე მისმენდნენ, მაპროვოცირებდნენ, მჯაშუშობდნენ, ჩემში ეჭვი შეჰქონდათ მტრებს, ნეიტრალებს, ზოგჯერ თანამემამულეებსაც, მე კი ყოველივე ამას ვერ ვამჩნევდი. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ვიგებდი ხან ერთ, ხან მეორე ნიუანსს ამ ამბებიდან და არ მესმოდა, თუ როგორ შემეძლო ამგვარ ატმოსფეროში ხელუხლებლად და ყოვლად უვნებლად მეცხოვრა. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს მე გამომივიდა.

ომის დამთავრებასთან ერთად, ერთმანეთს დაემთხვა ჩემი გადატრიალების დასასრული და მტანჯველ ვნებათა კულმინაცია. ჩემი ეს ვნებანი უკვე აღარ იყო დამოკიდებული არც ომზე და აღარც სამყაროს ბედზე. გერმანიის დამარცხებაც კი, რომელსაც ჩვენ, ემიგრანტები, უკვე ორი წელი ველოდით, იმ მომენტში საშინელებად აღარ გვეჩვენებოდა. მე მთლიანად საკუთარ თავში, ჩემს ბედისწერაში ჩავიძირე, თუმცა იმის შეგრძნებით, რომ საქმე მთელი კაცობრიობის ბედს ეხება. კვლავ აღმოვაჩინე ჩემში: ომის წყურვილი, ტკბობა მკვლელობით მთელი სამყაროს მიერ, მთელი მისი ქარაფშუტობა, უხეში ავხორცობა და სილაჩრე, ისევ დაკარგვე საკუთარი თავისადმი პატივისცემა. შემდეგ განვაგდე უპატივცემულობა საკუთარი თავისა და სხვა აღარაფერი დამრჩენოდა, თუ არა ის, რომ ბოლომდე მედევნებინა თვალი ამ ქაოსისათვის: ხან იმედით, ხანაც სასოწარკვეთით, რათა ამ ქაოსის მეორე მხარეს ისევ მეპოვნა ცოცხალი ბუნება და უმანკოება. ყოველი ფხიზელი და მართალი ცნობიერებისათვის მოსული კაცი ერთხელ ან რამდენჯერმე აუცილებლად გაივლის ამ ვიწრო ბილიკს უდაბნოში – სხვებთან ამაზე საუბარი კი ამაო გარჯა იქნებოდა.

როდესაც მეგობრები ძალაატობდნენ, ზოგჯერ ვნალელობდი, მაგრამ დისკომფორტს არ განვიცდიდი, ამას უფრო როგორც ჩემს მიერ არჩეული გზის დადასტურებას, ისე აღვიქვამდი. ის ძველი მეგობრები ალბათ მართლებიც იყვნენ,

როდესაც ამბობდნენ, რომ ადრე ესოდენ სიმპათიური ადამიანი და პოეტი ვიყავი, საკუთარი პრობლემების გადაჭრისას კი, ახლა, უბრალოდ აუტანელი გავხდი. გემოვნებისა და ხასიათის საკითხებზე იმ დროისათვის უკვე კარგა ხანია აღარ ვმსჯელობდი, არავინ იყო ირგვლივ. ვისაც ჩემი ენა ესმოდა. მეგობრები ალბათ არც ცდებოდნენ, როცა მსაყვედურობდნენ, რომ ჩემს ნაწარმოებებს მშვენიერება და ჰარმონია დაეკარგათ. ამგვარი სიტყვები მხოლოდ სიცილს მგვრიან – რა არის მშვენიერება, ჰარმონია მისთვის, ვინც სასიკვდილოდ არის განწირული, რომელიც ჩამოქცეულ კედლებს შორის დარბის საკუთარი სიცოცხლის გადსარჩენად? იქნებ საკუთარი ცხოვრებისეული რწმენის წინააღმდეგაც ვიყავი ამხედრებული და არავითარი პოეტი. იქნებ ესთეტიკურ სფეროში მთელი ჩემი მოღვაწეობა მხოლოდ დაბნეულობა იყო? რატომაც არა, მაგრამ ამასაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

მათგან უმრავლესობა, რაც საკუთარ თავში ჯოჯოხეთური მოგზაურობიდან შემრჩა, იყო მხოლოდ თავბრუსხვევა და არაფერი ღირებული, ან იქნებ სულაც ილუზია საკუთარი მოწოდების ან კიდევ ნიჭისა. მაინც რაოდენ უმნიშვნელო იყო ყოველივე ეს! ისიც კი, რასაც ოდესღაც, სავსე პატივმოყვარეობითა და ბავშვური სიხარულით, საკუთარ მოწოდებად ვთვლიდი, სადღაც გაძქრალიყო. ჩემს ამოცანას და უფრო მეტად, ჩემს გზას გადარჩენისაკენ კარგა ხანია უკვე ღირიკაში ან ფილოსოფიაში, ან კიდევ რომელიმე სპეციალურ სფეროში როდი ვხედავდი, არამედ იმაში, რომ ნება მიმეცა, საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა იმ მცირე ცოცხალსა და ძლიერს, რაც კიდევ იყო ჩემში, მხოლოდ უტყუარ ერთგულებას იმისადმი, რაც კიდევ ფეთქავდა ჩემს შიგნით. ეს იყო სიცოცხლე, ეს იყო ღმერთი. – მას შემდეგ, რაც ამაღლებული და სიცოცხლისათვის საშიში დამაბულობის პერიოდი ჩაივლის, ყველაფერი უცნაურად სხვაგვარად გამოიყურება, იმიტომ, რომ წარსულ ძირითად მდგომარეობათა შინაარსი და სახელები დღეს მნიშვნელობადაკარგულია და გუშინდელი სიწმინდეები დღეს შესაძლოა სასაცილოდაც ჟღერდეს.

1919 წლის გაზაფხულზე, როდესაც ომი, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა, ასევე ჩემთვისაც, შვეიცარიის ერთ მივარდნილ კუთხეში გავემგზავრე და განდეგილად ვიქეცი. იმის გამო, რომ მთელი ცხოვრება (ეს იყო მემკვიდრეობა მშობლებისა და ღიდი მშობლებისაგან¹¹) ძალიან ვიყავი ინდური და ჩინური სიბრძნით დაკავებული და ჩემს ახალ განცდებს ზოგჯერ აღმოსავლურად ხატოვანი ენით გამოვხატავდი, ხშირად “ბუდისტს” მეძახდნენ, რაზეც მხოლოდ მეცინებოდა, რადგან, კაცმა რომ თქვას, არც ერთი მოძღვრებისაგან არ ვყო-

¹¹ როგორც ცნობილია, ჰესე მისიონერული ოჯახიდან იყო, რომელიც (ე.ი. ოჯახი) დიდხანს ცხოვრობდა ინდოეთში

ფილვარ ისე შორს, როგორც ამისაგან. და მაინც, რაღაც იყო აქ მართალი, ჭეშმარიტების მარცვალი იმალებოდა მასში, რაც მე მხოლოდ მოგვიანებით შევნიშნე. გარკვეული თვალსაზრისით, რომ შეიძლებოდა რელიგიის არჩევა, მაშინ ჩემი შინაგანი მისწრაფებით, მე აუცილებლად რომელიმე კონსერვატორულ რელიგიას მივაკუთვნებდი თავს: კონფუციზმს, ბრაჰმანიზმს ან რომაულ ეკლესიას. ამას ჩავიდენდი საწინააღმდეგო პოლუსისაკენ მიდრეკილების გამო და არა იმ ნათესაობის გამო, რაღაც დავიბადე, რადგან ღვთისმოსავ პროტესტანტთა ვაჟად არა თუ შემთხვევით გავჩნდი, არამედ ბუნებითაც ვარ პროტესტანტი (რასაც ჩემი უდიდესი ანტიპათია დღევანდელი პროტესტანტული აღმსარებლობისადმი არანაირად არ ეწინააღმდეგება), რადგანაც ჭეშმარიტი პროტესტანტი ეწინააღმდეგება საკუთარ ეკლესიას, ისევე როგორც სხვას, რადგან საკუთარი არსება უკარნახებს ქმნადობას სცეს თავყვანი და არა ყოფნას. ამ გაგებით კი, ბუდაც პროტესტანტი იყო.

რწმენა ჩემი პოეტობისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ფასეულობის შესახებ, ზემოხსენებული შემობრუნების შემდეგ, სრულიად გამიქრა. წერა უკვე ნამდვილ სიხარულს აღარ მგვრიდა. მაგრამ აღამიანს უნდა გააჩნდეს სიხარული და მეც, ჩემი ყოველგვარი გაჭირვების პირობებში, ამის პრეტენზია მქონდა. შემეძლო სამართლიანობაზე, გონიერებაზე, სამყაროში ცხოვრების არსზე მეთქვა უარი. ვხედავდი, რომ ეს სამყარო მშვენივრად ახერხებს ყოველგვარ ამ აბსტრაქციათა გარეშე არსებობას – მაგრამ მცირედ სიხარულზე უარს ვერ ვიტყოდი და ამ პატარა სიხარულის მოთხოვნა ამჯერად ერთი იმ პატარა ნაპერწკალთაგანი იყო, რისაც ჯერ კიდევ მჯეროდა და რომლისგანაც სამყაროს ხელახლა შექმნას ვიმედოვნებდი. ხშირად სიხარულს, ოცნებას, დავიწყებას ბოთლ ღვინოში ვეძებდი და ძალიან ხშირად მშველოდა კიდევ, რის გამოც ის ხოტბას იმსახურებს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. და აი, საოცრება! ერთ მშვენიერ დღეს სრულიად ახალი სიხარული აღმოვაჩინე. უკვე ორმოცი წლის ასაკში ხატვა დავიწყე. იმიტომ არა, რომ თავი მხატვრად მიმაჩნდა, ან მსურდა ვყოფილიყავი. მაგრამ ხატვა არაჩვეულებრივია, იგი სიხარულს განიჭებს და მომთმენს გზდის. ხატვის შემდეგ გაქვს არა შავი თითები, როგორც წერის შემდეგ, არამედ – წითელი და ლურჯი. ამ მხატვრობამაც განარისხა ბევრი ჩემი მეგობარი. ამ მხრივ ბედი არ მწყალობს – ყოველთვის, როდესაც რაიმე საჭირო, ბედნიერს ან მშვენიერს წამოვიწყებ, ხალხი უსიამოვნოდ იჭმუნება. მათ მხოლოდ სურთ, დარჩე ის, რაც იყავი და საკუთარი სახე არ შეიცვალო. მაგრამ ჩემი სახე ამას ეწინააღმდეგება, მას სურს ხშირი ცვალებადობა, ეს მისი მოთხოვნილებაა.

მეორე საყვედური, რომელსაც მიყენებენ, სრულიად სამართლიანად მეჩვენება:

ჰერმან ჰესე / მოკლე ავტობიოგრაფია

მლაატობს სინამდვილის აღქმა. როგორც ნაწარმოებები, რომლებსაც ვწერ, ასევე ნახატები, მე რომ ვხატავ, არ შეესაბამება სინამდვილეს. თხზვის დროს ხშირად მავიწყდება ყველა ის მოთხონა, რომელსაც განათლებული მკითხველი ნამდვილ წიგნს უყენებს. უპირველეს ყოვლისა, მართლაც მაკლია პატივისცემა სინამდვილისადმი. ვფიქრობ, სინამდვილე ისეთი რამაა, რაზეც ყველაზე ნაკლებად უნდა ვიზრუნოთ, რადგანაც ის საკმაოდ აბეზარია, სულ აქ არის, მაშინ, როცა უფრო მშვენიერი საჭირო რამეები ითხოვენ ჩვენს ყურადღებას და მზრუნველობას. სინამდვილე არის ის, რითაც არანაირ ვითარებაში არ შეიძლება კმაყოფილი იყო, რომელსაც არანაირ სიტუაციაში არ უნდა სცემდე თავიანთს და არ უნდა ადიდებდე, რადგან ის შემთხვევითობაა, – ცხოვრების ნარჩენი. და ეს საცოდავი, ყოველთვის იმედის გამცრუებელი, უსიხარულო სინამდვილე სხვა არანაირად არ შეგვიძლია შევცვალოთ, თუ არა ისე, რომ უარვყოთ იგი, რათა ვაჩვენოთ, რომ მასზე ძლიერნი ვართ.

ჩემს ნაწარმოებებში ხშირად მოისაკლისებენ ჩვეულებრივ პატივისცემას სინამდვილისადმი: როდესაც მე ვხატავ, ხეებს სახეები აქვთ, სახლები კი იცინიან ან ცეკვავენ, ან კიდევ ტირიან, ხოლო ჩემს მიერ დახატული ხე მსხლისაა თუ წაბლის, ამის გარჩევა, ძირითადად, შეუძლებელია. ეს საყვედური მართლაც უნდა მივიღო. უნდა ვაღიარო, რომ საკუთარი ცხოვრებაც ხშირად სწორედ ზღაპარით მეჩვენება, გარე სამყაროს ხშირად ჩემს შინაგან სამყაროში ვხედავ და ვგრძნობ იმგვარ ურთიერთკავშირსა და თანხმობაში, რასაც მე მაგიურს ვუწოდებდი.

ზოგჯერ სისულელებიც მომდის, მაგალითად, ერთხელ საკმაოდ უწყინარი აზრი გამოვთქვი ცნობილი პოეტის შილერის შესახებ, რის გამოც მაშინვე მთელმა სამხრეთ-გერმანულმა კეგლის კლუბებმა მშობლიურ სიწმინდეთა შემბლაღავად გამომაცხადეს. ამჟამად კი, უკვე წლების განმავლობაში, ვახერხებ აღარ ვთქვა ისეთი რამ, რაც სიწმინდეებს შეურაცხყოფს და ადამიანები რისხვისაგან გაწითლდებიან. ამ მხრივ წინსვლას ნამდვილად ვამჩნევ.

რადგანაც ახლა ეგრეთ წოდებული სინამდვილე ჩემთვის დიდ როლს არ ასრულებს, რადგანაც წარსული ხშირად ახლანდელივით მავსებს და ახლანდელი კი უსახლვროდ შორს მეჩვენება, ამიტომ მაინცდამაინც არც მომავლის მკვეთრად გამოცალკეება შემიძლია წარსულისაგან, როგორც ამას ჩვეულებრივ ახერხებენ. ძალიან ბევრს ვცხოვრობ მომავალში და ამდენად არ ვსაჭიროებ ჩემი ბიოგრაფიის დღევანდელი დღით დასრულებას, არამედ თავისუფლად შემიძლია, მას მშვიდად გაგრძელება ვაცადო.

მოკლედ, მინდა ვიამბოთ და ჩემი ცხოვრების რკალი მთლიანად შევკრა. 1930 წლის წინამორბედ წლებში კიდევ დავწერე რამდენიმე წიგნი, რათა ამ

საქმიანობისთვის შემდგომ სამუდამოდ ზურგი მექცია. საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ჩემი პროექტებისადმი მიკუთვნება, განხილულ იქნა ორი ბევრითი ახალგაზრდის დისერტაციებში, მაგრამ პასუხგაუცემელი კი დარჩა. უახლესი ლიტერატურის დაწვრილებითი გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ფლუიდები, რომელსაც უახლოეს დროში პროექტები შეისწავლიან, ისეთ გაფერმკრთალებულ ფორმას იღებენ, რომ უკვე შეუძლებელი ხდება განსხვავების დადგენა პროექტსა და ლიტერატორს შორის. ამ ობიექტური ანალიზის საფუძველზე ორივე დოქტორანტი მაინც საწინააღმდეგო დასკვნამდე მივიდა. ერთ-ერთი, უფრო სიმპათიური, იმ აზრისა იყო, რომ მსგავსი სასაცილოდ შეთხელებული პოეზია უკვე აღარ წარმოადგენს პოეზიას. და რადგანაც უმინაარსო ლიტერატურა აღარ არის სიცოცხლისუნარიანი, იმის თანახმად, თუ რას ეძახიან ჩვენს დროში პოეზიას, თავისუფლად შეგვეძლო მისთვის მშვიდი სიკვდილით განსვენება გვეცლია. მეორე, თუმცა უდაოდ დიდი თაყვანისმცემელი იყო ამგვარად შეთხელებული პოეზიისა, და ამის გამო თვლიდა, რომ, სიფრთხილისათვის, უმჯობესია ცნო ასი არაპოეტი, ვიდრე უსამართლოდ მოექცე თუნდაც ერთ პოეტს, ვის ძარღვებშიაც შესაძლოა კიდევ ჩქეფს ერთი წვეთი მაინც ჭეშმარიტი პარნასული სისხლისა.

მე, ძირითადად, ხატვითა და ჩინური მაგიით ვიყავი დაკავებული, თუმცა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ დროს მუსიკას ვუთმობდი. მოგვიანებით ჩემს პატივმოყვარე ოცნებად იქცა, დამეწერა რაღაც, ოპერის მსგავსი, რომელშიც ადამიანთა ცხოვრების ეგრეთ წოდებული სინამდვილე ზედმეტად სერიოზულად არ აღიქმებოდა, ცოტა დამცინავდაც კი, სამაგიეროდ, იბრწყინებდა თავისი მარადიული ფასეულობებით, როგორც სურათ-ხატი ღვთაების ფრიალა სამოსისა. ცხოვრების მაგიური აღქმა ყოველთვის ახლოს იყო ჩემთან, არასოდეს ვყოფილვარ “თანამედროვე ადამიანი” და მუდამ ვთვლიდი ჰოფმანის “ოქროს ქოთანს”, ან სულაც “ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენს”¹² საუკეთესო სახელმძღვანელოებად, ვიდრე მთელ მსოფლიო ისტორიასა და საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოებს (მართალია, მათშიც არაერთხელ ვპოულობდი აღმაფრთოვანებელ ნააზრევს, როცა კი ვკითხულობდი მათ). ახლა კი ჩემს ცხოვრებაში ის პერიოდი დაიწყო, როცა უკვე აზრი აღარა აქვს, აშენო და უფრო დაანაწევრო უკვე ფორმირებული და საკმარისზე მეტად დიფერენცირებული პიროვნება. მაშინ, როცა თავს იჩენს ამოცანა, რათა ადამიანის ფასეულ “მე”-ს სამყაროში კვლავ დაშვების ნება მივცეთ და საკუთარი თავი სწრაფწარმავალი ყოფიერების წინაშე მარადიულ და უჟამო წესრიგში კვლავ ჩავაყენოთ. ამ აზრების თუ ცხოვრებისეული განწყობების გამოსახატავ საშუალებად მხოლოდ ზღაპარი მესახებოდა, ხოლო

¹² ნოვალისი (1772-1801) – დიდი გერმანელი რომანტიკოსი მწერალი. მას ეკუთვნის ნახსენები რომანი.

ზღაპრის უმაღლეს ფორმად ოპერას ვხედავდი. შესაძლოა იმიტომ, რომ ჩვენს გაუფასურებულ და სასიკვდილოდ განწირულ ენაში სიტყვის მაგიას ნამდვილად აღარ მჯეროდა, მაშინ, როცა მუსიკა ჯერ კიდევ ხე-ცხოვლად მიჩნდა, რომლის ტოტემმა დღესაც შეიძლება სამოთხის ვაშლები გამოისხან. მსურდა ის მეჩვენებინა ჩემს ოპერაში, რაც ნაწარმოებებში ვერ შევძელი: ადამიანთა ცხოვრებისათვის მაღალი და მომხიბლავი აზრი დამესახა. მსურდა ხოტბა შემესხა ბუნების უძწიკვლოებისა და ამოუწურავი ენერგიისადმი და მსვლელობის განვითარება იქამდე მიმეყვანა, როდესაც იგი გარდაუვალი ტანჯვა-წამებისაგან იძულებულია სულს მიმართოს, შორეულ საპირისპირო პოლუსს, ხოლო ცხოვრების ქროლვა ორივე პოლუსს – ბუნებასა და სულს შორის მხიარულად, კეკლუცად, მთელი სრულყოფილებით ამესახა, როგორც გადაშლილი ცისარტყელა.

სამწუხაროდ, ამ ოპერის დასრულება არ დამცალდა. მასაც იგივე ბედი ეწია, რაც ჩემს ნაწარმოებებს. ლიტერატურა მას შემდეგ დავთმე, რაც ვნახე, რომ ყოველივე, რისი თქმაც მნიშვნელოვნად მიჩნდა, ათასჯერ უფრო ნათლად უკვე ნათქვამი იყო “ოქროს ქოთანსა” და “ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენში”, ვიდრე ამას მე შევძლებდი. ასევე დაემართა ჩემს ოპერასაც. სწორედ მაშინ, როდესაც დავასრულე მუსიკაში მეცადინეობის რამდენიმეწლიანი მოსამზადებელი პერიოდი და ლიბრეტოს, როგორც ნაწარმოების აზრისა და შინაარსის უფრო დამაჯერებლად წარმოჩენის მრავალრიცხოვან ძიებაში, უცებ მივხვდი, რომ ჩემს ოპერაში სხვა არაფრის გადმოცემას ვცდილობდი, გარდა იმისა რაც “ჯალოსნურ ფლეიტაში” უკვე კარგა ხანია, მშვენივრად არის გაუღერებული.

ამის გამო, ეს სამუშაო გვერდზე გადავდე და თავი მთლიანად პრაქტიკულ მაგიას მივუძღვენი. თუ ჩემი ოცნება ხელოვნებაზე თავის მოტყუება იყო, თუ არ შემქმლო არც “ოქროს ქოთანისა” და არც “ჯალოსნური ფლეიტის” შექმნა, მაშინ ჯალოქრობისთვის ხომ მაინც ვიყავი დაბადებული. ლაო ძისა და “ი-ძინის”¹³ აღმოსავლურ გზაზე უკვე კარგა ხანია, იმდენად შორს ვიყავი წასული, რომ მშვენივრად ვიცნობდი ეგრეთ წოდებული სინამდვილის შემთხვევითობებსა და გარდაქმნებს. ამჯერად თვითონ განვაგებდი ამ სინამდვილეს მაგიის დახმარებით და, უნდა ვაღიარო, ამისგან დიდ სიამოვნებასაც ვიღებდი. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის როდი ვრჩებოდი ეგრეთ წოდებული თეთრი მაგიის მშვენიერ ბაღში, არამედ დროდადრო გადმომქონდა ცხოველი ცეცხლის პატარა ალი შავი მხრიდანაც.

მას შემდეგ, რაც სამოცდაათს გადავაბიჯე, და რაც ორმა უნივერსიტეტმა ღირსების ნიშნად საპატიო დოქტორის წოდება მომანიჭა, სასამართლოს

¹³ “ი-ძინი” – ძველი ჩინური ფილოსოფიურ-მაგიური ლიტერატურის ძეგლი, რომელსაც მკითხაობის პრაქტიკაშიც იყენებდნენ. ჰესე ცხოვრებისეულ რთულ მომენტებში ხშირად მიმართავდა “ი-ძინს”.

წინაშე წარვსდები ახალგაზრდა გოგონას ჯადოქრობის მეშვეობით ცდუნების ბრალდებით. ციხეში ხატვის ნებართვა ვითხოვე. ეს თხოვნა დააკმაყოფილეს. მეგობრებმა საღებავები და ხატვისთვის საჭირო აღჭურვილობა მომიტანეს და ჩემი საკნის კედელზე დავხატე პატარა ლანდშაფტი. ამგვარად კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ხელოვნებას და ყველა ბეწვის ხიდი, რომლის გავლაც მე მომიხდა როგორც ხელოვანს, ხელს ვეღარ შემიშლიდა, კიდევ ერთხელ შეემესვა ეს სასმისი, მოთამაშე ბავშვივით კიდევ ერთხელ ამეშენებინა პატარა, საყვარელი, თამაშის სამყარო და ამით დამეოკებინა გული, კიდევ ერთხელ შორს მომეხროლა ყოველგვარი სიბრძნე და აბსტრაქცია და ქმნადობის პრიმიტიული ხალისი განმეცადა. ისევ ვხატავდი, ვაზავებდი საღებავებს, ფუნჯს ვაწობდი მათში, კიდევ ერთხელ აღტაცებით ვიგეძე ყოველივე ეს უსასრულო ჯადოქრობა: მეწამულის ნათელი მხიარული ჟღერადობა, სიწმინდით სავსე ყვითელი, ღრმა და ხელშესახები ლურჯი და მათი ნაზავის მუსიკა შორეულ, უფერმკრთალეს ნაცრისფერამდე. ბავშვურად ბედნიერი მივსდევდი შესაქმის თამაშს, ვხატავდი რა ლანდშაფტს ჩემი საკნის კედელზე. ეს ლანდშაფტი ყოველივე იმას შეიცავდა, რაც კი მახარებდა ცხოვრებაში: მდინარეები და მთები, ზღვა და ღრუბლები, გლეხები მოსავლის აღებისას და კიდევ მთელი რიგი მშვენიერი რამეებისა, რაც სიამოვნებას მგვრიდა. სურათის შუაგულში კი მატარებელი გადიოდა. იგი მთისკენ მიემართებოდა და თავით უკვე მთაში ძვრებოდა, როგორც ჭია ვაშლში. ორთქლმავალი უკვე პატარა გვირაბში იყო შესული, რომლის ბნელი სიმრგვალიდან ბოლქვებად დანაწევრებული კვამლი ამოდიოდა.

ჯერ არასდროს გავუტაცნივარ თამაშს ისე, როგორც ამჯერად. ხელოვნებაში ამგვარი დაბრუნებით მე არა მხოლოდ დავივიწყე, რომ პატიმარი და ბრალდებული ვიყავი, რომ მცირე იმედი მქონდა, დარჩენილი ცხოვრება სადმე სხვაგან გამეტარებინა საპყრობილეს გარდა, – ხშირად მავიწყებოდა ჩემი მაგიური სავარჯიშოებიც კი და თავს უკვე საკმაოდ დიდ ჯადოქრად ვგრძნობდი, როდესაც წვრილი ფუნჯით პაწაწინა ხეს ან ნამცეცა ნათელ ლამაზ ღრუბელს ვქმნიდი.

ამასობაში, ეგრეთ წოდებული სინამდვილე, რომელთანაც მართლაც აღარაფერი მაკავშირებდა, ყოველნაირად ცდილობდა, მასხრად აეგლო ჩემი ოცნება და გაენადგურებინა იგი. თითქმის ყოველდღე ბადრაგის თანხლებით გავყავდი უაღრესად უსიმპათიო ოთახში, რომლის ცენტრშიც მიმოფანტულ ფურცლებს შორის ისხდნენ არასიმპათიური ადამიანები, რომლებიც დამკითხავდნენ, თან არ სურდათ ჩემი დაჯერება; მიყვიროდნენ და ხან სამი წლის ბავშვივით მეპყრობოდნენ, ხან კი – როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს. სულაც არ არის საჭირო ბრალდებული იყო, რომ გაიცნო კანცელარიის უცნაური, მართლაც კომმარული

ქალაქების და აქტების სამყარო. ყველა იმ ჯოჯოხეთს შორის, რომელიც კი ადამიანს – რაც არ უნდა უცნაური იყოს – საკუთარი თავისთვის შეუქმნია, ეს ყოველთვის ყველაზე უფრო ჯოჯოხეთურად მეჩვენებოდა, საკმარისია დაგჭირდეს სადმე გადასვლა ან დაქორწინება გსურდეს, პასპორტი ან მოქალაქეობის მოწმობა მოითხოვო, უკვე ამ ჯოჯოხეთის შუაგულში დგახარ; იძულებული ხარ, მძიმე წუთები გაატარო დახურულ სივრცეში ქალაქებით გარემოცულმა, სადაც მოწყენილი და მაინც მოფაციფუცე, უსიხარულო ადამიანები დაგკითხავენ და გიყვირიან, სადაც, რაც არ უნდა უბრალოდ და მართლად უპასუხო, მაინც ისე მოგექცევიან, როგორც სკოლის მოსწავლეს ან დამნაშავეს. მოკლედ, ეს ხომ ყველასათვის ნაცნობია. მე უკვე კარგა ხნის დამხრჩვალნი და გამოფიტული ვიქნებოდი ამ ქალაქის ჯოჯოხეთში, ჩემს საღებავებს სულ უფრო და უფრო რომ არ ვენუგეშებინე და გავეხალისებინე, ჩემს სურათს, ჩემს პატარა ლანდშაფტს ისევ ჰაერი და სიცოცხლე რომ არ ებოძებინა.

ერთხელაც, საპრობილეში სურათის წინ ვიდექი, როდესაც ბადრაგები ისევ მოცვივდნენ თავისი მოსაწყენი გამოძახებით მოსამართლესთან და ჩემი ამ აღტაცებული საქმიანობისაგან მოწყვეტა სურდათ. მაშინ დაღლილობა და რაღაც გულისრევის მსგავსი რამ ვიგრძენი მთელი ამ უხეში და უსულო სინამდვილისადმი. მომეჩვენა, დრო მოვიდა, რომ ამ წამებისათვის წერტილი დამესვა. რადგან ნებას არ მრთავდნენ ხელის შეუშლელად, ყოვლად უწყინარი მხატვრის ჩემეული თამაში მეთამაშა, მაშინ სწორედ იმ უფრო სერიოზული ხელოვნებისათვის უნდა მიმემართა, რომელსაც ცხოვრების არა ერთი წელი მიუძღვნი, მაგიის გარეშე ეს სამყარო აუტანელი იყო.

გავიხსენე ერთ-ერთი ჩინური შეგონება: ერთი წუთის განმავლობაში სუნთქვაშეკრული ვიდექი და გამოვეთიშე სინამდვილის დაბნეულობას. შემდეგ კი ბადრაგებს თავაზიანად ვთხოვე, ცოტა ხანს კიდევ მოეცადათ, რადგან ჩემს სურათზე მატარებელში უნდა ჩამჯდარიყავი და იქ რაღაც მენახა. მათ გადაიხარხარეს, როგორც იციან ხოლმე, რადგან სულიერად დაავადებულად ჩამთვალეს.

შემდეგ მე დავპატარავდი და ჩემს ნახატში შევედი¹⁴, ჩავჯექი პატარა მატარებელში და ამ პატარა მატარებლით პატარა შავ გვირაბში შევძვერი. ცოტა ხანს კიდევ მოჩანდა მრგვალი ხვრელიდან გამონაბოლქვი კვამლი. შემდეგ კვამლი გაიფანტა და გაქრა. მასთან ერთად გაქრა მთელი სურათი და სურათთან ერთად – მეც.

ბადრაგები კი დაბნეულობისაგან ადგილზე გახევდნენ.

¹⁴ მხატვრის საკუთარ ნახატში გაქრობის მოტივი ხშირად გვხვდება ძველ ჩინურ ზღაპრებსა და მოთხრობებში.



- ზმბრ, ჯიწიგ ზმბრ - გჲ
გ. რ. რ.

ჯადოქრის ბავშვობა

ჰერმან ჰესე

გერმანულიდან თარგმნა: რუსუდან ბეჟაშვილი

ისევ და ისევ ჩავეშვი
შენს ჭაში, მშვენიერო არაკო, წარსულიდან
შორიდან მესმის ოქროსფერი შენი სიმღერა:
როგორ იცინი, როგორ ოცნებობ, ან კიდევ
როგორ ტირი მალულად.

მიმზიდველი ჩურჩულით მესმის
ჯადოსნური სიტყვები შენი წიალიდან
და მთვრალი ვარ მის ბურუსში გახვეული,
შენ კი მეძახი ისევ და ისევ.

მხოლოდ მშობლებმა და მასწავლებლებმა როდი აღმზარდეს, არამედ – მალაღმა, ფარულმა და იღუმალებით მოცულმა ძალებმაც; მათ შორის იყო ღმერთი პანი, პატარა მოცეკვავე ინდოელი ღმერთის ფიგურის სახით რომ იდგა პაპაჩემის მინის კარადაში. ეს ღვთაება და, მასთან ერთად სხვებიც, ჩემს ბავშვურ წლებში შემოიჭრნენ და დიდი ხნით ადრე, ვიდრე წერა-კითხვას ვისწავლიდი, ისე აღმავსეს ამომავალი მზის ქვეყნის უძველესი სურათ-ხატებითა და აზრებით, რომ შემდგომში ყოველ შეხვედრას ინდოელ თუ ჩინელ ბრძენებთან ხელახალ შეხვედრასავით, ან შინ დაბრუნებასავით აღვიქვამდი. და ამის მიუხედავად, ვთვლი, რომ მაინც ევროპელი ვარ, მე ხომ მშვილდოსნის¹ აქტიური ნიშნის ქვეშ დავიბადე და მთელი ცხოვრების მანძილზე ვიწრთობოდი ჩამავალი მზის ქვეყნების ქველმოქმედებაში: გამძლეობაში, ვნებიანობასა თუ დაუცხრომელ ცნობის წადილში. საბედნიეროდ, სხვა ბავშვების უმრავლესობის მსგავსად, სკოლამდელ ასაკშივე შევისწავლე, რაც აუცილებელი და ყველაზე უფრო ფასეულია ცხოვრებისათვის. ეს მე ვაშლის ხეებმა, წვიმამ და მზემ, მდინარემ და ტყემ, ფუტკრებმა და ხოჭოებმა მასწავლეს; მასწავლა ასევე ღვთაება პანმა, მოცეკვავე ღმერთმა პაპაჩემის საგანძურიდან. სამყაროში გავთვითცნობიერიდი, უშიშრად ვურთიერთობდი ცხოველებთან და ვარსკვლავებთან, თავს შინაურად ვგრძნობდი ხილის ბაღებში თუ თევზებთან წყალში და კარგა ბლომად სიმღერებიც ვიცოდი. ჯადოქრობაც შემეძლო, რასაც შემდგომ, სამწუხაროდ, მალე

¹ მწერლის მეგობრის, მწერალ იოზეფ ენგლერტის მიერ შედგენილი ჰოროსკოპის თანახმად, ჰესე მშვილდოსნის ნიშნის ქვეშა დაბადებული.

გადავეჩვიე და მხოლოდ მოგვიანებით, უკვე საკმაოდ ხანში შესულს, მომიხდა მისი ხელახლა შესწავლა და ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა ბავშვობის მთელი საარაკო სიბრძნე.

ამას თან დაერთო სასკოლო მეცნიერებანი, რომლებიც მეადვილებოდა და ხალისსაც მგვრიდა. სკოლის სიბრძნედ უნდა ჩაითვალოს, რომ აქ გვასწავლიდნენ არა იმ სერიოზულ მცნებებს, რაც ცხოვრებისთვის აუცილებელია, არამედ უმეტესად სათამაშო და მშვენიერ გასართობებს, რაშიც ხშირად დიდ სიამოვნებას ვპოვებდი და გვაძლევდა იმ ცოდნას, რომელთაგან ზოგიერთი მთელი ცხოვრება ერთგულად მომეყვა; ასე და ამგვარად, დღესაც ვიცი ბევრი კარგი და თავშესაქცევი ლათინური სიტყვა, ლექსი და გამონათქვამი, ასევე შემიძლია დავასახელო რაოდენობა მრავალი ქალაქის მოსახლეობისა მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ცხადია, არა დღევანდელი მონაცემებით, არამედ ოთხმოციანი წლების.

ცამეტ წლამდე სერიოზულად არც დავეჩვიე უღვარ, ვინ გამოვიდოდი და რომელ პროფესიას შევისწავლიდი. როგორც ყველა ბიჭი, მეც მიყვარდა და შევნატროდი ზოგიერთ ხელობას: მონადირის, მეტივის, მეტელოს, თოკზე მოცეკვავის თუ ჩრდილოეთ პოლუსის მკვლევარისას. თუმცა ყველაფერს ჯადოქრობის სურვილი სჭარბობდა. ეს იყო ჩემი მიდრეკილების უღრმესი და მგზნებარებით აღსავსე მხარე, გარკვეული უკმაყოფილება იმით, რასაც „რეალობას“ უწოდებდნენ² და, რაც მე დროდადრო უფროსების მხოლოდ უაზრო შეთანხმებად მეჩვენებოდა; გარკვეული წინააღმდეგობა ამ რეალობისადმი, ხან საშიში, ხან დამცინავი, ადრე გამიჩნდა, და მასთან ერთად მწველი სურვილი მისი მოჯადოების, სახეცვლის ან ამაღლებისა. ბავშვობაში ჯადოქრობის ეს სურვილი გარეგნული, ბავშვური მიზნებისაკენ იყო მიმართული: მსურდა ზამთარში ვაშლები გაზრდილიყვნენ და ჩემი ქისა ჯადოქრობის წყალობით ოქრო-ვერცხლით ამეკსო. ვოცნებობდი, ჩემი მტრები მაგიური ძალით გამედევნა, შემდეგ დიდსულოვნად შემერცხვინა, რომ საბოლოოდ გამარჯვებულად და მეფედ ველიარებინე; დამალული განძი მეპოვნა, მიცვალებულთა აღდგომა შემძლებოდა და თავად კი უჩინარი გავმხდარიყავი. სწორედ ეს უჩინრად გახდომა იყო ხელოვნება, რომელსაც განსაკუთრებით ვაფასებდი და განსაკუთრებული გულითადობით ველტვოდი. ამ და სხვა ჯადოქრული უნარების სურვილი სხვადასხვაგვარად სახეცვლილი მთელი ცხოვრება მსდევდა, ისე, რომ ხშირად თავადაც ვერ ვხვდებოდი. შემდგომში ასეც მემართებოდა, როდესაც უკვე კარგა ხნის მოზრდილი ვიყავი და ლიტერატორის პროფესიას ვფლობდი, ხშირად ვცდილობდი, ჩემი ნაწარმოებების მიღმა გავმქრალიყავი³, გადავინათლულიყავი და მრავალმნიშვნელოვან სასაცილო

შერმან ჰესე / ჯადოქრობის ბავშვობა

² როგორც ცნობილია, ჰესეს შემოქმედების ამოცანას წარმოადგენდა არა გარეგნული რეალობის ასახვა, არამედ შინაგანი სულიერი რეალობისა, ცხოვრების არა ხილული გამოვლინების, არამედ იმ არსისა, რომელიც ხილვადის მიღმა იმალება და აზრს აძლევს ცხოვრებას.

სახელებს ამოვფარებოდი, რაც ჩემს თანამოკალმეებს ხშირად ანაწყენებდა და ეს მრუდედ ესმოდათ. უკან რომ ვიხედები, ვხედავ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ჯადოქრობის სურვილის ამ ნიშნის ქვეშ წარიმართა; დროსთან ერთად თუ როგორ იცვლებოდა ჯადოქრობის სურვილთა მიზეზები, როგორ გამოვტაცე იგი თანდათანობით გარესამყაროს და შევისრუტე თავად ჩემში, თუ როგორ მივისწრაფოდი თანდათან იქითკენ, რომ საგნები კი არა, საკუთარი თავი გარდამესახა, როგორ გამოვიმუშავე შემდგომ ძლიერი სწრაფვა, რომ უჩინმაჩინის ქვეშ მოუქნელი უჩინარობა მცოდნე კაცის უჩინარობით შემეცვალა, რომელიც შეიმეცნებს რა, თავად შეუმეცნებელი რჩება. ყოველივე ეს იყო ჩემი ცხოვრების ჭეშმარიტი შინაარსი.

მე სიცოცხლით სავსე და ბედნიერი ბიჭი ვიყავი, მუდამ თამაშში გართული მშვენიერ ფერადოვან სამყაროსთან, ყველგან შინ ვგრძნობდი თავს, ცხოველებსა და მცენარეებს შორის; ისე როგორც ჩემი საკუთარი ფანტაზიისა და ოცნებების უღრან ტყეში საკუთარი ძალებისა და უნარების გრძობით გამსჭვალული, მგზნებარე სურვილებით უფრო გაცისკროვნებული, ვიდრე ღონემიხდილი. იმგვარ ჯადოქრობის ხელოვნებას ვფლობდი მაშინ, რომ თავადაც არ ვიცოდი, გაცილებით სრულყოფილს, ვიდრე შემდგომ, როცა ის კვლავ მეპოდა. ადვილად მოვიპოვებდი სიყვარულს ან გავლენას სხვა ადამიანებზე, საკუთარ თავს ხშირად ვაწყდებოდი წინამძღოლის როლში, ან ისეთი კაცის, ვისკენაც მიილტვიან, ზოგჯერ კი იდუმალებით მოცული ადამიანისა. ჩემზე ახალგაზრდა ნაცნობებსა და ნათესავებს წლების მანძილზე ვამყოფებდი ჩემი ნამდვილი ჯადოქრული ძალაუფლების მორჩილი რწმენის ქვეშ, დემონებზე ბატონობის, ფარულ საგანძურთა თუ გვირგვინთა მფლობელობის ძალაუფლებაზე. დიდხანს ვცხოვრობდი სამოთხეში, იმისდა მიუხედავად, რომ ჩემმა მშობლებმა ნაადრევად გამაცნეს გველი. დიდხანს გრძელდებოდა ჩემი ბავშვური ოცნება, მთელი სამყარო მე მეკუთვნოდა, ყველივე ეს სინამდვილე იყო, და ყველაფერი ჩემს ირგვლივ მშვენიერი თამაშისათვის მოწყობილიყო. ჩემში უკმარისობა ან სევდა თუ გაჩნდებოდა, თუ სინარულით სავსე სამყარო ჩრდილით ან ეჭვით მოიფინებოდა, მაშინ ადვილად ვპოულობდი გზას სხვა, უფრო თავისუფალ, ფანტაზიისთვის გადაშლილ სამყაროში და იქიდან დაბრუნებულს გარე სამყარო ხელახლა მშვენიერ და სიყვარულით აღსავსე საუფლოდ მეჩვენებოდა. დიდხანს ვცხოვრობდი სამოთხეში.

მამაჩემის პატარა ბაღში იყო შემოღობილი ადგილი, სადაც კურდღლები და ერთი მოშინაურებული ყვავი მყავდა. უსასრულოდ, საათობით ვსახლობდი

³ ჰესე აქ გულისხმობს იმ მცდელობას, როდესაც მან რომანი “დემიანი” სინკლერის ფსევდონიმით გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ კრიტიკოსთა შემოტყვის გამო იძულებული გახდა ავტორობა ელიარებინა.

იქ, ვითარცა სამყაროს ასაკი სითბოსა და საკუთრების ნეტარებაში, სიცოცხლის სუნი ასლიოდათ კურდღლებს: ბალახისა და რძის, სისხლისა და გამრავლების; ხოლო ყვავის შავ მკაცრ თვალბში მარადიული სიცოცხლის ლამპარი ენთო. ამავე ადგილას ვატარებდი განსაკუთრებულ უსასრულო საათებს, საღამოობით, ანთებული სანთლის ნამწვზე, თბილ მთვლემარე ცხოველების გვერდით, მარტო ან ვინმე ამხანაგთან ერთად გაწყობდი გეგმებს, წარმოუდგენელი განძის ამოსაღებად, მანდრაგორის⁴ ფესვების მოსაპოვებლად. როგორ შევუდგებოდი რაინდულ ლაშქრობებს კაცობრიობის გადასარჩენად და როგორ გავასამართლებდი ყაჩაღებს, უბედურებს დავისხნინი, დავასაჩუქრებდი ღარიბებს, გავათავისუფლებდი ტყვეებს, მტერთა ციხესიმაგრეებს გადავწვავდი, გამცემლებს ჯვარზე გავაკრავდი, მივუტევებდი მოღალატე ვასალებს, მეფის ასულს მოვიტაცებდი და ცხოველთა ენას შევისწავლიდი.

უშველებელი შავი წიგნი იყო პაპაჩემის წიგნებით სავსე დიდ დარბაზში, მასში ხშირად ვიქექებოდი და ვკითხულობდი. ამ ამოუწურავ წიგნში ძველი საოცარი სურათები იყო. ხშირად ისინი პირველსავე გადაშლაზე თვალში გეცემოდა, ნათელი ფურცლები გიხმობდნენ, ზოგჯერ კი ეძებდი მათ და ვერ პოულობდი, სადღაც გამქრალიყვნენ მოჯადოებულივით, თითქოს არც არსებობდნენ. ამ წიგნში ერთი ამბავი ეწერა: უსაზღვროდ მშვენიერი და გაუგებარი, რომელსაც ხშირად ვკითხულობდი. არც ის იყო ყოველთვის ადვილი მოსაძებნი, ხელსაყრელი მომენტი უნდა მეპოვა, ხშირად მთლად გაქრებოდა და დაიძალეობდა, თითქოს საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალაო, ზოგჯერ კითხვისას განსაკუთრებით მეგობრული იყო და თითქმის გასაგები, სხვა დროს კი პირქუში და უკარება, როგორც ჭერში ასასვლელი კარი, რომლის უკანაც შებინდებისას სულების ხმასაც კი გაიგონებდი: როგორ ხითხითებდნენ, ან კვნესოდნენ. ყოველივე სავსე იყო ჭეშმარიტებით, ასევე ჯადოქრობით, ორივე ერთმანეთს ნდობით ეკვროდა, ორივე მე მეკუთვნოდა.

ის ინდოელი მოცეკვავე ღმერთიც, პაპაჩემის განძეულობით სავსე მინის კარადაში რომ იდგა, ყოველთვის ერთი და იგივე ღვთაება არ იყო, ყოველთვის ერთი და იგივე სახე როდი ჰქონდა და არც ყოველთვის ერთსა და იმავე ცეკვას ასრულებდა. დროდადრო ის იყო ღმერთი, უცნაური და ოდნავ სასაცილო, თავშესაქცევი ფიგურა, რომელსაც უცხო, მიუწვდომელ ქვეყნებში თავყვანს სცემდნენ და ასევე უცხო და მიუწვდომელი ხალხის მიერ იყო შექმნილი. სხვა დროს ის ჯადოსნური ნივთი იყო დიდად მნიშვნელოვანი და უსახელო, მსხვერპლს მოწყურებული, ბოროტი, მკაცრი, არასაიმედო, დამცინავი; მეჩვენებოდა, რომ მეშუქრებოდა, ზოგჯერ მასზე რომ ვიცინოდი, რათა შემდეგ ჩემზე

⁴ ვაშლისებური ნაყოფის მქონე მცენარე. მანდრაგორის ფესვები ფორმით ადამიანს ჩამოჰგავს, ხალხურ წარმოდგენაში მას სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ.

შური ეძია. მას მზერის შეცვლაც შეეძლო, თუმცა ყვითელი ლითონისა იყო, ზოგჯერ თვალეხსაც აელმებდა. სხვა მომენტში კი რაღაც სიმბოლოდ იქცეოდა, არც საზიზღარი იყო და არც მშვენიერი, არც ბოროტი და არც კეთილი, არც სასაცილო და არც საშიში, არამედ უბრალოდ ძველი და მოუაზრებელი, როგორც რუხები⁵, როგორც ხავსის ლაქა კლდეზე, როგორც ნახატი რიყის ქვაზე და მისი ფორმის, სახისა და ხატის უკან ღმერთი სახლობდა. ის მოიცავდა უსასრულობას, რომელსაც მე მაშინ, პატარა ბიჭი, სახელის ცოდნის გარეშე არანაკლებ ვიცნობდი და ვეთაყვანებოდი, ვიდრე შემდგომ, როცა მას შივას და ვიშნუს⁶ ვეძახდი, როცა მას ღმერთს, სიცოცხლეს, ბრაჰმანს, ატმანს, დაოს⁷ ან მარადიულ მშობელს ვუწოდებდი. ეს იყო მამა, დედა, იყო ქალიც და კაციც, მზე და მთვარე.

ამ პატარა ღმერთის გვერდით მინის კარადაში და პაპის სხვა კარადებშიც იდგა, ეკიდა და ეწყო კიდევ ბევრი სხვა არსება თუ მოწყობილობა, ვარდის გვირგვინივით დაწნული მარგალიტის მძივები, პალმისფოთლებიანი რგოლები ამოტვიფრული ძველინდური შრიფტით, კუები მწვანე ქვით ნათალი, ღმერთების პატარა ხის ფიგურები, ასევე მინის, კვარცის, თიხის; აბრეშუმისა და სელის ამოქარგული სუფრები, კალის ტოლჩები და თასები. ყოველივე ეს ინდოეთიდან იყო, ცვილონიდან, სამოთხის კუნძულიდან ფართოფოთლებიანი გვიძრის და პალმის სანაპიროებით და ნაზი სინგოლეზიური ხეებით სიამიდან და ბირმიდან. ყოველივეს ზღვის სუნი ასდიოდა, სხვადასხვა სუნელებისა და სიშორის; დარიჩინისა და სანდალოზის ხისა. ყოველივე ამას ყავისფერ და ყვითელ ხელებში გამოეკლო, დანამულიყო ტროპიკული წვიმებითა და მდინარე განგის წყლით, ეკვატორის მზეზე გამომშრალი, უღრან ტყეში ნაჩრდილობევი. და ყველა ეს ნივთი პაპას ეკუთვნოდა, იგი მოხუცი, ღირსეული, ძლიერი, ხშირი თეთრი წვერით, ყოვლისმცოდნე, ძალაუფლების მქონე, უფრო მეტად, ვიდრე დედა ან მამა, - კიდევ სრულიად სხვა საგნებსა და ძალებს ფლობდა. მას ეკუთვნოდა არა მხოლოდ მთელი ეს ინდური ღმერთები და სათამაშოები, მთელი ეს ნაკვეთ-ნაჭედი, მოხატული ჯადოქრობით ხელდასხმული ავლადიდება:

⁵ ძველგერმანული დამწერლობა, უტიმოდოლოგიურად მომდინარეობს ძველგერმანული სიტყვისაგან რუნ – “საიდუმლო”.

⁶ შივა და ვიშნუ – ინდური პანთეონის მთავარი ღმერთები. შივა – სიცოცხლის შემქმნელი და განადგურების ღმერთი. ის სამყაროს ანადგურებს და ქმნის ცეკვაში. მასში განსხვავებულია სამყაროს მოძრაობის რიტმი. ვიშნუ – მარად ცოცხალი ბუნების გამოხატულებაა, მზიური ღვთაება.

⁷ ბრაჰმანი – უპიროვნო ღვთაებრივი აბსოლუტი, თვითარსებრივი საწყისი, ხილული სამყაროს საფუძველი.

ატმანი – “სამშვიდველი”. ძველინდურ რელიგიურ მოძღვრებებში: უმაღლესი ინდივიდუალური საწყისი, “მსოფლიო სამშვიდველის” იდენტური.

დაო – ჩინურად “გზა”. კატეგორია ძვ. ჩინ. ფილოსოფიაში: აბსოლუტი, ტრანსცენდენტული და ემპირიული არსებების ერთიანობა. ევროპულ ენებზე სიტყვას “დაო” თარგმნიან, როგორც “არსი”, “საზრისი”, “ლოგოსი”. . . .

ქოქოსის კაკლის ტოლჩები, წითელი სანდალოზის ხის ზარდახშები, დარბაზი და ბიბლიოთეკა, – ის იყო მაგი, წინასწარმეტყველი, ბრძენი. მან ადამიანთა ყველა ენა იცოდა – ოცდაათ ენაზე მეტი. შესაძლოა მას ღმერთების ენაც ესმოდა და ასევე ვარსკვლავებისაც. მას შეეძლო წერა და საუბარი პალიზე და სანსკრიტზე, იცოდა კანარიული, ბენგალური, ინდური და სინგალებიური სიმღერები, იცნობდა მუსულმანთა და ბუდისტთა ლოცვებსა და ადათ-წესებს, თუმც თავად ქრისტიანი იყო და სწამდა ღვთაებრივი სამება. მრავალი წელი მან აღმოსავლეთის ცხელ და საშიშ ქვეყნებში გაატარა, მოგზაურობისას ხან ნავით და ხანაც ხარებშებმული ურმით, მგზავრობდა ცხენებით თუ სახედრებით. მასავით კარგად არავინ იცოდა, რომ ჩვენი ქალაქი და ქვეყანა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია დედამიწისა, რომ ათასობით და მილიონობით ადამიანი სხვა რწმენას მისდევდა, მათ სხვა წეს-ჩვეულებანი, ენა, კანის ფერი, სხვა ღმერთები, ქველმოქმედნი და მოციქულები ჰყავდათ, ვიდრე ჩვენ. იგი მიყვარდა, ვეთაყვანებოდი და ამავე დროს მეშინოდა მისი, მისგან ყველაფერს მოველოდი, ყველაფერს ვანდობდი. მისგან და მისი ღვთაება პანისგან, კერპის სამოსში რომ იყო გადაცმული, განუწყვეტლივ ვსწავლობდი. ეს კაცი, დედაჩემის მამა, ამოქარგული იყო საიდუმლოებათა ტყეში, როგორც მისი სახე იყო თეთრი წვერის ტყეში ამოქარგული. მისი თვალებიდან მსოფლიო სევდა და ხალისიანი სიბრძნე გამოსჭვივოდა - იმისდა მიხედვით, მხოლოდ-ღა ცოდნა იყო ეს, თუ ღვთაებრივი მზაკვრობა. მას ადამიანები მრავალი ქვეყნიდან იცნობდნენ, პატივს სცემდნენ და სტუმრობდნენ. ელაპარაკებოდნენ: ინგლისურად, ფრანგულად, ინდურად, იტალიურად, მალაურ ენებზე და ხანგრძლივი საუბრების შემდეგ უკვალოდ ქრებოდნენ - იქნებ მისი მეგობრები, იქნებ მისი წარგზავნილები, მსახურები, ან სულაც მისთვის სანდო პირები. და მე მივხვდი, რომ სწორედ მისგან, ამ იდუმალი, ამოუცნობი კაცისაგან მომდინარეობდა ის საიდუმლო, დედაჩემს რომ მოსავდა, იდუმალი და უძველესი. ისიც დიდხანს იყო ინლოეთში, ისიც ლაპარაკობდა და მღეროდა მაღაიამსა და კანარიულს, ბრძენ მამას ეპაექრებოდა სიტყვასა თუ გამონათქვამებში უცხო მაგიურ ენებზე. და სწორედ ისევე, როგორც მამამისს, პერიოდულად უცხო ღიმილი ჰქონდა, სიბრძნის მსუბუქი გამონათების ღიმილი.

მამაჩემი სულ სხვა იყო: თავისთვის, მარტო, ის არ მიეკუთნებოდა პაპას სამყაროს თავისი კერპებით, არც ქალაქის ყოველდღიურობას, არამედ განზე იდგა განმარტოებით, მუდამ მწუხარი და მადიებელი, კაცი ფრიად განათლებული და კეთილმოსურნე, სიყალბისგან შორს იყო და გულმოდგინებით სავსე ჭეშმარიტების სამსახურში, მაგრამ ასევე ძალიან შორს იმ ღიმილისაგან: კეთილშობილი და ფაქიზი, მაგრამ ნათელი და იმ ყოველგვარი, ზემოთ ნახსენები იდუმალების გარეშე. მას სიკეთე მუდამ თან ახლდა, ასევე ჭკუა-გონება, მაგრამ

ის არასოდეს იძირებოდა ჯადოსნურ ღრუბლებში პაპაჩემივით, მისი სახე არასოდეს ეფლობოდა ამ ბავშვურობასა და ღვთაებრიობაში, რომელთა თამაშიც ხან სევდასავით და ხანაც შემპარავ დაცინვად გამოიყურებოდა, ან კიდევ მღუმარედ, როგორც საკუთარ თავში ჩაძირული ღვთაებრივი ნიღაბი. მამაჩემი დედას ინდურ ენაზე არ ელაპარაკებოდა, არამედ ინგლისურად და სუფთა, ნათელი, მშვენიერი და ოდნავ ბალტიკური შეფერილობის გერმანულით. სწორედ ეს ენა მეწეოდა მისკენ, სწორედ ამან მომხიბლა მთლიანად, ის მე მამისაგან ვისწავლე, ვისკენაც ზოგჯერ სრული აღფრთოვანებითა და გზნებით მივიღტვოდი, უჩვეულო გზნებით, თუმცა ვიცოდი, რომ ჩემი ფესვები უფრო ღრმად, დედისეულ წიაღში აღწევდა მუქთვალეებიან იღუმალეების სამყაროში. დედაჩემი აღსავსე იყო მუსიკით, მამა - არა, მას სიმღერა არ შეეძლო.

ჩემთან ერთად იზრდებოდნენ დები და ორი უფროსი ძმა, რომლებსაც შევნატროდი და ვეთაყვანებოდი. ჩვენს ირგვლივ პატარა ქალაქი იყო, ძველი და ოღრო-ჩოღრო, ირგვლივ ტყიანი მთებით, მკაცრი და ოდნავ მოღუშული, შუაში ლამაზი მდინარე მიედინებოდა, დაკლაკნილი და გაუბედავი. ყოველივე ეს ძალიან მიყვარდა და სამშობლოს ვეძახდი. ტყესა თუ მდინარეში ზუსტად ვცნობდი ბალახებს, მიწას, ქვებსა და მღვიმეებს, ჩიტებს, ციყვებს, მელიებსა თუ თევზებს. ეს ყველაფერი მე მეკუთნოდა, ჩემი სამშობლო იყო - მაგრამ ამას გარდა მინის კარადა და ბიბლიოთეკაც აქ იყო და კეთილი, ოდნავ დამცინავი ყოვლისმცოდნე პაპას სახე და დედაჩემის მუქი, თბილი შემოხედვა; კუები და ღვთაებათა კერპები, ინდური სიმღერები თუ გამონათქვამები - ეს საგნები შორეულ სამყაროზე მესაუბრებოდნენ: უფრო დიდ სამშობლოზე, უფრო ძველ წარმომავლობაზე, უფრო მჭიდრო კავშირებზე. ზევით, თავის მავთულის მაღალ გალიაში, ჩვენი მონაცრისფრო, მოწითალო თუთიყუში იჯდა, მოხუცი და ჭკვიანი, ნასწავლი სახითა და ბასრი ნისკარტით. მღეროდა, ლაპარაკობდა და ისიც შორეული უცხოეთიდან იყო. ჯუნგლის ენებზე ჟღერებდა და ეკვატორის სუნი ასდიოდა. მრავალი სამყარო, დედამიწის ბევრი ნაწილი ხელებსა თუ სხივებს იწვდიდნენ, ხვდებოდნენ და იკვეთებოდნენ ჩვენ სახლში. სახლი იყო დიდი და ძველი, ბევრი, ნაწილობრივ ცარიელი ოთახით, სარდაფებითა და დიდი დერეფნებით, სადაც ქვისა და სიცივის სუნი იდგა; უშველებელი სხვენით, რომელიც სავსე იყო შეშითა და ხილით, ამავე დროს - გამჭოლი ქართითა და ბნელი სიცილით. ბევრი სხვადასხვა სამყაროს სხივი იკვეთებოდა ამ სახლში. აქ ლოცულობდნენ და ბიბლიას კითხულობდნენ, აქ მეცადინებდნენ და ინდურ ფილოსოფიას მისდევდნენ, აქ ბევრი კარგი მუსიკა შექმნილა, აქ იცოდნენ ბუდასა⁸ და ლაო ძის⁹ შესახებ. სტუმრები ჩამოდიოდნენ მრავალი ქვეყნიდან, მათ მოჰყვებოდათ უცხოეთის სიო საკუთარ სამოსზე, განსაკუთრებული

ტყავისა თუ ჩალის ჩემოდნებით, უცხო ენობრივი ჟღერადობით. აქ ღარიბებს აპურებდნენ, ეწყობოდა დღესასწაულები, მეცნიერება და ზღაპარი ერთმანეთის გვერდით განუყრელად ცხოვრობდა. ბებიაც მყავდა, რომლისაც, ცოტა არ იყოს, გვეშინოდა და ნაკლებად ვიცნობდით, რადგან გერმანულად არ ლაპარაკობდა და ფრანგულ ბიბლიას კითხულობდა. მრავალმხრივი და არც მთლად გასაგები იყო ცხოვრება ამ სახლისა, მრავალფერად კიაფობდა აქ სინათლე, მდიდრულად და მრავალხმიანად ჩქეფდა სიცოცხლე. ეს ყოველივე მშვენიერი იყო და მე მომწონდა იგი, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი იყო ჩემი ოცნებათა სამყარო, უფრო მდიდრულად ციალებდნენ ჩემი მღვიძარი სიზმრები. სინამდვილე არასოდეს მაკმაყოფილებდა, ჯადოქრობა თითქოს გარდაუვალი იყო.

მაგია, ჩვენს სახლში და ასევე ჩემს ცხოვრებაში, ჩვეულებრივი რამ გახლდათ. პაპაჩემის კარადების გარდა, იყო ასევე დედაჩემისაც, სავსე აზიური ნაქსოვით, სამოსითა და თავსაფრებით, ასევე მაგიური იყო პატარა ღმერთების მოსასხამებიც, სავსე იმ ძველი ოთახების და კიბის კუთხე-კუნჭულების სუნიით. და ჩემში ბევრი რამ შეესაბამებოდა ამ გარეგნულ საგნებს. იყო საგნები და ურთიერთმიმართებანი, რომლებიც მხოლოდ ჩემში და ჩემთვის არსებობდა. არაფერი იყო ესოდენ იდუმალი, გადმოსაცემად ესოდენ რთული, ყოველდღიური სინამდვილიდან ესოდენ დაშორებული, როგორც ისინი, და მაინც არაფერი იყო მათზე უფრო ნამდვილი. უკვე თავად განწყობისეული ამოტივტივება და კვლავ გაქრობა სურათებისა და ისტორიებისა იმ დიდ წიგნში სწორედ ამგვარად მიჩნდა რეალურად, ისევე როგორც საგანთა სახეცვლილება, რასაც მე ყოველ წამს მოქმედებაში ვაკვირდებოდი. რა სხვანაირად გამოიყურებოდნენ: სახლის კარი, ქოხი ბაღში და ქუჩა კვირა საღამოს, ვიდრე ორშაბათს დილით! როგორ სრულიად სხვა სახე მიეღო კედლის საათს და ქრისტეს სურათს დიდ სასტუმრო ოთახში ერთ დღეს, როდესაც პაპას სული ბატონობდა იქაურობაზე, ვიდრე მაშინ, როცა მამას სული იყო გამეფებული, და რაოდენ ძლიერ იცვლებოდა ყოველივე იმ საათებში, როდესაც არანაირი უცხო სული თავის ნიშანს არ ამჩნევდა, არამედ ჩემი საკუთარი, როდესაც ჩემი სამშვინველი ელაციცებოდა საგნებს და მათ ახალ სახელებსა და მნიშვნელობას ანიჭებდა! მაშინ შეიძლებოდა კარგად ნაცნობი სკამი ან ტაბურეტი, ჩრდილი ღუმელთან, ან კიდევ დაბეჭდილი სათაური გაზეთიდან ლამაზი, საზიზღარი ან ბოროტი გამხდარიყო, მნიშვნელოვანი ან ბანალური, ვნების აღმძვრელი ან დამთრგუნველი, სასაცილო ან სევდიანი. რა

8 გაუტანა ბუდა – რელიგიური მოძღვრება ბუდიზმის დამაარსებელი; გადმოცემით, ცხოვრობდა VI-V სს ძვ.წ.ა.
 9 ლაო ძი (VI-V სს ძვ.წ.ა) დაიიზმის ფუძემდებელი, ჰესესთვის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი მთარგმნე მგ. ჩინეთიდან. ლაო ძი ითვლება წიგნის “დაო დე ძინი” ავტორად.

ცოტა იყო მათში მყარი, სტაბილური, გამძლე! როგორ ცოცხლობდა ყოველივე, განიცდიდა ცვლილებას, მიისწრაფოდა გარდასახვისკენ, განფენისა და კვლავ დაბადების სადარაჯოზე იმყოფებოდა!

მაგიურ გამოვლინებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და მშვენიერი იყო “პატარა კაცუნა”. არ ვიცი, პირველად როდის ვნახე იგი, მე მგონი, ის მუდამ აქ იყო და ჩემთან ერთად მოევლინა ქვეყანას. ეს პატარა კაცუნა სულ პაწაწკინტელა, რუხი აჩრდილისმაგვარი არსება იყო, კაცუნა მოჩვენება ან ეშმაკი, ანგელოზი ან დემონი, რომელიც დროდადრო გამოჩნდებოდა და ჩემს თვალწინ დაიარებოდა, როგორც სიზმარში, ასევე სიფხიზლეშიც და მე მას უფრო უნდა დავმორჩილებოდი, ვიდრე მამას, დედას, უფრო მეტად, ვიდრე კეთილგონიერებას, დიას, ხშირად შიშზე უფრო მეტადაც. როდესაც ეს პატარა არსება გამოძეცხადებოდა, მხოლოდ ის არსებობდა და საითაც ის წავიდოდა, ან რასაც მოიმოქმედებდა, მეც იგივე უნდა მეკეთებინა: ყოველთვის საშიშროების შემთხვევებში ჩნდებოდა იგი. როდესაც ავი ძალლი ან ჩემზე გაბრაზებული უფროსი ამხანაგი გამომიდგებოდა და გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებოდი; მაშინ, ყველაზე რთულ მომენტში, პატარა კაცუნა გამოძეცხადებოდა, ჩემს წინ გაირბენდა, გზას მიკვლევდა, მას ხსნა მოჰქონდა. მიჩვენებდა გარღვეულ ადგილს ბაღის ღობეში, რომლის წყალობითაც გამოსავალს ვპოულობდი ყველაზე საშინელ მომენტში, ყოველთვის მკარნახობდა, სწორედ მაშინ რაც იყო საჭირო, როგორ მემოქმედა: დაცემულიყავი, შევბრუნებულყავი, გავქცეულიყავი, მეყვირა თუ გავჩუმებულიყავი. რის ჭამასაც ვაპირებდი, ხელიდან მტაცებდა, მივყავდი იმ ადგილას, სადაც დაკარგულ ნივთებს ვპოულობდი. იყო დრო, როცა მას ყოველდღე ვხედავდი. ზოგჯერ კი ქრებოდა. ეს პერიოდი არ მიყვარდა, ამ დროს ყველაფერი სულ ერთი და გაურკვეველი იყო, არაფერი ხდებოდა, არანაირი წინსვლა.

ერთხელ, ბაზრის მოედანზე ვხედავ, კაცუნა ჩემ წინ გარბის, მეც მის კვალდაკვალ. მან მოედნის დიდ შადრევანთან მიირბინა, რომელსაც კაცის სიმაღლე აუზი ჰქონდა და მასში წყლის ოთხი ნაკადი ჩაედინებოდა; გაიარა აუზის ნაპირამდე ქვის კედელზე, მეც მის კვალს მივყევ და, როდესაც იგი სწრაფი ნახტომით შიგ წყალში გადაეშვა, ასევე მოვიქეცი მეც; სხვა არჩევანი არ მქონდა, კინალამ დავიხრჩვე. მაგრამ არ დავმხრჩვალვარ, ამომიყვანეს; და ამომიყვანა მეზობლის ერთმა მშვენიერმა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც მანამდე თითქმის არც ვიცნობდი. ამ დროიდან მოყოლებული მასთან მშვენიერი მეგობრული და სასიამოვნო ურთიერთობა დავამყარე, რაც დიდხანს მანიჭებდა ბედნიერებას.

ერთხელ მამაჩემმა მორიგი ცუდი საქციელისთვის პასუხი მომთხოვა. მე მეტ-ნაკლებად მოვახერხე თავის დაცვა და როგორც ყოველთვის, ახლაც დიდად ვნაღვლობდი, რომ ძნელია უფროსებს გააგებინო. იყო ცრემლიც და უმნიშვნელო სასჯელიც და ბოლოს, რათა ეს დღე სამუდამოდ დამემახსოვრებინა,

მამამ მომხიბვლელი პატარა ჯიბის კალენდარი მაჩუქა. ოღნავ დარცხვნილი და ამ მოვლენით უკმაყოფილო წავედი, გადავედი მდინარის ხიდზე და უცებ პატარა კაცუნა ჩემ წინ გაჩნდა, გადახტა ხიდის მოაჯირზე და შესტების მოძრაობით მიბრძანა, მამას ნაჩუქარი კალენდარი მდინარეში მომესროლა. წამსვე ასეც მოვიქეცი, მცირედი დაფიქრებისა და მერყეობის გარეშე, რასაც მხოლოდ მაშინ განვიცდიდი, როცა კაცუნა ჩემს გვერდით არ იყო და გაჭირვებაში მარტო მტოვებდა. ერთი დღე მახსენდება, მშობლებთან ერთად სასეირნოდ ვიყავი, უცებ კაცუნა გამომეცხადა, ის ქუჩის მარცხენა მხარეს გაუყვა, მეც მას გავყევი და მამამ რამდენჯერაც არ დამიძახა, რომ ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავი, კაცუნა არ მომეყვებოდა, ჯიუტად განაგრძობდა სვლას ქუჩის მარცხენა მხარეს და მეც იძულებული ვიყავი, ყოველ ჯერზე ისევ მის მხარეს გადავსულიყავი. მამას ეს ყველაფერი მოეხერხებოდა და საბოლოოდ ნება დამართო, იქ მეგლო სადაც მსურდა. ნაწყენმა მხოლოდ მოგვიანებით სახლში მკითხა, მაინც რატომ ვჯიუტობდი ასე და რატომ მსურდა სწორედ ქუჩის მეორე მხარეს სიარული. ასეთ შემთხვევებში ვიბნეოდი, მართლაც გასაჭირში ვვარდებოდი, რადგან არაფერი იყო იმაზე წარმოუდგენელი, ვიდრე ვინმესთვის ამ კაცუნაზე რაიმეს თქმა. რა იქნებოდა უფრო აკრძალული, ამაზე უარესი ან უფრო მომაკვდინებელი ცოდვა, ვიდრე კაცუნას გაცემა, მისი დასახელება, მასზე საუბარი. არასოდეს შემეძლო მასზე ფიქრი, მისთვის დაძახება ან გამოსძიება. თუ თან მახლდა, ხომ კარგი, და მეც ვემორჩილებოდი მას. თუ არა და, თითქოს არც არასდროს ყოფილა. კაცუნას სახელი არ ჰქონდა. მაგრამ ქვეყნად ყველაზე შეუძლებლად ის მიმაჩნდა, რომ მას არ მიჰყოლოდი, თუკი ის აქ იყო. საითაც კი წავიდოდა, მეც თან მივყვებოდი, წყალშიც და ცეცხლშიც. ისე კი არა, რომ რაიმე ებრძანებინა, ან რჩევა მოეცა, არა, ის უბრალოდ რაღაცას აკეთებდა და მეც – მის კვალდაკვალ. არ გაგემეორებინა მისი მოქმედებანი, ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ჩემს საკუთარ ჩრდილს არ შეუძლია არ გაიმეოროს ყველა ჩემი მოძრაობა. იქნებ მე მხოლოდ ჩრდილი, ანარეკლი ვიყავი ამ პატარა კაცუნასი, ან კიდევ ის – ჩემი. იქნებ იმას, რაც მისი მიბაძვა მეგონა, ვაკეთებდი უფრო ადრე ან კიდევ ერთდროულად მასთან. ოღონდ ეგ არის, ყოველთვის თან არ მყავდა სამწუხაროდ, და როცა არ იყო, ჩემს ქმედებას დამაჯერებლობა და აუცილებლობა აკლდა, მაშინ ყველაფერი სხვაგვარადაც შეიძლება ყოფილიყო, მაშინ ყოველი ნაბიჯისთვის არსებობდა ქმედების, დათმობის, თავმეკავების ან მოფიქრების შესაძლებლობა. მაგრამ ჩემი მაშინდელი ცხოვრების საუკეთესო, სასიხარულო და ბედნიერი ნაბიჯები, ყველა დაუფიქრებლად გადავდგი. თავისუფლების საუფლოც ალბათ გაცრუებათა საუფლოა.

რა მშვენიერი იყო ჩემი მეგობრობა მხიარულ მეზობლის ქალთან, მაშინ შადრევიდან რომ ამომათრია! ის იყო სიცოცხლით აღსავსე, ნორჩი და

თავქარიანი, მეტად საყვარელი, თითქმის გენიალური თავქარიანი. მაყოლებდა ყაჩაღთა და ჯადოქართა ამბებს, ხან ზედმეტად სჯეროდა, ხან კი – პირიქით, მე კი სულ ცოტა ამომავალი ქვეყნის ბრძენკაცად მოვლიდა, რასაც სიამოვნებით ვეთანხმებოდი. იგი აღტაცებული იყო ჩემით. როცა რაიმე მხიარულს ვყვებოდი, ხმამაღლა და გულიანად იცინოდა, კარგა ხნით ადრე, სანამ ხუმრობას ჩასწვდებოდა. ამაზე ვეუბნებოდი და ვეკითხებოდი: “მისმინე, ფრაუ ანა, როგორ შეგიძლია იცინო ხუმრობაზე, რომელიც ჯერ ბოლომდე არ გესმის? ეს სულელურია, ჩემთვის კი საწყენი. შენ ან გაიგე ჩემი ხუმრობები და ისე იცინე, ან კიდევ, თუ ვერ აღიქვამ, მაშინ სულაც არ არის საჭირო, გაიცინო, ან თავი მოიკატუნო, თითქოს გესმის.”

“არა, - შესძახა მან, შენ უკვე ყველაზე უფრო გამჭრიახი ბიჭი ხარ, ვინც კი ოდესმე მინახავს, არაჩვეულებრივი ხარ. შენ პროფესორი, მინისტრი ან კიდევ დოქტორი გამოხვალ. და ჩემს სიცილშიც საწყენი არაფერია. უბრალოდ ვიცინი, რადგან შენ სიხარულს მანიჭებ და ყველაზე გონებაშევილი ადამიანი ხარ, ვინც კი არსებობს ამ ქვეყნად. ახლა კი ამიხსენი შენი ხუმრობა!” მე დაწვრილებით ვუხსნიდი, ის კიდევ რაღაცეებს მეკითხებოდა, საბოლოოდ მართლა აღიქვამდა და, თუ მანამდე გულიანად და უშურველად იცინოდა, ახლა იცინოდა მართლაც გასაგიჟებლად და იმდენად გადამდებად, რომ მეც ჩამითრევადა ხოლმე. რა ხშირად ვიცინოდით ერთად, როგორ მანებიერებდა იგი და რაოდენ აღტაცებული იყო ჩემით და აღფრთოვანებული! გვქონდა რთული სამეტყველო სავარჯიშოებიც, რომლებსაც ვეუბნებოდი სამჯერ ზედიზედ ძალიან სწრაფად, მაგალითად: “ჭერის ჭრელ ჭუჭრუტანაში ჭინჭრაქა იჭვრიტება,” ან კიდევ: “ბაყაი წყალში ყიყინებს.” მასაც უნდა ეცადა იმის გამეორება, რასაც მე ვაიძულებდი, მაგრამ ის წინასწარ უკვე იცინოდა, სამ სიტყვასაც ვერ უყრიდა თავს სწრაფად, მაგრამ არც დიდი სურვილი ჰქონდა ამისა და ყოველი ახალი წამოწყება სიცილში ინთქმებოდა. ფრაუ ანა ყველაზე უფრო კმაყოფილი ადამიანი იყო მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. ჩემი ბავშვური ჭკუით მას არანორმალურად, სულელად ვთვლიდი, საბოლოოდ ეს ასეც იყო, მაგრამ ის ბედნიერი ადამიანი იყო და მე ზოგჯერ იქითკენ ვიხრები, რომ ბედნიერი ადამიანები ფარული ბრძენები არიან, მაშინაც კი, თუ ისინი სულელებად ჩანან. აბა, რა არის უფრო სულელური და რას მოაქვს ამდენი უბედურება, თუ არა გონიერებას!

გადიოდა წლები და ჩემი ურთიერთობა ფრაუ ანასთან მიჩუმდა. მე უკვე დიდი ბიჭი ვიყავი, სკოლის მოწაფე და დავმორჩლდი გონიერების ცდუნებებს, ვნებებსა და საშიშროებებს, აქ კი ერთ მშვენიერ დღეს ისევ დამჭირდა იგი. და ისევ ის პატარა კაცუნა იყო, ვინც მასთან მიმიყვანა. ერთი პერიოდი შეპყრობილივით მაწვალებდა კითხვა სქესობრივ განსხვავებაზე და ბავშვების მოვლინებაზე, კითხვა სულ უფრო მწველი და აალებადი ხდებოდა და ერთ დღეს

ისე მტკიოდა და მწვაავდა, რომ სიცოცხლე აღარ მსურდა, თუ ამ მტკივნეულ გამოცანას ვერ ამოვხსნიდი. ჯიქურ და მწუნარედ გამოვედი სკოლიდან ბაზრის მოედნის გავლით თავჩაქინდრული, უიღბლო და ნაღვლიანი და უცებ კაცუნა გამომეცხადა! ის უკვე იშვიათი სტუმარი გახდა და რა ხანია გამოირგულდა, ან პირიქით, მე – მას. ახლა კი უცებ ისევ ვიხილე ჩემ წინ გარბოდა პატარა და მარდი, თვალი წუთით მოკვარი და წამსვე ფრაუ ანას სახლში შევარდა. კაცუნა გაქრა, მაგრამ მე თან მივყევი სახლამდე და უკვე ვიცოდი რატომაც. ფრაუ ანამ შეჰკვივლა, როცა მოულოდნელად შევევარდი მის ოთახში, რადგან სწორედ მაშინ იცვამდა, მაგრამ არ გამაგლო და მალე მე თითქმის უკვე ყველაფერი ვიცოდი, რისი ცოდნაც ჩემთვის ასე მტკივნეულად იყო საჭირო. საქმე ალბათ სასიყვარულო ამბით დასრულდებოდა, ამისთვის მეტიმეტად ახალგაზრდა რომ არ გყოფილიყავი.

ეს მხიარული სულელი ქალი სხვა მოზრდილების უმრავლესობისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ბუნებრივი და უშუალო იყო, ყოველთვის აწმყოს შესაბამისი, არ იტყუებოდა და არც იშმუშნებოდა. მოზრდილთა უმრავლესობა სხვაგვარი იყო. გამონაკლისებიც არსებობდნენ. დედაჩემი სიცოცხლის განსახიერება, გამოცანასავით მოქმედი; მამაჩემი – სამართლიანობისა და სიჭკვიანის განსახიერება; და პაპა, რომელიც ადამიანი თითქმის არც იყო: იღუმალი, მრავალმზრივი, მომღიმარი, ამოუწურავი. მოზრდილთა უმრავლესობა კი, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის პატივი უნდა გვეცა, მოვრიდებოდით, უმეტესად თიხის ბუტაფორიები იყვნენ. რა სასაცილო იყო მათი მოუქნელი მსახიობობა, როცა ბავშვებს ესაუბრებოდნენ! რა ყალბად ჟღერდა მათი ბგერა, რა ყალბი იყო მათი ღიმილი! რაოდენ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ თავი და საკუთარ საქმიანობას თუ დაწესებულებას ზედმეტად სერიოზულად ეპყრობოდნენ; ქუჩაში მიმავალთ თუ დაინახავდით, ნივთებით, ჩანთებით, წიგნებით ილღიის ქვეშ ამოჩრილებს, როგორ მოელოდნენ: გეცნო, მისალმებოდი, თაყვანი გეცა. ზოგჯერ კვირაობით ჩემს მშობლებთან ხალხი იკრიბებოდა “სტუმრობისათვის”. კაცები ცილინდრებით, მოუხერხებელი ხელებით, უხეშ ტყავის ხელთათმანებში, მნიშვნელოვანნი, ღირსეულნი, ზედმეტი ღირსებისაგან დაბნეული კაცები, ადვოკატები, მოსამართლეები, მღვდლები და მასწავლებლები, ღირექტორები და ინსპექტორები თავიანთი ოდნავ დამფრთხალი და დათრგუნვილი ცოლებით. ისინი გაშეშებული ისხდნენ სკამზე, ყველაფერში დახმარება სჭირდებოდათ: გახდისას, შემოსვლისას, დაჯდომისას, კითხვებსა და პასუხებში, ასევე წასვლაშიც. ადვილი იყო ჩემთვის, ეს პატარა ბიურგერული სამყარო ისე სერიოზულად არ აღმექვა, როგორც ამას იგი მოითხოვდა, რადგან ჩემი მშობლები მას არ განეკუთვნებოდნენ და თავადაც სასაცილოდ თვლიდნენ. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ისინი არ თამაშობდნენ, ხელთათმანები არ ეკეთათ და ვიზიტებს არ მართავდნენ, მოზრდილთა უმრავლესობა ჩემთვის საკმაოდ უცნაური და სასაცილო იყო. რაოდენ

პერმან ჰესე / ჯადოქრის ბავშვობა

მნიშვნელოვნად მოჰქონდათ თავი საკუთარი სამუშაოთი, საქმიანობით თუ დაწესებულებებით, რა დიდებულად და წმინდანებად წარმოგიდგებოდნენ! თუ რომელიმე მეეტლე, პოლიციელი ან ხიდის ზედამხედველი გზად გადაელობებოდა მათ, დიდი წმინდა საქმე იყო, და თავისთავად ცხადი, რომ უნდა უკან დაეხიათ და გზა დაეთმოთ ან სულაც დახმარებოდნენ. ხოლო ბავშვები თავიანთი საქმიანობითა და თამაშებით არ იყვნენ მნიშვნელოვანი, მათ გვერდით გასწევდნენ და შეუღრენდნენ ხოლმე. ნუთუ ისინი ნაკლებად სწორ რაიმეს ჩადიოდნენ, არასაკმაოდ კეთილს ან ნაკლებ მნიშვნელოვანს, ვიდრე მოზრდილნი? არა, უმაღ პირიქით, მაგრამ ყველაფერ ამას აკეთებდნენ იმგვარი მნიშვნელოვანი და სასარგებლო სახის გამომეტყველებით, თითქოს ყოველივე ეს ასეც უნდა ყოფილიყო და ქვეყნად უფრო მნიშვნელოვანი და უფრო წმინდა არც არაფერი არსებობდა.

უნდა ვაღიარო, რომ მათ შორის გონებაამახვილი ადამიანებიც იყვნენ, ასევე მასწავლებლებს შორისაც. მაგრამ განა უცნაური და საეჭვო არ იყო უკვე ის ამბავი, რომ ამ „დიდ“ ადამიანთა შორის, რომლებიც ოდესღაც თავად იყვნენ ბავშვები, იმდენად ცოტა მოიძებნებოდა ისეთი, ვისაც სრულიად არ დავიწყებოდათ და არ გადასჩვეოდნენ იმას, თუ რა არის ბავშვი, როგორ ცხოვრობს, მუშაობს, თამაშობს, ფიქრობს; რა უყვარს და რა აწუხებს მას? ცოტანი, ძალიან ცოტანი იყვნენ, ვისაც ეს ჯერ კიდევ ახსოვდა. მხოლოდ ტირანები როდი არსებობდნენ და უხეშები, რომლებიც ბავშვებს ბოროტად და სიძულვილით ექცეოდნენ, ყველგან თავიდან იშორებდნენ, ავი თვალით და ამრეზით უყურებდნენ, ზოგჯერ კი თითქოს მათ მიმართ გარკვეულ შიშის გრძნობას განიცდიდნენ. მაგრამ იმ სხვებმაც, რომელთაც კეთილგანწყობა ჰქონდათ, რომლებიც ხანდახან სიამოვნებით ესაუბრებოდნენ ბავშვებს, ხშირ შემთხვევაში არ იცოდნენ, რაში იყო საქმე, ისინიც ასევე გაჭირვებით და დაბნეულნი ეწყობოდნენ ბავშვებს, თუ ჩვენს წრეში შემოსვლას მოისურვებდნენ, მაგრამ არა ნამდვილ ბავშვებთან, არამედ გამოგონილებთან, სულელურ კარიკატურებთან.

ყველა ეს მოზრდილი ადამიანი, თითქმის ყველა, სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდა და სრულიად სხვა ჰაერით სუნთქავდა, ვიდრე ჩვენ, ბავშვები. ხშირად ისინი ჩვენზე ჭკვიანები როდი იყვნენ, ძალიან ხშირად ჩვენთან არანაირი უპირატესობა არ ჰქონდათ, გარდა იმ იღუმალის ძალაუფლებისა. ისინი უფრო ძლიერნი იყვნენ, და თუ ჩვენ ნებაყოფლობით არ დავმორჩილდებოდით, შეეძლოთ ჩვენი იძულება და გაწყვეტვა! მაგრამ იყო კი ეს ნამდვილი უპირატესობა? განა ყოველი ხარი ან სპილო უფრო ძლიერი არ იყო, ვიდრე ასეთი მოზრდილი ადამიანი? მაგრამ მათ ჰქონდათ ძალაუფლება, ისინი მბრძანებლობდნენ, მათი სამყარო თუ მათი მოდა ითვლებოდა სწორად. და მაინც, არსებობდნენ მოზრდილები, რაც მე განსაკუთრებით უცნაურად და ზოგჯერ საშინლად მეჩვენებოდა, რომლებიც თითქოსდა შურითაც კი

გვიმზერდნენ. ზოგჯერ მათ სრულიად გულუბრყვილოდ და ღიად შეეძლოთ ეთქვათ: “ჰო, ბავშვებს რა გენაღვლებათ!” თუ ეს ტყუილად ნათქვამი არ იყო, და ეს არ იყო ტყუილი, ამას მე ვგრძნობდი ამგვარი გამოთქმებიდან, მაშინ ე.ი. მოზრდილები: ძლევა მოსილნი, ღირსეულნი და მბრძანებელნი, სულაც არ იყვნენ ჩვენზე ბედნიერნი, რომლებსაც ჩვენ უნდა დავმორჩილებოდით და მათდამი პატივისცემა გამოგვეხატა. ერთ-ერთ ჩემს სასწავლო მუსიკალურ ალბომში ვნახე მართლაც უცნაური სიმღერა შემდეგი რითმით: “ბაღლობავ, ბაღლობავ, ტკბილო ნეტარებავ!”¹⁰ ეს დიდი საიდუმლოება იყო. არსებობდა რაღაც, რასაც ჩვენ, ბავშვები ვფლობდით და რაც უფროსებს არ გააჩნდათ, ისინი არა თუ დიდები და ძლიერები იყვნენ, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, უფრო ღარიბები იყვნენ ჩვენთან შედარებით! და მათ, ვისაც ჩვენ მათი აზოგანების, ღირსების, მოჩვენებითი თავისუფლების, თვითდაჯერებულობის გამო შემოვნატროდით, ისინი დროდადრო ჩვენ, პატარებს, სიმღერებშიც კი შემოგვნატროდნენ!

ერთხანს, ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერი ვიყავი. ბევრი რამ იყო სამყაროში, რასაც სიამოვნებით ვამჯობინებდი სხვაგვარად ყოფილიყო, სულაც სკოლაში, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. თუმცა, ყოველი მხრიდან მარწმუნებდნენ, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის არ ევლინება ქვეყანას და რომ ნამდვილი ბედნიერება მაშინ მოდის, როცა უკვე გამოცდილნი და გამობრძმედილნი არიან ადამიანები. ეს აზრი მრავალ ლექსსა თუ გამონათქვამში გამოსჭვივოდა, რომლებსაც მე ვსწავლობდი და ხშირად მეტად მშვენიერი და ამაღლებულიც ჩანდა. მხოლოდ ის ამბები, რომლებიც მამაჩემს უსაშველო თავსატეხს უჩენდა, დიდად არ მალეღვებდა და როცა თავს ცუდად ვგრძნობდი, როცა ავად ვხდებოდი ან კიდევ აუსრულლებელი სურვილები მქონდა, ან მშობლებთან უთანხმოება შემემთხვეოდა, მაშინ იშვიათად თუ მივმართავდი ღმერთს, არამედ მქონდა სხვა შემოვლითი გზები, რომლებსაც კვლავ გამოვყავდი სინათლეზე. თუ ჩვეულებრივი თამაშები მომბეზრდებოდა, თუ რკინიგზა, მალაზიობანა, ზღაპრების წიგნი მოსაბეზრებლად და მოსაწყენად მეჩვენებოდა, სწორედ მაშინ ხშირად მომდიოდა აზრად უმშვენიერესი ახალი თამაშობები. და სხვა არაფერი დამრჩენოდა, რომ საღამოს საწოლში ვწოლილიყავი, თვალები დამეხუჭა და თავი ზღაპრული პანორამისთვის მიმეცა, ჩემს წინ ფერთა წრედ რომ გადაშლილიყო, რა ახლებურად კიაფობდა ბედნიერების იდუმალება, რაოდენ წინათგრძნობით აღსავსე და მრავლისმომასწავებელი ხდებოდა სამყარო!

სკოლის პირველმა წლებმა ისე განვლო, დიდად არ შევცვლილვარ. აღმოვაჩინე, რომ ნდობა და გულწრფელობა შესაძლოა საზიანო იყოს, ზო-

¹⁰ სიმღერის მისამღერი ალბერტ ლოტრცინგის (1801-1851) ოპერიდან „Zar und Zimmermann“ (1837).

გიერთი გულგრილი მასწავლებლისგან ვისწავლე ტყუილის საჭიროება და თავის მოკატუნება. ყოველივე აქედან დაიწყო. ნელ-ნელა ჩემშიც დაჭკნა პირველი ყვავილი, ნელ-ნელა მეც ვისწავლე ცხოვრების მცდარი სიმღერის მღერა, ისე, რომ აზრადაც არ მომსვლია, შევითვისე „რეალობისადმი“, ასევე უფროსთა კანონებისადმი, მორჩილების უნარი, როცა იძულებული ხარ, შეეგუო იმ აზრს, რომ სამყარო უნდა მიიღო ისეთად, „როგორც ის არის“. უკვე დიდი ხანია ვიცი, რატომ წერია მოზრდილთა წიგნში ისეთი სტრიქონები, როგორცაა: “ბაღბოვავ, ბაღბოვავ, ტკბილო ნეტარებავ”, და მეც მქონია მრავალი წუთი, როდესაც ბავშვობას შევნატროდი.

თორმეტი წლის ასაკში, როდესაც საკითხი დაისვა ბერძნულის სწავლის თაობაზე, მე უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან დროთა განმავლობაში მსურდა მამაჩემივით განათლებული ვყოფილიყავი და შეძლებისდაგვარად - პაპაჩემივით. მაგრამ ამ დროიდან მოყოლებული, ჩემი ცხოვრება დაგეგმილი გახდა, უნდა მესწავლა და ან მღვდელი ან ფილოლოგი გავმხდარიყავი, რადგან აქ სტიპენდიები იყო. ოდესღაც პაპამაც ეს გზა განვლო.

ერთი შეხედვით, თითქოს ამაში ცუდი არაფერი იყო. მაგრამ ამიერიდან მომავალი მქონდა და ჩემ წინ გზის მაჩვენებელი იდგა, ყოველი დღე თუ ყოველი თვე დასახულ მიზანს მახლოვებდა, ყოველივეს მხოლოდ იქით მიმართავდა, შორს თამაშობებიდან და ჩემი მანამდელი სინამდვილიდან, რომელიც მართალია არ იყო უაზრო, მაგრამ აკლდა მომავლისადმი მიზანსწრაფვა. მოზრდილთა ცხოვრება მეწეოდა ჯერ თმის ერთი კულულის თან ცალი თითით, მაგრამ მალე მთლიანად ჩამითრია და დამაკავა, ცხოვრებამ მიზნებისაკენ, ციფრებისაკენ, ცხოვრებამ წესრიგისა და სამსახურის, პროფესიისა თუ გამოცდების. მალე ჩამორეკავდა ჩემი ჟამიც, მალე მეც სტუდენტი გავხდებოდი, კანდიდატი, სულიერი მოძღვარი, პროფესორი. სტუმრად ცილინდრით ვივლიდი, ამასთან ტყავის ხელთათმანებს ჩავიცვამდი, ალბათ ბავშვებს ვეღარ გავუგებდი და ალბათ მეც შემშურდებოდა მათი. არადა გულის სიღრმეში ხომ არ მსურდა ეს ყველაფერი, ჩემი სამყაროდან გასვლა არ მინდოდა, სადაც თავს კარგად და დიდებულად ვგრძნობდი. მომავალზე ფიქრისას ჩემთვის ერთი საიდუმლო მიზანი არსებობდა, ერთი მგზნებარე სურვილი მქონდა, ჯადოქარი გავმხდარიყავი.

ეს სურვილი და ოცნება დიდხანს თან მღევდა. მაგრამ მისი ძალმოსილება თანდათან სუსტდებოდა, მას მტრები ჰყავდა, მას წინ ელობებოდა რაღაც სხვა ნამდვილი, სერიოზული, გადაულახავი. ნელ-ნელა ჭკნებოდა ჩემი ყვავილი, ნელ-ნელა უკიდევანო შემოსაზღვრულად იქცეოდა, ჩემ წინ აღმართა ნამდვილი სამყარო, დიდების სამყარო. თანდათან ჩემი სურვილი, ჯადოქარი გავმხდარიყავი, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ მგზნებარედ მსურდა, ჩემსავე თვალში გაუფასურდა და ბავშვურობად იქცა. უკვე არსებობდა რაღაც, რაშიც მე ბავშვი აღარ ვიყავი. შესაძლებლობათა უსასრულო,


ნაირფერი სამყარო ჩემთვის უკვე შემოსაზღვრული, მინდვრებად დაყოფილი და ღობეშემოვლებული გამხდარიყო. ჩემი დღეების პალიტრამ ნელ-ნელა სახე იცვალა, სამოთხე ჩემს ირგვლივ თანდათან გაიყინა, გაშეშდა. მე როდი დავრჩი იმად, რაც ვიყავ: პრინცი და მეუფე შესაძლებლობათა საუფლოში; არც ჯადოქარი გავემხდარვარ, ვისწავლე ბერძნული, ორ წელიწადში ამას ებრაულიც დაემატა, ხოლო ექვს წელიწადში სტუდენტი უნდა გავემხდარიყავი.

შეუმჩნევლად შემეკრა ხელ-ფეხი, შეუმჩნევლად გაუჩინარდა ჩემს ირგვლივ მაგია. საოცარი ისტორია პაპას წიგნში ისევ მშვენიერი იყო, მაგრამ მის ერთ-ერთ გვერდზე ეწერა, რომლის ციფრიც ჩემთვის ნაცნობი იყო; ის იქ ეწერა დღესაც და ხვალაც და ყოველ საათს და საოცრებას აღარ წარმოადგენდა. უკვე გულგრილად იღიმებოდა ინდოელი მოცეკვავე ღვთაება და ის ბრინჯაოსგან იყო, მას უკვე იშვიათად ვუმზერდი და ძველებური გზნებით აღარასოდეს. და, რაც ყველაზე უარესია, სულ უფრო იშვიათად ვხედავდი ნაცრისფერ კაცუნას. ჯადოქრობისაგან ყოველმხრივ განძარცვული ვიყავი, ბევრი რამ დავიწროვდა, რაც ოდესღაც უკიდევანო იყო, ბევრი რამ გაუფასურდა, რაც ოდესღაც უძვირფასესი იყო.

ფარულად მაინც ვგრძნობდი, კანქვეშ სადღაც ისევ სიხარულით აღსავსე და ბატონობის წყურვილით ვიყავი ანთებული, ვისწავლე ცურვა და ციგურაობა, ბერძნულში საუკეთესო ვიყავი და ერთი შეხედვით ყველაფერი შესანიშნავად იყო. ოღონდ ყველაფერს ოდნავ გახუნებოდა ფერი, ჟღერადობაც ოდნავ გამოცარიელებულიყო, ახლა უკვე ფრაუ ანასთან სიარულიც მომბეზრდა; ყოველივე იქიდან, რაც მიყვარდა, თანდათან შეუმჩნევლად რაღაც დაიკარგა, რაღაც უჩინარი, თითქოს კონკრეტულად ვერ მოისაკლისებდი, მაგრამ მაინც სადღაც გამქრალიყო და სიცარიელე დაეტოვებინა. ახლა თუ ისევ მომინდებოდა თავი ძველებური სისავსით მეგრძნო, მაშინ ძლიერი ბიძგი მჭირდებოდა ამისათვის, გვარიანი შენჯღღრევა და სიჩქარის აღება. მძაფრად შეკმაზულ საკვებს გემო გავუგე, ნუგბარის მოყვარული გავხდი, ზოგჯერ ხურდებს ვიპარავდი, რათა საკუთარი თავი რაიმე განსაკუთრებულით გამეხებებინა, რადგან სხვაგვარად ცხოვრება საკმაოდ მშვენიერი და ცოცხალი აღარ იყო. თანდათან გოგონებთანაც დავინტერესდი. ეს მოხდა მალე მას შემდეგ, რაც პატარა კაცუნა კიდევ ერთხელ გამოძეცხადა და ისევ ფრაუ ანასთან მიმიყვანა.

შერმან პესე / ჯადოქრობის ბავშვობა

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili



გურამის - სხვა ხანგრძლივად 15.10.1957
გურამისგან.

მიმართულება (პოემა)

შოთა იათაშვილი

ცაში აპყრობილი აქვს თვალეხი მუდამ ცირას,
დადის, ქალაქებს იცვლის.
ვერ ამჩნევს, რომ ქალაქებს იცვლის.
ცაში ღრუბლებია მუდამ, მზე, მთვარე, ვარსკვლავები,
ანგელოზები, ჩიტები, თვითმფრინავები.
დადის. არ შეუძლია, რომ არ იაროს –
ცოცხალია, ახალგაზრდა, ფეხები თავისით მოძრაობენ.
ხანდახან ცათამბჯენის კენწეროს მოჰკრავს ხოლმე თვალს და უკვირს:
ეს რაღაც იშვიათობაა, უცნაურობაა.
რამდენიმეჯერ კვანტი გამოსდეს ცირას,
ცხვირპირით ჩაემხო მტვერში, ტალახში.
ადგა, მოიწმინდა სახე, განაგრძო გზა,
ჭიტილაყი მიაყოლეს, წაიფორხილა, მაგრამ აღარ წაქცეულა,
მხოლოდ ხელის კამერით გადაღებულ კადრს დაემსგავსა ცა, შეყანყალდა,
ანგელოზებმა ტექნო წაიცეკვეს,
ერთხელ ყველაზე მეტად გაოცდა ცირა:
დაინახა, როგორ ერჭობოდა უზარმაზარი ნემსი ლაჟვარდებს,
„ეიფელი, ეიფელი“, – ჩურჩულებდნენ ირგვლივ.
ერთმა მამაკაცმა სახელდახელოდ იქვე სიყვარულიც აუხსნა.
გაუხარდა ცირას, მაგრამ ცაში გაყრილი ნემსის ამბავი აწუხებდა.
ამიტომაც ჰკითხა მიჯნურს, ცის გაკერვას ხომ არ აპირებენო.
ეშინოდა ცირას, რომ ველარ გამოაღწევდნენ გაკერილი ციდან
ფრთოსნები, ღრუბლები და ანგელოზები და მოსაწყენი გახდებოდა მალა –
ერთი დიდი, გადაჭიმული ლურჯი ბრეზენტია შერჩებოდა
სამარადისოდ, სიკვდილამდე,
ამიტომაც ჰკითხა მიჯნურს, ის კი დადუმდა, გაქრა,
ვინ იცის, მოკვდა კიდეც.
ნეტა როგორი იყო? – ფიქრობს ცირა მას შემდეგ,
უყურებს ღრუბლებს და ღრუბლები მისი სატრფოს სახეს ძერწავენ ხშირად –

ხან ისეთს, ხან ასეთს,
 და გულისცემა უზშირდება ცირას, თვალები უწყლიანდება,
 ბავშვობა ახსენდება:
 თანაკლასელი თაფლისფერთვალა ბიჭუნა,
 ერთად ქროლვა სკოლის დერეფნებში, მდინარის პირას, ფორთოხლის ბაღში,
 გულის მანკი ჰქონდა ბიჭუნას,
 მეხუთე კლასში გარდაიცვალა,
 არ უშვებდნენ კაცები, მაგრამ მაინც გაძვრა მათ ფეხებს შორის,
 მიიღბინა საფლავთან და ერთი პეშვი მიწა დააყარა
 მისი კუბოს თავსახურს,
 მას შემდეგ ცაში აქვს აპყრობილი თვალები ცირას,
 სიზმარივით ახსოვს ის, რაც მიწაზე ხდებოდა,
 სიზმარივით ახსოვს ადამიანების გარეგნობა,
 სახლების, ცხოველების და მანქანების ფორმები,
 ნივთების მოყვანილობა.
 დადის ცირა, ქალაქებს იცვლის, გამვლელები ეჯახებიან,
 ლანძღავენ, ებოდიშებიან,
 თოვლი მოდის ზოგჯერ ზემოდან და
 ეს ყველაზე მეტად უყვარს ცირას,
 უყურებს თეთრი წერტილების მოძრაობას,
 ფანტელები წამწამებზე აღნება, სახე ეყინება,
 და მერე შუბლზე, ლოყებზე, თვალეებზე, ცხვირზე თოვლი ედება,
 ნელ-ნელა იზრდება თოვლის გორაკი სახეზე
 და უკვე ველარაფერს ხედავს,
 დადის ასე, ბრმასავით, და ცირას ხილვები ჯადოსნურია ამ დროს –
 ნეტარია ცირა, ციცქნა, გაქექილი პალტოთი –
 შობადღეს პატარა თოვლის ბაბუას იშენებს სახეზე,
 ზეიმობს,
 სული უთრთის, ანგელოზების სიმღერა ესმის,
 მერე დნება თოვლი და გაზაფხული მოდის, წვიმებით, ცისარტყელებით,
 გადამფრენი ჩიტების მწკრივებით ცაში,
 გაზაფხულზე მოხდა, უცებ წელზე ხელი მოხვიეს,
 და საოცრად, დაუჯერებლად ახლოს სახესთან შავი ღრუბელი ჩამოეფარა –
 მერე მიხვდა, გრუზათმიანი ბიჭის თავი იყო ეს ღრუბელი,
 ტუჩებზე რომ დააკვდა.

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, არადა ახლაც ახსოვს ის გემო:
 უცებ გაჩერდება ხოლმე და ღვას ასე, საათობით,
 ენატრება ის წაში,
 ერთ-ერთი საუკეთესო მის ცხოვრებაში,
 ღვას, ფეხს მონაცვლებს ხოლმე,
 ოცნებობს, კიდევ მოხდეს მსგავსი რამ,
 ცხოვრება ხომ ასე სავსეა მოულოდნელობებით:
 არ იცი, რა ფორმას მიიღებს ღრუბელი,
 ვარსკვლავთცვენა როდის დაიწყება,
 საითკენ გადაიჭიმება ცისარტყელა,
 სად გაიხსნება ცის კარი,
 მზე ან მთვარე როდის დაბნელდება –
 ფიქრობს ცირა, რომ ერთი დიდი მოულოდნელობაა ცხოვრება,
 ერთხელ ზუსტად ერთნაირი ორი სვეტი დაინახა გვერდიგვერდ,
 გამეშადა, ასცქერის ამ ორ უცნაურ სვეტს,
 ის ნემსი გაახსენდა, ცას რომ ერჭობოდა,
 მერე თვითმფრინავს მოჰკრა თვალი, გაუხარდა ცირას,
 თვითმფრინავი ხომ ცის მშვენებაა, ცის ბინადარია,
 იქ უნდა იყოს, ჩიტებთან და ანგელოზებთან ერთად,
 გააყოლა თვალი თვითმფრინავს და შევიდა თვითმფრინავი სვეტში,
 დიდმა შუქმა იელვა,
 ჩამოსრიალდა დაბლა სვეტი, გაქრა,
 ხმა იყო კიდევ ყურისწამლები, უსიამოვნო და ატყდა ქუჩაშიც
 გაუგონარი წივილ-კივილი,
 წააქციეს ცირა, გადათელეს,
 ყოფილა ადრეც, ცხვირპირით ჩაემხოლობდა ხოლმე მტვერში,
 მაგრამ ღებოდა მაშინათვე, მოიწმენდა პირისახეს
 და განაგრძობდა გზას, ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.
 მაგრამ ახლა ვეღარ ადგა,
 რამდენჯერაც სცადა, იმდენჯერ ისევ ძირს დაეცა,
 ფეხებით გადადიოდნენ ცირაზე, ქუსლებით ასფალტს აჭედავდნენ,
 და ბავშვობის მერე პირველად იგრძნო ცირამ,
 რომ მართლა არსებობს ცისქვეშეთი და
 სულ სხვანაირი ცხოვრებაა იქ.
 ‘ღმერთო, ღმერთო’ – აღმოხდა ცირას,

შოთა იათაშვილი / მიმართულება

ხელისგულებში და ტერფებში წვრილი ქუსლები ჩაასეს,
 დიდხანს იყო გაკრული ცირა ასფალტზე,
 როცა წამოდგა, დაჟეჟილი და დასისხლიანებული,
 შეამჩნია, რომ მეორე სვეტიც აღარ იყო ცაში.
 ვერაფერს მიხვდა ცირა და ყველაფერს მიხვდა ცირა,
 გაუყვა გზას ბარბაცით,
 დადის მას შემდეგ. მზერა დაუმძიმდა, თუმც ცდილობს,
 თვალები ცაში ჰქონდეს მაინც აპყრობილი,
 დადის, იცვლის ქალაქებს,
 და ამჩნევს, რომ ქალაქებს იცვლის.

2.

დაბლა იყურება მუდამ პიტერი,
 თვლის, რომ ასეა საჭირო.
 არაა სანდო ფეხისქვეშეთი,
 ლუკი იქნება ახლილი და ჩავარდები,
 ან ფეხი მოგიცურდება სადმე,
 ან სიბინძურეში ჩააბიჯებ.
 და ისედაც, როცა დაბლა იყურები,
 პორტმონეს იპოვი, დოლარებით გატენილს,
 ლამაზი წვივები არ გამოგრჩება,
 გაზონებზე დარგულ ყვავილებს მოავლებ მზერას.
 დაბლა იყურება მუდამ პიტერი,
 დედამიწას ბურღავს თვალებით და
 ისე მიაბიჯებს სამსახურისაკენ, ღამის ბარისაკენ, საყვარლებისაკენ.
 მაღალია პიტერი, ყველას ზემოდან დასცქერის,
 შეიძლება ამანაც მიაჩვია ასეთ მზერას.
 მაღალია პიტერი, მაგრამ არაა ამპარტავანი,
 თავი მუდამ მოდრეკილი აქვს მოკრძალებით,
 ერთ დიდ ქალაქში ტრიალებს,
 ახალგაზრდაა, სიცოცხლე უყვარს,
 როცა ფეხქვეშ მიწას მყარად გრძნობს, მშვიდადაა და
 კარგად აწარმოებს ბუღალტერიას,
 ენაწელიანად უხსნის სიყვარულს ხალისიან ქალბატონებს,
 ელეგანტურად ასხამს ფუჟერებში შამპანურს,

წიგნების კითხვაც უყვარს პიტერს,
ამ დროსაც დახრილი აქვს თავი და დაბლა იყურება –
ფრაზებს ეძებს, სიბრძნით გაძეძგილს.
ეძებს და პოულობს კიდეც, როგორც პორტმონეს ქუჩაში.
ასეთია პიტერი, სიმპათიური, გონიერი, ჯან-ღონით სავსე,
პიტერი, ლიფტში რომ შედის და 92-ე სართულის ღილაკს აჭერს თითს.
უყვარს თავისი ოფისი პიტერს, გაკრიალებული, ჩახჩახა,
ზის და თავდახრილი მუშაობს,
ხანდახან გადის აივანზე და დაბლა იცქირება,
ფეხქვეშ გართხმულ ქალაქს ათვალიერებს.
ბრუვდება ამ დროს პიტერი,
უცნაური გრძნობა ეუფლება,
თითქოს ღალატობს თავის ცხოვრებისეულ პრინციპებს,
ნებაყოფლობით სიმყარეს კარგავს,
მაგრამ ნეტარია ეს არამდგრადობა, ეს შიში,
ისე ნეტარი, რომ საკუთარ თავს უმხელს:
თურმე მხოლოდ ამისთვის ცხოვრობს დედამიწაზე,
ღრუბლებისა და ჩიტების სიმაღლიდან დანახული ქვეყნიერებისათვის.
ძლიერი ღურბინდიცა აქვს პიტერს, უჯრაში ინახავს,
იმ დილითაც, სანამ მაგიდას მიუჯდებოდა,
ღურბინდით ჩახედა ქალაქს.
აკვირდება, როგორ ფორიაქობენ ადამიანები, ავტომობილები,
ერთი გოგონა დაინახა, დგას და მაღლა იყურება, მისი ფანჯრისაკენ,
ცისფერი თვალები აქვს, განცვიფრებული მშვენიერი სახე.
ჭკრეტს პიტერი გოგონას, თავბრუ ესხმის, თვრება, იბნიდება,
უყვარდება ეს გოგონა.
ეჩვენება, რომ სწორედ ისაა,
მისი სიზმრებისა და ოცნებების, მისი ცხოვრების ადამიანი,
რწმუნდება თანდათან, რომ გოგონაც მას უყურებს,
თავისკენ ეძახის, სიყვარულს უხსნის.
ხელი დაუქნია პიტერმა, რატომღაც არ პასუხობს გოგონა,
ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა, კვლავ უშედეგოდ,
საჩვენებელი თითი გულზე მიიღო მაშინ პიტერმა,
და მერე ქვემოთ დაუშვა, ანიშნა, მოვდივარო,
შებრუნდა ოფისში, დააგლო ღურბინდი და

დერეფანში გავარდა,
 ლიფტი უნდა გამოიძახოს,
 მაგრამ დაკავებულია ყველა ლიფტი,
 ყველა ქვემოდან ზემოთ ამოდის.
 კიბეებზე დაეშვა პიტერი,
 ფიქრობს, მთავარია მიასწროს,
 მთავარია უცებ არ წავიდეს გოგონა,
 მთავარია პიტერმა ჩაირბინოს 92 სართული,
 ძველი მძლეოსანია პიტერი,
 ქარივით მიჰქრის,
 აგერ უკვე 54-ე სართულზეა,
 აგერ უკვე 37-ზე,
 აგერ უკვე 28-ზე...

3.

პირდაპირ იყურება მუდამ მუსა,
 თვალში თვალს უყრის ყველას და ყველაფერს,
 ცხოვრებას, სიყვარულს, მშობლებს, სიკვდილს...
 არ არის ახლა პოეზიის ანდა პრაგმატიზმის დრო.
 სიმამაცის ჟამი დადგა, – ფიქრობს მუსა,
 უნდა შეგეძლოს განსაცდელს თვალი უსწორო სიმართლისათვის...
 ასეთია პილოტი მუსა და თვითმფრინავის საჯეს უზის,
 წინ მიისწრაფვის, თვალს არ ამორებს მაღალ სვეტს.
 ლოცულობს და სიჩქარეს უმატებს,
 ხედავს, მის პირდაპირ ახალგაზრდა მამაკაცია დურბინდით ხელში,
 თითქოს მას უყურებს,
 მერე ხელს უქნევს,
 მერე ჰაეროვან კოცნას უგზავნის,
 მერე რაღაცას ანიშნებს,
 ვერ ხვდება მუსა, რა უნდა ამ კაცს მისგან,
 რატომ უგზავნის მტერი ჰაეროვან კოცნას,
 დედა ახსენდება, შვილები, ცოლი, მეგობრები,
 მაგრამ ხელად ყურადღებას იკრებს,
 მთავარია არ დაიბნეს,
 არ აღელდეს,

გული არ აუჩუყდეს,
არ შედრკეს...

მუსა ხომ თვალეებში უყურებს ყველას, ყველაფერს:
სიზმრებს, სამოთხეს, ჯოჯოხეთს.

გაქრა უცებ თვალთახედვიდან ღურბინდიანი კაცი,
მაღალი სვეტი მოახლოვდა,
ერთხელაც ახსენა ღმერთი მუსამ და
მზერა გაუსწორა სიკვდილს.

4.

გადარჩა პიტერი, მაგრამ ცირა ველარ იპოვა.
სალამობით ინტერნეტს უზის,
ნაცნობობის საიტებში დაძვრება,
ყურადღებით აკვირდება ცისფერთვალეა გოგონების ფოტოსურათებს.
რამდენიმეჯერ მოეჩვენა, რომ მიაგნო,
მაგრამ ვისაც შეხვდა, ყველამ უთხრა,
იმ დღეს არ ვმდგარვარო მაღალ სვეტებთან.
ქუჩაშიც აჩერებს პიტერი გოგონებს.
კაფე-ბარებში აქეთ-იქით დაფეთებული იყურება,
ლამით კი, სახლში რომ ბრუნდება გაწბილებული,
თავს რგავს ბალიშში და ცდილობს
როგორმე დაისიზმროს ერთხელაც ცირა.

5.

ცირა თითქოს არ შეიცვალა.
ისევ უყვარს ცა და მისი ბინადრები:
ვარსკვლავები, ანგელოზები, ღრუბლები, მზე, ჩიტები, მთვარე...
მხოლოდ თვითმფრინავს რომ დაინახავს,
კრთება ხოლმე და თვალეებს ხუჭავს.

6.

ღურბინდიანმა კაცმა ხელი რად დამიქნია,
ან კოცნა რატომ გამომიგზავნა?“ –
შეეკითხა მუსა თავის ღმერთს საიქიოში.

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili



გურამ - მუშაობს - 31 მაისი
გურამის სახლი
გურამის სახლი
გურამის სახლი

ერთი მოთხრობა კრიმინალურ მენტალიტეტზე

(სცენარი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის)

ინსტრუქცია: იკითხება „ჩუმად, ჩუმად, - ჩუმად, ჩუმად - არვინ გაგვიგოს“ თანხლებით

მაკა მიქელაძე

მაკა მიქელაძე / ერთი მოთხრობა კრიმინალურ მენტალიტეტზე

დღეს გიორგას მივყვებით „საქმეზე“.

ალალი ტიპია და მაგაზე ალალია! თანაც ძმია, თანაც საქმე საქმეშია! აჰა! გამომიარეს. ცოტა უფრო „იარკი“ ტრანსპორტი ვერ იშოვნეს ნეტა? სამი მოსახვევის იქეთ შეგვაძინევენ.

ინსტრუმენტები ჩავიტანეთ. ნაწილი. ნაწილი უკვე ფოსფორის ფორ-
თოხლისფერ ტრაილერში მელოდება.

– აღრე მივდივართ, ჯერ კარგად არ ბნელა – შევძვერი მანქანაში და ყუთებს შორის მოვკალათდი.

– სანამ მივალთ და ავბარგდებით იქნება – გოდრით ბანი ჩამოვდგა მარგიანმა.

გიორგა მძლოლთან ზის კაბინაში. „ბაკავოი“ სარკეში შევასწარი თვალი მის გაფითრებულ თხელ ფიზიონომიას, თავადურ შუბლ ცხვირს, ბავშვივით ტუჩებს და შიშით გამრგვალებულ თვალებს. ასეთ „საქმეზე“ პირველადაა. ჩვიდმეტისაა.

ასეთ „საქმეზე“ ჩვენც პირველადა ვართ. თუმცა რალაც რალაც გამოც-
დილებები დაგვივგროვდა.

მძლოლი აზრზე არ არის. დაქირავებულია. ეტყობა ჩვენი დაძაბულობა გადაედო. რალაც ვერ დაყავს რიგიანად. ასე თუ გვანჯღღრია ბარგს გაგვიფუჭებს.

– ტექსტი გახსოვთ? – ნერვიულობს „გიორგა“.

– ეგეთები არ იყოს, – თვალებს გვიბრიალებს „ჰამლეტა“, – გუშინ სამჯერ გავიმეორეთ. ვინ, როდის და რას... ერთსაც რო შეეშალოს... ჩათვალე „ფლაკია“.

– თქვენ რა გენადვლებათ, პირველი სკრიპკა მე ვარ. – თქვა სკრიპკამ.

– მოვრჩეთ და ტექნიკა შევამოწმოთ, – გამოვედი სიტყვაში.

– ობიექტზე ვინ იყო გუშინ გასული – გიორგაა.

– ყველაფერი რიგზეა – თავი გამოიდო შოშიამ – საათივითაა.

– საათები შევამოწმოთ – ჩხირი კედელს და მარგიანმა იხუმრა. მოვედით.

„კურტკის“ საყელო ავიწიე. თვალზე ქუდი ჩამოვიფხატე. დანარჩენებს გადავხედე. შავები გვეცვა – გამონაკლისის გარეშე.

– ამხელა სტაფილოსფერი ჯაბახანიდან თორმეტი ჩამავებული მუტრუკი რო გადმოვლაგდებით. ხუთ წუთში უბანსაც ეცოდინება და უბნის ინსპექტორსაც. – ავჯაჯღანდი.

– ტყუილად კი არ ქვია „თარსა“, შენ ვაფშე ხმა არ ამოიღო – გაბრაზდა „ლუჩინო“.

– ო! კაი ტურასაც დაიჭერთ – გამეცინა თავდაჯერებულად.

– წავიდა! ჩავზიდეთ! – ავახრიგინეთ ყუთები.

– დენი რო არ იყოს. რას შერებით? – ვერ მოვისვენე.

– ე საჭირო არ იყო. მოგკლავდი. – დალონდა მარგიანი.

– ფორმები არ დაგრჩეთ – საფრთხე იგრძნო და შუაში ჩადგა გიორგა – ახლა მაგის დრო გვაქვს?! – აგვიტრიალა ცხვირწინ პიანისტის თითები – ხელები სახეზე უფრო თეთრი ჰქონდა, რაც მარტო ყინვის ბრალი არ იყო. – გადაცმაც ხო უნდა მოვასწოროთ.

– ხელთათმანები ჩაიცვით ყველამ! – შემეშინდა მეც.

– ჰო, თორე ჩემი „თითები“ უკვე ფიგურირებს კარტოთეკებში.

– გაგვახარა „სკრიპკამ“ – მე და ემიგრაციული სამსახურები ვერ ვრიგდებით.

– შენც შეეშვი „გასტროლებს“ და ქუჩა-ქუჩა წანწალს, – ვერ გაუშვი ჭკუის დარიგების მომენტი ხელიდან.

– მიდი, მიდი, ყუთს მოკიდე ხელი, „ნრავაუჩენიები“ ყველას გვეხერხება. შენ აჭმევ მერე ჩემ ცოლ-შვილს?

რვასართულიანი სახლი, რომლის ეზოშიც ჩვენი ტვირთმზიდი შეხრიგინდა ავისმომასწავებლად გაიღურსა.

– სასწრაფოდ ამოდით სახლში, – უბრძანეს მშობლებმა ეზოში კანტი-კუნტად დარჩენილ ბავშვებს.

დომინოს მოთამაშეებმა ყურები ცქვიტეს. ეჭვის თვალით გვიწყეს თვალთვალი.

უახლოეს სადარბაზოსთან გახსნილ ჭორ-ბიუროში ჭორიკანებს ‘საქმე’ მიეცათ:

– ჩვენ სადარბაზოში ბინა ხომ არ გაყიდა ან გააქირავა ვინმემ? – ისეთი კილოთი იკითხა ძველდუბლიონკიანმა, ძალად გაქერავებულმა მანდილოსანმა, რომ სიტყვა „უჩემოდ“ თავისთავად იგულისხმებოდა.

– რაღაც არ გამიგია, – მხრებს იჩეჩავს გამხდარი წვეტიანცხვირიანი ბალზაკის ასაკის და გარეგნობის ქალი, კოჭებამდე ჩაფართხუნებულ შაბიამნისფერ „ლუტი“ კურტკაში.

– არ უნდა იყოს აქ სუფთა საქმე, – აენტო მესამე. ფეხზე სახლის ჩუსტები, თავზე ჩამოცმული „შლეში“, წელზე შემოხვეული პლედი შეისწორა და წამოდგა.

– რატომ იცით, დედა, ყოველთვის ასე ლაპარაკი? – აწიწინდა ჩუსტე-ბიანის გვერდით მჯდომი, აშკარად კუჭისწყლულიანი, აშკარად ქიმიით თავაღმუშავებული და აშკარად რძალი – იქნებ რომელიმე მეზობელმა ავეჯი იყიდა, ან სულაც ამანათი მიიღო ამერიკიდან.

– ჰო, ბანდერასი გამოუგზავნეს მეშვიდესადარბაზოელ მარიეტას! – თვალები გადაუბრიალა დედამთილმა.

– ჰა-ჰა-ჰა-ჰა, ბანდერასიანი ბანდეროლი – დაძაბულად იცინის რძალი.

– უნდა გავარკვიოთ რაშია საქმე. ეს ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია! – წამოხტა „დუბლიონკიანი“ და პირდაპირ ჩვენსკენ გამოემართა.

– დავიწვით, – შეწუხდა „ჰამლეტა“.

– ბიჭებო, ვისთან ხართ? რითი დაგეხმართ? – გვეკითხეს შემპარავად.

– ნუ სწუხდებით, დედა – ხმა დაითაფლა „ლუჩიანომ“.

– მე ვწუხდები თუ არა, არ არის აქ გადამწყვეტი. არც შენი დეიდაა აქ ვინმე. ვისთანა ხართ მანც. – არ დაცხრა „დუბლიონკიანი“.

– თქვენთან არა, ქალბატონო, – „გამოასწორა“ „ლუჩიანომ“.

– ღმერთმა დამიფაროს! რას ბედავ თუ იცი! – გამწვანდა „დეიდა“.

გიორგა მოქანდა.

– ქალბატონო, ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ, ჩვენ ვისთანაც ვართ, თქვენ იმას უბრალოდ... როგორ გითხრათ, – არ იცნობთ... საქმეზე მოვედით.

გიორგას გარეგნობა და ზრდილობა, ძირითადად, ჭრის. ამჯერად არ გაჭრა.

– რას ქვია არ ვიცნობ, – გაწიწმატლა ქალი – შენ მე ვინ გგონივარ, არც შენ და არც ეს კორპუსი არ არსებობდა ამ ქვეყანაზე, მე რომ ამ ეზოში ვცხოვრობდი.

– არ გეტყობათ, ქალბატონო! – მანქანის ძარიდან პირდაპირ ყურში ჩაჰყვირა შოშიამ, – მშვენივრად გამოიყურებით.

– არ არის ეგ შენი საქმე! – ცოტათი მოლბა.

მაგრამ ახლა დანარჩენმა ჭორიკანებმა გადაწყვიტეს დაქალს გვიჩაგრავენო და დაგვადგენენ.

– „აბლაგაა“ – ყური მოიფხანა „სკრიპკამ“.

– დედა, დედა, ჩეიშალა ყველაფერი. დამთავრდა იქანა „სხოლკა“ – აქოთქოთდა „ლუჩიანო“.

– მე ვიცი, რაც აწყვია მაგ ყუთებში, – საზეიმოდ გამოაცხადა დედამთილმა და გამარჯვებულმა გადმოგვეხედა.

– არიქა, გვითხარით, – ცხოველი ინტერესი გამოიჩინა შოშიამ.

– რა და მოპარული საარჩევნო ხმები.
– რატომ იცით, დედა, ყოველთვის ასე, მაგდენი ამომრჩეველი სულ არ არის საქართველოში.

– მაშინ იელოველთა ლიტერატურაა! – არ დათმო პოზიციები „დედამ“
– კი, ნამდვილად.

– რა აწყვია ყუთებში? – ახლა შაბიამნისფერი „დუტი“ გაგვეჭიმა.

– ძვირად ღირებული საქონელი, – აღიარა გიორგამ.

დუბლიონკინმა მარგიანს დაადგა თვალი. ეტყობა ყველაზე ბოროტმოქმედის იერი ელო და კვალში ჩაუდგა. მარგიანმა მანქანას შემოუარა, მძღოლს 50 ლარიანი და ზედაც ერთი ბოთლი ზომიერების ფარგლებში ხარისხიანი არაყი გაუწოდა.

– კარგ საქმეში გვიძმე. კარგ საქმეში გაგეხარჯოს.

– ზვალ დილით ჩემი ნაპარნიკი გამოგივლით – გაუცინა მძღოლმა.

– სიტყვა და საქმე! – თავი დაუქნია სვანმა.

– ვიცი მე თქვენი საქმეები! – ინფორმაციის მოპოვებით კმაყოფილი უკან გამობრუნებას აპირებს დუბლიონკიანი და „შოშია“ ახლა უკვე მეორე ყურში ჩაჰკივლებს.

– არ ვაკეთებთ, დეიდა, ცუდს არაფერს, დედას გეფიცებით.

– მიშველეთ! თავს დამესხენ! – შეგვიყარა ქვეყანა.

დომინოს მოთამაშებმა თავი მოაბრუნეს და კვლავ თამაშს მიუბრუნდნენ. „დუტი“, „რძალი“ და „დედამთილი“ მეზობლის გადასარჩენად ცოცხალ კედლად აღიმართნენ.

რძალმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და გამირული თავგანწირვით აეფარა „დედას“.

– გგონიათ, არ ვიცით რა გიწყვიათ ყუთებში? მშვენივრადაც ვიცით... დიახაც... რა და... რა და – კიდევ მოიკრიფა გამბედაობა რა და პლანი! – ნიშნის მოგებით გადმოგვხედა.

რა უნდა გვექნა. ერთხმად გაგვეცინა.

– აი, აი, დაბოლილები არიან. ხო ვამბობდი. – გაიხარა რძალმა. „დუტიმ“ „დეიდამ“ და „დედამთილმა“ სამ ხმაში გაშალეს.

– ჩამოართვით ვინმემ ეს ყუთები, მთელ ერს მოწამლავენ ეს ხულიგნები, ბანდიტები, ამორალური სუბიექტები.

დომინოს ერთ-ერთი მოთამაშე პლანის ხსენებაზე ნეტარი გარინდებიდან გამოერკვა და თავი წამოწია.

– სლუმ, ნი გავარი გლუპოსტ. რო არ იცი, გაჩერდი, რაღა. მაგდენი პლანი რა, ბაღდადში ვარ?

დედამთილმა მოწყვეტით მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება.

- ჩემს სადარბაზოში მაგ ყუთებს ვერ შემოიტანთ.
- ან ჩვენ ან ეგენი! – მხარში დაუდგა რძალი.
- მორჩა და გათავდა – დაადასტურა ქალბატონმა დეიდამ.
- არასოდეს! – თქვა „დუტიმ“ – და ვერასოდეს! – დაამატა ამაყად. მჭიდროდ ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელები და სადარბაზოს კარებში გაიხიდნენ. ბოლო სიტყვები, როგორც ჩანს, მაგრა მოეწონათ და აიტაცეს.
- ა-რა-სო-დეს! ვე-რა-სო-დეს! ვე-რა-სო-დეს! ა-რა-სო-დეს! – კარგად გამოსდით.
- რა შარში გავებით, – სიგარეტის მოსაწევად მიდგა „ჰამლეტა“ – სუ „თარსას“ ბრალია.
- ეს ნახე?! მიდი ღროზე რამე მოიფიქრეთ, სანამ ვინმეს გამოუძახეს!
- გავბრაზდი მე.
- დღეს თუ ჩაიშალა, მულამი იკარგება, – ადგილს ტკეპნის „სკრიპკა“ – დაბადების დღეზე აქვს მარილი.
- რა ვქნათ? – შფოთვა დაეწყო გიორგას – ამ ცოცხალ ბარიკადებს უხმაუროდ ვერ გადავლახავთ.
- დომინოს მოთამაშემ გვიყურა, გვიყურა, ველარ გაძლო და მოფრატუნდა.
- კაცურად, თუ მართლა ბოლია, მეც თქვენიანი ვარ.
- ყუთები ხო არ დავხსნათ. ხომ არ ჩავახედოთ? – ავად ცრის კბილებში მარგიანი.
- ე! „ლოცენტა“ ამ სახლში არ ცხოვრობს? – გამოცოცხლდა „ლუჩიანო“.
- ეგ რომელი „ზაკონში“ როა? – „მიხვდა“ სკრიპკა.
- ლუჩიანომ მობილური დააძრო და შესტით ანიშნა, ნეტაი შენ არ ერეკე-ბოდეო.
- გამარჯობა, ბატონო ვახტანგ, – მოწიწებისგან თითის წვერებზეც კი წამოიწია „ლუჩიანო“. – დოცენტა ეძახე და თავისი საქმის პროფესორია. ცოტა ხანში მეორე სადარბაზოდან სიმპათიური, ინტელიგენტური ჩაცმა-შესახედაობის ხანში შესული ჭაღარა მამაკაცი გამოჩნდა, თავზე ბერეტი და ვიწრო თასმაზე გამობმული ფინით.
- ქალებმა დაგვასწრეს და ბატონ ვახტანგს მისცვივდნენ.
- სახლში შეღწევა უნდათ!
- ჩვენსაში არ შევუშვით. ახლა თქვენ „პადიეზღზე“ აქვთ განზრახული იერიში.
- ჩვენი ვარაუდით, ყუთში ან აკრძალული ლიტერატურა ან ასაფეთქებელი საშუალებები.
- საეჭვო ტიპები არიან, ბატონო ვახტანგ. ნაკითხი კაცი ბრძანდებით.

ბატონი ვახტანგი დაიბნა, შეწუხდა, მაგრამ ჩვენი მხარე ბოლომდე დაიჭირა.

– შეეუშვათ, ეს პატიოსანი ახალგაზრდობა, ზულეიკა, ჩემო კარგო, ჩემი თავლებით და ჩემ სადარბაზოში.

ქალებს ცივი წყალი გადაესხათ.

სანამ ბატონი ვახტანგი თვალს მიეფარებოდა, მუნჯად ბოდიშობოდნენ. მერე ერთბაშად ასისინდნენ.

– უნდა გაწყვიტო, ერთიანად, ეს ინტილიგენცია.

– მაგათ ყველა თავისნაირი ჰგონიათ.

– იმიტო იღუპება ქვეყანა!

– რათ უნდა მაგას უნივერსიტეტში სწავლა. მაგის სადარბაზოში თუ შევიდნენ, ჩვენთან ვერ გადმოვლენ თუ რა?!

სადარბაზოში ბოლო ყუთი რო შევმალეთ. მივხვდი „ატასზე“ უნდა დავრჩენილიყავი. ძან მძიმე საქმე აღმოჩნდა ჩემისთანა სუსტი და განებვირებული ყმაწვილისთვის.

– ესეც ვიცოდი, რომ გამოძვრებოდა, - აღფრთოვანდა „შოშია“.

– რამე არ გვიხიმაღრონ – „არასოდეს-ვერასოდეს“-ებზე ვანიშნე შეწუხებული სახით.

– მიდი, შენ ესენი თრაქე ყუთებზე მანიშნა – ამათ „ბაზარზე“ მე ვიკაიფებ.

– ვივაჭროთ?

ყუთების ნაწილი უკვე ლიფტში ჩაიტვირთა, რომ მარგიანმა გამოყო თავი.

– რად გვინდა ორი „ატასი“. „თარსას“ ყველა ვენდობით.

„შოშია“ დამარცხდა.

გიორგა, „ლუჩიანო“ და „ჰამლეტა“ ფეხით აუყვანენ. ვეღარ ითმენდნენ. ასე მეოთხე სართულზე იქნებოდნენ, რომ დომინოს მოთამაშემ დაძაბა.

– მაგრა სტრანნად იქცევინ, ტო! მგონი ამ ჩვენმა ქალებმა ტყუილად არ ააფრინეს. როგორ შეიძლება ბეზრაზლიჩნი იყოს, ტავარს რომელ პადიეზდში შეიტან. დორ ჩარი.

– იარაღი არ ქონდეთ, ე?! ის შავ-შავი ჩანთები რო აზიდეს, ასიანი... შაში ჩარი.

– ნაღდად ტერორისტები არიან. ჩამოყარე ოცი.

– ხომ არ დავრეკოთ? ხო იცი, ჩვენი პოლიცია ჩვენ გვიცავს.

– ეგ მილიციაზე იყო, ჯიგარო! – ქვას აჭახუნებს პლანაქეში – ეს ვახტანგაც მაგარი სტრანნია. შეუშვითო. თვითონ დაითესა. გაასწრო რაღა.

ტყუილად არ დავრჩენილვარ. ეზო თანდათან პანიკამ მოიცვა, ტელეფონებმა და მობილებმა ისე გაიგიჟეს თავი, ეზოში მესმოდა მათი რაწკა-რუწკი.

– მარგარიტ ვოლფოვნა, თქვენ სადარბაზოში თუ არ შეიძლება კონტრაბანდის შემოტანა, ჩემსაში რატომ შეიძლება ვითომ? – გადმოეკიდა ხმაურით გაღებულ ფანჯრიდან თავზე თმისსაღებავიანი და „ბერგუნდსკით“ რეზინის ხელთათმანებმოთითხნილი სქელ-სქელი ახალგაზრდა ქალი – შეგეშვით თქვენთან, თუ ქიმია დაეშლებოდა თქვენ, ანუკის.

– დაგეცვათ, გენაცვალე, პირადი საკუთრება და იქნებოდით გუგულებით! – ამაყად უპასუხეს ქვემოდან.

– კონტრაბანდა კი არაა, ჩემო კარგო, 1,3 ტ ტროტილი აქვთ თურმე, ყვირის ვილაც სხვა სადარბაზოდან.

– ხოდა, რო აგვიტანს ყველას ჰაერში, ნახავთ როგორ უნდა მარტო საკუთარი სადარბაზოს დაცვა - მშვიდდება პირველი მომკივანი და სახლში შედის.

– ტროტილი არაა, გექსოგენია, – იცინის ვილაცა.

– ტერორისტები კი არა მანიაკები არიან. ორმოცი კაცი ყავთ „გატრუპული“ და ყველა იმ ყუთებში უწყვიათ, – მახვილგონივრობა შეიმოწმეს პირველ სართულზე.

– ეგენი ისინი არ არიან „სექს-მოფი“ რო დაუხურეს. ეგ არი რა, იქაური „პრიჩინდალებია“. – არ ჩამორჩნენ მეორედან.

– მაინც ჩვენ სადარბაზოში შევიდნენ და საბაჟო მაინც გამოგვერთმია, – გული დაწყდათ იქვე.

ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს მსგავს შემთხვევაში თბილისურ ეზოში.

– დარეკეთ პარლამენტში!

– რას გვიკეთებს მთავრობა!

– სად არიან „მწვანეები“?!

– სახალხო დამცველი ხო შენი ნაცნობია, ახლავე შეატყობინე!

– მიშველეთ, სიდედრს გული წაუვიდა!

– მეც მიშველეთ, ჩემ სართულზე არიან.

– ძაღლი მიუშვი, მანია, ძაღლი! ოღონდ ბანტი არ დოუსვარონ შენ ბალონკას!

– თქვენი არ ვიცი, მე მანქანაში ვიძინებ.

– დარეკეთ, ხალხო სადმე, თორე დაგვექცა ოჯახი.

მართლა დარეკავენ, შეშინება ვერ მოვასწარი და დენი წავიდა.

– ოხ „თარსა“, შენი თარსი ენა! – მერვე სართულიდან დამაყარა თავზე ბანი მარგიანმა.

სიტუაცია დაიძაბა. ხალხი ჩურჩულზე გადავიდა.

– აგნესა იბახის, „ბოსი“ ლიფტში ჩარჩაო.

– ეგ რომელი? ძალალი და ზრდილობიანი? ეგეთები განსაკუთრებით

აპასნები არიან.

– გაიგე? ნაციონალ-სოციალისტების პარტიიდან ყოფილან – ჩურჩულებს ვილაც.

– ასიანი. ხელში ათეთორიანი დაუუნახე. ზედ ბორჯღალით.

– რა შუაშია „ბორჯღალი“.

– „ბორჯღალი“ „სვასტიკა“ ერთი სიმბოლიკაა.

– არ გადამრიო! ხედავ შენ?! ჩვენს ახალგაზრდობაში ფაშისტს მარტო კინოში თუ ნახავდა პატიოსანი კაცი.

– როკერები ყოფილან.

– როკერები არა სპიკერები.

– უცხოპლანეტელები იქნებიან. გამოუცნობი მფრინავი ობიექტები.

სუპერ-დედებმა შეფუთული ბავშვების ევაკუაცია წამოიწყეს.

– დარეკეთ! ადამიანები არა ხართ? ამოიღეთ ხმა! – ნერვები აღარ ჰყოფნით მაცხოვრებლებს.

– თუ გინდა ფსიქიატრიულს გამოვუძახებ, მაგრამ არა მგონია, იმდენი „სკორაია“ ჰყავდეთ, ყველა დაეტიოთ! – დომინოს ქეებს კოლოფში ჩაუძახა გაბეზრებულმა დომინოს მოთამაშემ. – ხო ვიცი, ყველა ყვირის, ჩემ გარდა არავინ საქმეს არ აკეთებს.

– არიქა, ძია ლევიკო, გვიშველე.

ჭაღარა, კეთილსახიანი კაცია. მაგისგან ღალატს არ ველოდი.

– „თარსა“, ამოდი! – ჩამომძახეს ზემოდან.

– ლიფტი არ მუშაობს. – დამეზარა.

– კაი, კაცო. ხო არ გინდა ჩამოვიდე. – მარგიანია.

რალას ვიზამ. ჩაბნელებულ სადარბაზოს ავუყევი და მეშვიდეზე შუქიც დამეწია.

სხვენზე რომ გაემყერი, ყველაფერი მზად ჰქონდათ.

– ჩამოარიგე, – თქვა გიორგამ.

– ეგ რა არის?

– ნიტროგლიცერინია.

– აგვაფეთქებს.

– ასიანია.

– ასიანი კი არა 96-იანია, მედიცინსკი.

– ჰა, ვზუხეთ.

– ვზუხეთ!

– ეს იმ მთვარეს გაუმარჯოს, ძმის საშველად წასულ ძმას რო... – უსადღეგრძელოდ ყელში არ გადაუვიდათ.

– ეგ „საქმეს“ რო მოვრჩებით. – ააჩქარა „სკრიპკამ“.

– ჩამოატარე მეორედ. კარგია, – მართვის სადავეები აიღო მარგიანმა, – „შოშია“, მზად არის? ინსტრუმენტები მოამზადეთ, ჩართეთ განათება, ასანთი

ჩქარა. ერთი, ორი, სამი. წავიდა.

ფიალები ავაბრიალეთ, ყარაჩოხელების ქულები შევისწორეთ და დავცხეთ.

– „ვინდ მეძინოლოს, მაინც სუუულში მიზინხარ,

თვაალს ავახეელ, ზეედ წამწამზე მიიზინხარ“.

გიორგა ცერით მანიშნებს, კარგიაო. მართლა კარგად დაჯდა.

– ჯამით ტოლუმბაში მნახე ვინა ვარ. – ჰამლეტაა.

– აბა მუშტი-კრივში მნახე ვინა ვარ, – ვინ იქნება. მარგინია.

– ვინ ბოსი ჩარჩა ლიფტში? – ვუჩურჩულე შოშისას.

– ბოსი კი არა, ბასი. ჩჩჩ ჩემი ჯერია. – ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ! – აუწია ხმას.

თეთრ შარვალ-კოსტუმში გაზმანული გიორგა თავისი პარტიისთვის ემზადება.

მძლავრი დინამიკები გვაქვს, უკვე ნახევარ ქალაქში აინთო სინათლეები და დაიხსნა ფანჯრები.

აჰა! მოპირდაპირე თერთმეტსართულიანის მეთერთმეტე სართულის სასურველი ფანჯარაც გაიხსნა და ნანამაც დაგვაყენა საშველი. გადმოგვხედა.

– ქულების მოხსნა არ დაგავიწყდეთ. – გიორგას ჩურჩულია. მაგრა ღელავს. ეგ იმ აააა-ს ვერ გაქაჩავს.

– გაქაჩა! ჯიგარო!

ვინ, ვინ და მე ხო ვიცი, რასაც გრძნობს. ასჯერ მაინც აქვს მოყოლილი მუსიკალური სკოლა, თმაგაშლილი, მწვანეთვალება, თეთრკაბიანი, ანგელოზი და ფერია ვიოლინოთი ხელში, როიალთან მჯდარი მოკლეშარვლიანი პატარა არისტოკრატი და რაინდი, საბავშვო კონცერტის მღელვარებით. პიონერთა სასახლის ბაღი. რაინდის და ფერიის ბავშვური ვალსი სარკეებიან დარბაზში, კონცერტიდან წვიმაში სირბილი, მტირალა ტირიფები და პირველ მიყვარხარზე ანგელოზის ზედაორკბილნაკლული ღიმილი, ბევრი სინათლე და პირველი სიყვარულის სისუფთავე. ასე მეგონა, აგერ ახლა ორივე მოწყდება მიწას და გაფრინდებიან ციურ სარკეებიან დარბაზში ახალი ვალსის საცეკვაოდ ჩვენი გამოცნობილი მფრინავი ობიექტები.

ენდე, თუ არა!

თოვლი წამოვიდა, რა ხნის ნანატრი.

ეზოში სახანძრო მანქანა შემოკივლდა. მეხანძრეები შემოცვივდნენ და კიბე მოგვადგეს.

– ხომ მითხარით გამოიძახეო და მეც გამოვიძახე. – თვალზე ცრემლს იმშრალებს თეთრულვაშებიანი კეთილი სახის მეზობელი, ძია ლევიკო. – მე ვიცი, როდის რას უნდა გამოვეძახო.


– ბიჭებო, ამოდიო! – ჩამოგვძახა ნანამ.

– მეზობლებო! გადარჩენას გილოცავთ! – თეთრად ჩამოცვენულ ცას ახედა და თეთრად ჩამობარდნილ ეზოს ჩამოსძახა ერთ-ერთმა გადარჩენილმა.

გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili



გურამ წიბახაშვილი



გურამ წიბახაშვილი
გურამ წიბახაშვილი
გურამ წიბახაშვილი

ყავახანა

ნესტან კვინიკაძე

ვიმ ვენდერსის წერილის შთაბეჭდილების ქვეშ

ვარ შვაბინგში, ტურკენშტრასეზე, ყავახანაში. იდეალური განათება და ხეში ჩასმული ოთახი. ხელს არ ვაშორებ ჭიქას, რომელშიც ყავა ცხელია. ვეწევი საოცრად ბევრს. გაშტერებული ვუყურებ გოგონას, რომელიც ხვეული თმითა და მოკლე ჭრელი სარაფნით, უკვე სამი საათია, რაც მუსიკალური ავტომატის წინ ცეკვავს. მზერა გადამაქვს ბიჭზე, რომელიც სვამს ლუდს და საათობით უცქერის ხვეულთმიანს.

აქ, ყოველდღე მოვდივარ – აშკარად გამოცდილების დასაგროვებლად. მეცხრე დღეა, რაც არაფერი იცვლება გარდა ხვეულთმიანი გოგონას სამოსისა.

დღეს, მაგალითად, ეს წყვილი ჩემს მოპირდაპირე მაგიდაზე ზის. გოგონას აცვია უმოკლესი ჯინსის სარაფანი, ვხედავ მის თეთრ საცვალს და ნერწყვს ვეღარ ვყლაპავ. გოგონას თვალს არ აშორებს დაახლოებით ოცდაათი წლის ბიჭი, თუ კაცი?! – რაღაცას უხსნის ან უმტკიცებს. თეთრსაცვლიანი კი, გასაოცარი ინფანტილურობით, ამარცხებს წვერებიან ბავარიელს.

ყავახანაში ხშირი სტუმრობის მიუხედავად, ამ ქალბატონს, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. მამაკაცი კი, პერიოდულად, ნახევრად ინტელექტუალურ მზერას მომავლებდა ხოლმე.

რაღაც ხდებოდა მათ შორის, უფრო მეტი, ვიდრე სიყვარული... ბევრად მეტი! – აი, რა სჭირდა იმ ორ ადამიანს.

დღეს მეორე დღეა, ისევ ყავახანაში ვზივარ. ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები ყავასთან ერთად იხარშება.

დილიდან წვიმს... ახლა საღამოს 10-ია, შეაგვიანდათ. იქნებ, საერთოდაც, აქ არ ცხოვრობენ და უკვე საკუთარ ქალაქში დაბრუნდნენ? რამე ხომ არ შეემთხვათ? გუშინ ისეთი ლამაზები იყვნენ.

სიგარეტი ხის საფერფლეში ჩავაქრე და ტუალეტს მივაშურე.

შესასვლელში, საერთო ხელსაბანოში, 17-19 წლის გოგონა გონებადაკარგული ჩამუხლულიყო და ხელები ნიჟარაში ჩარჩენოდა. სასწრაფოდ ავაწვივინე თავი, და იმწამსვე თვალები გაახილა. წყალი შევასხი და ვკითხე, რა გჭირს-მეთქი. ხელით მანიშნა მოვწიეო. წამოვაყენე, მე თვითონ კი ბართან მივვარდი და შაქრიანი წყალი ელვისებური სისწრაფით ხელებიდან გამოვკლიჯე ბარ-

ნესტან კვინიკაძე / ყავახანა

მენს. ოღნავ გონს მოსულს კინალამ ჭიქაც გადავაყლაპე. საფეთქლებზე წყალს ვუსვამდი, ამასობაში ფეხზე წამოვდგა, მაღლობა ხელითვე მანიშნა და გარეთ გავიდა. გავეყვი. მან იმ წამს დაძრული ყვითელი ტაქსი გააჩერა, უკან ჩაჯდა და გამშორდა. ანერვიულებული ისევ ყავახანას დაუბრუნდი და ტუალეტამდე ვფიქრობდი სადღაც წაკითხულზე, რომ ყვითელი ტაქსები უბედურების მომასწავებელია. თუმცა, ხელების დაბანისთანავე გამიფრინდა თავიდან ეს აზრი.

ჩემს მაგიდას მივუახლოვდი, რომ უეცრად ზურგი ვიცანი. ის, ახლა ჩემს პირდაპირ, უკვე, ზურგით იჯდა. თმა წვიმას დაესველებინა, სხეულზე საოცრად შემოტმასნილი მაისურიდან, ფანტასტიურად ვარჩევდი ხერხემალს, მხრების მოძრაობას. ვხედავდი, როგორ ჩადიოდა ბოლი ფილტვებში და შიგნით რჩებოდა. რალა თქმა უნდა, თან ახლდა წვერებიანიც, რომელმაც, მზერით დამიდასტურა ის, რომ უკვე მეორე კვირის ბოლოა, რაც შეთქმულებივით, ყოველ საღამოს ამ ყავახანაში მოვლივართ და ერთმანეთს ვეპრანჭებით.

მართლაც, რა ხდებოდა ნეტა? ქალი ქალს, ქალი კაცს, კაცი – კაცს... ყველა რალაც ამბავს უქმნიდა საკუთარ თავს. თითქოს აჟიტირებული ტურისტების მსგავსად, ხელოვნურად ვაჩქარებდით პროცესს და ვთხზავდით ამბავს, რომ შემდეგ გამუდმებით ამაზე გვესაუბრა.

მეც მქონდა ჩემი ამბავი. ვინ რა იცის, რატომ ვარ ყოველდღე მარტო?! რატომ ავიჩიქე ეს ადგილი. რომ მეც მყავდა რჩეული – ლანა, რომელიც 2 თვის წინ სხვას მისთხოვდა, რომელსაც ყავა ჩემზე ძალიან უყვარდა, და ამიტომაც გამუდმებით ასდიოდა ეს საოცარი სურნელი. ამ ყავახანაში, რალაც უცნაურ ვნებებს ვიკმაყოფილებ, ისე როგორც სხვები.

აი, დღესაც აქ ვარ. აღარ წვიმს, უბრალოდ ნაწვიმარია. ახლა რატომღაც კინოში მომიწინა, მაგრამ მარტო არა. ალბათ ამათ არ უყვართ კინო – გავიფიქრე “ჩემ წყვილზე”. და თითქოს გაიგონა ჩემი ფიქრი, მამაკაცმა შედარებით ხანგრძლივი მზერა მომიძღვნა.

ყავახანის კარი ხმაურით გაიღო და ის 18 წლის გოგონა შემოვიდა, გუშინ რომ კვდებოდა. ისე, რა ავიჩიქე ეს 18 წელი, იქნებ უფრო დიდია.

გოგონა თვალებით ვილაცას ეძებდა, ჯინსის შარვლის კიდეები ნაწვიმარ ასფალტს შეელახა. იდეალურ განათებაში საოცრად ლამაზი მომჩვენდა. სალათ-ისფერი მაისური მიმზიდველს ხდიდა მის გამხდარ სხეულს. და რაც ყველაზე მეტად მომზიბვლელი იყო, უცნაური, თუმცა კლასიკური თმის ვარცხნილობა. მერე დავმშვიდდი - ყვითელ ტაქსებზე არ ყოფილა მართალი-მეთქი.

უეცრად მან მზერა ჩემზე შეაჩერა. - ვაიმე - გავიფიქრე. გამიღიმა, მომიანლოვდა. დგას და კვლავინდებურად არ იშორებს ღიმილს. ხის სკამზე გავსწორდი და ხელით ვანიშნე დამჯდარიყო.

- არა, მითხრა და ორი ბილეთი მაჩვენა – კინოში გეპატიჟებო... რა

იყო ეს? მისტიკა, დამთხვევა, ბედი?

განვითარებულ სიუჟეტს მალევე მივეცი შეფასება, გახარებული წამოვდექი, ფული მაგიდაზე დავტოვე და გასასვლელისკენ გავეშურე. ამასობაში “ჩემი წყვილიც” წამოდგა და უკან გამოძევა. გოგონამ ისევ იმ წამს დაძრული ყვითელი ტაქსი გააჩერა. წყვილი კი მოტოციკლს შემოუსხდა. ქალს, და აქ პირველად ვუწიდე მე მას ქალი, თითქმის მენჯებამდე აეწია ქვედაბოლო. მზერა, რატომღაც, ფეხს ჩავაყოლე, ეცვა ის “ბასანოშკები”, სულ რომ გამიჩერებს გულს, შუაში ხაზით, ქუსლიანი.

უკვე ტაქსიში ვიჯექი, კინოში მივდიოდი და თან ფანჯრიდან ვუყურებდი ორ ადამიანს. რა სჭირდათ? თითქოს კიოდნენ მათი სხეულები. ეს იყო ახალგაზრდულ ტემპერამენტში ამოვლებული გამოცდილება. ასეთი ადამიანის, მით უმეტეს, ქალის ხერხემლის დანახვაზე, მიჩნდება ერთადერთი სურვილი – გადატეხვამდე შევეხო მასში რაღაც ნივთებს, დაგროვებულ ნივთებს.

ვზივარ კინოში. უჩვენებენ გერმანულ ფილმს, იმ წამს ჩემთვის უინტერესო სიყვარულზე. გვერდით მიზის თურმე 17 წლის ლილი, რომელიც გუშინ გადავარჩინე - როგორც თვითონ ამბობს, და რომელიც ფილმის და ამდენი ყავის შემდეგ, ჩაიხე მეპატიჟება თავისთან სახლში.

წავალ... აუცილებლად წავალ.

პირველად ლილის მოუვიდა აზრად, რომ ტუჩებში ეკონა ჩემთვის. იყო პატარა, ბევრად პატარა ჩემზე, და გამოუცდელიობისა და უცხოელის სურნელი ერთდროულად ასდიოდა. ეს სურნელი ჯერ კიდევ კინოში ვიგრძენი.

მართალი ვთქვა, მეზარებოდა ლილის გამხნეება და დამშვიდება. მაგრამ მას საკუთარი ინიციატივით შემოემარცვა სამოსი და “ვიდაცის” ღიმილით სულ შიშველი მომიახლოვდა.

ყველაფერი სადად გადაწყდა. ცრემლების გარეშე, რაც მთავარია.

ცოტა ხანში ლოგინიდან ავდექი და მშვენიერი ინტერიერის, გადატვირთული კედლების, დათვალიერება დავიწყე. ფოტოები... ლილი აბაზანიდან რაღაცას მეკითხებოდა.

-სად ცხოვრობ?

- შოორს! – ვპასუხობდი რატომღაც უხასიათოდ. არადა ლილი გარეგნობით ნამდვილად უახლოვდებოდა ჩემი ოცნების ქალების სერიას.

- ამ ქალაქში ცხოვრობ? – თავისას განაგრძობდა.

- ამ ქალაქში კი არა, ამ ქვეყანაში არ ვცხოვრობ.

- ააა... ახლა ლილის შეფასება ჟღერდა უემოციოდ – და რო მომენატრო?

- აუუ... გავიფიქრე ჩემთვის – ხოო!!!

ლილი კიდევ მისვამდა კითხვებს, მაგრამ მე არაფერი მესმოდა, რადგან

ერთ-ერთ კედელზე გაკრულ კინოაფიშაზე ვხედავდი ქალს, რომელსაც 3 კვირაა თვალს არ ვაშორებ ყავახანაში.

უპასუხოდ დატოვებული ლილი აბაზანიდან პირსახოცმობხვეული გამოვიდა და შეცბა ჩემი გამომეტყველების დანახვაზე.

- ეს ვინაა? – ვეცი გიჟივით.

- ვინ არის? – ყავახანაში საათობით უყურებ და არ იცი?

- ვინ არის? – ნერვიულად გავიმეორე.

- ჩემი საყვარელი მსახიობია, შენ რა გგონია, რატომ დავდივარ ყოველდღე იქ?! – მიპასუხა საკუთარ თავში დარწმუნებულმა.

- ის კაცი ვინლაა?

- მაგის რეჟისორია.

- რეჟისორია?

მომეჩვენა, რომ ლილი უფრო დამცინოდა, ვიდრე მიცინოდა.

არაფერი აღარ მინდოდა, ესე უბრალოდ, ავდექი, ვაკოცე – ზვალ გნახვამეთქი და წამოვედი. სადარბაზოდან გამოსულს გამახსენდა, რომ არ მიკითხავს მსახიობის სახელი.

ღილის 5 საათზე ლილის თამამად ავძახე და მანაც იმწამსვე გადმომხედა მე-4 სართულიდან.

- რა ჰქვია? – ვკითხე.

- ჰანა, ჰანა, - გადმომძახა.

მოვდიოდი, ცოტა შემცივდა, არადა უკვე 3 ივნისი გათენდა. ყვითელმა ტაქსიმ ჩაიარა, მაგრამ არ გავაჩერე.

ამ დღის შემდეგ, არამც თუ ჰანა და მისი რეჟისორი, ლილიც კი აღარ შემოსულა ყავახანაში. 4-ში საღამოს, ამ ქალაქში ყოფნის მანძილზე პირველად, ჩემდაუნებურად, რაღაც ყოველდღიური გაზეთი ვიყიდე. იქ რაც ვნახე და წავიკითხე, ძნელი იყო დასავჯერებლად, თუმცა ფანტასტიური მოსაყოლად.

აი, თურმე რატომ აღარ სვამს ყავას ჰანა ჩვენს ყავახანაში... თუ ყავა-ჰანა?!

გაზეთი, ჰანას რეჟისორის, თურმე გერმანელი კინო-გიგანტის, მოულოდნელ სიკვდილს იუწყებოდა.

მისი ფოტოებით აჭრელებულ გაზეთში, ყველაზე მეტად გამაოგნა პოზიტივმა არქივიდან, სადაც ჟურნალისტების, ფოტოგრაფებისა და ფანების გარემოცვაში მყოფ ჰანას და მისი რეჟისორის მიღმა ლილიც ამოვიცანი.

უპოზიციო ემიგრანტივით შემოვრჩი ამ ქალაქს... უკვე მე-ნ თვეა და დღემდე არათუ ვმგზავრობ, თვალსაც კი ვარიდებ ყვითელ ტაქსებს.

1982 ივნისი – დეკემბერი.

მხრე ბ. ხა- ანდანი, 2016/2017



გურამ თიბაკაშვილი
Guram Tshakhashvili

სკამი

დავით-დევი გოგიბელაშვილი

... დღეს, როცა ისევ ამ ოთახში ვარ და ჩემთვის ნაცნობ ინტერიერს ვუყურებ, საოცარი გრძნობა მეუფლება. გრძნობა, რაღაც შინაგანი, მიყრუებული ტკივილის და უსაზღვრო სევდის, რადგან ამბავი, რომელშიც მე მონაწილეობა მივიღე, სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში და არანაირი ძალა შეძლევს, იმისა, რომ თუნდაც ორიოდ წუთით მაინც დავივიწყო ეს ყველაფერი, რის გამოც, ალბათ ცხოვრების ბოლომდე მოსვენება არ მექნება.

მე და სანდრო დიდი ხნის მანძილზე ერთად ვცხოვრობდით, მან ერთი პატარა ოთახი იქირავა და სამი-ოთხი წელი ასე ვიყავით. ერთი შეხედვით, უცნაური კაცი იყო, საერთოდ არ მცილდებოდა, გარეთ იშვიათად გადიოდა და დროის უმეტეს ნაწილს ამ ოთახში ჩემთან ერთად იჯდა. ხშირად მინახავს უძილო ღამეებით დაღლილი, თავის ნაწერებზე უგონოდ თავდახრილი, მაგიდასთან ჩაძინებული. ბევრს მუშაობდა – გამუდმებით წერდა, ვერც ვასწრებდი წამეკითხა ის ყველაფერი, რაც ქალაქში რჩებოდა, „ვერ ვასწრებდი-მეთქი“, იმიტომ, რომ ამ ნაწერებს, ერთ პატარა ჩანთაში აწყობდა და სადღაც მიჰქონდა. კარს უხმოდ გააღებდა და უკანმოუხედავად გადიოდა. ვერ მამჩნევდა, ყოველთვის მარტო ვრჩებოდი სიგარეტის კვამლით გაბუღულ ოთახში. მარტო ცხოვრობდა და არც ცდილობდა ჩემთან დალაპარაკებას, ხმის გაცემას.

ყველაფერი ძალზე მექანიკურად კეთდებოდა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ სანდრო ბრმა იყო, ან ჩემზე გაბრაზებული. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მე სხვა რამ მაწუხებს და მტანჯავს. ესაა, რომ ყოველდღე თავს ერთსა და იმავე კითხვას ვუსვამ, რატომ მე! მაინცდამაინც მე!... რატომ ამირჩია, სწორედ მე და სხვა არავინ, თავისი საშინელი, დღემდე ამოუცნობი და მტკივნეული საქციელის ჩასადენად?! ვერ ვპოულობ პასუხს და ჯერ ვერავინ ვნახე, ვინც რაღაცაში ოდნავ მაინც გამარკვევს. ხომ შეიძლებოდა, რომ ჩემს მაგივრად იმ საბედისწერო დღეს, როდესაც ჯერ კიდევ გვიან არ იყო, ყოფილიყო ვინმე სხვა, ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ ვიღაცამ... ჩვენზე ძლიერმა თუ მისმა უდიდებულესობა შემთხვევამ ასე ინება, ან განზრახ შექმნა ისეთი გარემო, რომ მაშინ ამ კაცთან ახლოს, მხოლოდ მე ვყოფილიყავი და მას მე დავენახე. თან მაინცდამაინც იმ წამს! ადრე რომ წლების განმავლობაში არასოდეს მამჩნევდა

და არც მელაპარაკებოდა.

მე, რომელიც მას თითქმის არ ვცილდებოდი და მომსწრე ვიყავი ყველაფრის, რაც ხდებოდა მის ცხოვრებაში, ვიცოდი ყველაფერი მის გარშემო, თუ როგორ მუშაობდა, როგორ წერდა, როგორ განიცდიდა, როგორ უყვარდა, როგორ უხაროდა, როგორ სტკიოდა. განსაკუთრებით ბედნიერი იყო, მისი წიგნი რომ გამოიცა. ახლაც თაროზე დევს, მის სხვა წიგნებთან ერთად. ასეთ დროს, ის არ მიზიარებდა თავის განცდებს, გრძნობებს. ზედაც არ მიყურებდა. უბრალოდ, თითქოს რაიმე წესის თანახმად გვერდიდან არ მიცილებდა, მაგრამ ესეც საკმაოდ გულგრილად კეთდებოდა. ასე ვიყავი წლების მანძილზე. მაგრამ მაინც იმასვე განვიცდიდი, რასაც ის; თან ვცდილობდი არ დამერღვია მისი იღუმალი სამყარო.

და როგორი საშინელებაა, როდესაც მან პირველად თავის ცხოვრებაში, ჭეშმარიტად დამინახა, იგრძნო ჩემი არსებობა, შეიძლება დახმარებაც კი მთხოვა, მაგრამ... მე ჩუმად შევეგუე ვითარებას და ჩემს უნებურად ხელი შევეუწყე საქციელს მისას, რაც ჩემი ნების გამომხატველი არ იყო.

სანდრო ერთ ჩვეულებრივ დღეს სახლში ძლიერ ანერვიულებული დაბრუნდა. ცხადია, ოთახში ისე შემოვიდა, თითქოს მის გარდა იქ არავინ იყო. ვერ ისვენებდა, რაღაც აწუხებდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და აქეთ-იქით, ოთახის ერთი ბოლოდან მეორემდე, სწრაფად დადიოდა. მე თვალს არ ვაშორებდი და ვერ გამეგო, რამ გამოიწვია მისი ასეთი მოუსვენრობა და შფოთი.

უეცრად – ჩემთვის მოულოდნელად, სიგარეტი ჩააქრო და ჩემსკენ მკვეთრად შემობრუნდა. როგორც ვიდექი გაშეშებული, ისე განვაგრძე დგომა, ოდნავმა შიშმა დამკრა. ამდენი ხანი მას ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია, ახლა კი გაშტერებული მიყურებდა... სანდრო ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, მოვიდა ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია. წყნარად მომკიდა ხელი, ოთახის შუაში დამაყენა და ფეხებით ზედ დამადგა.

თითქოს ხელები ჭალისთვის მიეღო და გულდასმით ეფერებოდა, ასე იდგა რამდენიმე ხანს, ჩემზე ფეხებით დაყრდნობილი, მე კი ვერ გამეგო, რა ხდებოდა. მოულოდნელად ძლიერი წიხლი ჩამცხო და დარტყმისგან, ზურგით უკან გადავარდნილი, იატაკზე გავსრიალდი.

ველარ განვაგრძობ იმ შემზარავი სურათის აღწერას, რომელიც რამდენიმე წამში ჩემს წინ აისახა.


სანდრო, ყელზე თოკმოჭიმული, მიბმული იყო ჭალზე და შეუძნეველად ქანაობდა.

დავით-დეფი გოგბედუაშვილი / სკამი


გურამ წიბახაშვილი
Guram Tsibakhashvili

გურამ წიბახაშვილი
მედიკალიზაცია
საქართველო
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

$$\frac{AB}{BC} = \frac{DC}{AC}$$



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს



სიყვარულის დოქტრინა

ბოლოვანი ვარდების რეკონსტრუქცია

ირაკლი კაკაბაძე

2003 წლის ნოემბერში მომხდარი ვარდების რეკონსტრუქცია საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ოქროს ფურცელია. ქართველი ერის სულიერი სიმდიდრისა და არაჩვეულებრივი ძლიერების ამგვარი გამოვლინება ჩვენ უახლეს ისტორიაში არც კი გვინახავს. ბოლო ათწლეულის ყოველ უბადრუკი არსებობის შემდეგ ჩვენი ხალხი სულ სხვა მხრივ გამოჩნდა. ის, რაზეც თაობები ოცნებობდნენ, რეალობა გახდა. დაუჯერებელი სინამდვილედ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დიდი შრომა და ჯაფა გვიწევს ამ რეკონსტრუქციის მონაპოვრის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ უახლეს ისტორიაში პირველად ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ქართველები ვართ და საქართველოში ვცხოვრობთ. მაგრამ ამან ნამდვილად არ უნდა მოგვცეს მოღუბნების უფლება. მოშვება და ისევ ლუარსაბ თათქარიძის პოზაში ჩაღვრება კვლავ დალუპვის პირას მიგვიყვანს და ჩვენც ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ არ შეწყდეს ჩვენი მოძრაობა და შემოქმედება. რაც უფრო აქტიური იქნება ჩვენი ძალისხმევა, მით უფრო მეტი სიამაყის საფუძველი შეიძლება გვქონდეს. დღეს კი, გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია. ამაზე ვერც ვერავინ იკამათებს. და ჩვენ გაჩერება არც ერთს შემთხვევაში არ გვმართებს, როგორც საზოგადოებას.

ის, რომ ვარდების რეკონსტრუქცია, არაძალადობრივი მეთოდებით წარიმართა, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს დიდ მიღწევად. ეს მართლაც დიდებული დასაწყისია 21-ე საუკუნისა. მაგრამ არაძალადობა თანმიმდევრული ქმედების შედეგია და მისი ერთგვარადი, მეტად წარმატებული გამოყენება ვერასდროს იქნება იმის გარანტი, რომ საზოგადოება ძალადობასა და ჩაგვრაზე უარს იტყვის, როგორც ურთიერთობის ყველაზე გავრცელებულ ფორმაზე. პირიქით, არაძალადობა ყოველდღიური ცხოვრების სტილია, რომელსაც ბევრი წანამძღვარი გააჩნია.

პირველი წანამძღვარი ის განსაზღვრავს, რომ პირდაპირ ძალადობას, ანუ ფიზიკური ძალის გამოყენებას არ უნდა უწყობდეს ხელს ჩვენში არსებული

კულტურა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია იმ ყოფით კულტურაზე, რომელიც სტიმულს აძლევს ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ფიზიკურ დამცირებას, მისთვის ჭრილობების მიყენებასა თუ მის ფიზიკურ განადგურებას, ანუ, უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, მკვლელობას. სამართლიანობა ითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ასეთი სახის ქმედებები სულაც არ არის რადიკალურად მიუღებელი უკვე კარგა ხნის განმავლობაში. ამასთან არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ქართველი ერი ყველაზე ძლიერი მაშინაა, როცა ის არაძალადობრივად მოქმედებს და ყველაზე სუსტი კი მაშინ, როცა ის თოფს იღებს ხელში და თავის მოძმე ადამიანს ესვრის. ღმერთი არს სიყვარული და არა კაც ჰკლავს პრინციპი ჩვენს მრწამსში უკვე დიდი ხანია სუფევს, და როდესაც ჩვენ ჩვენს მრწამსს მიყვებით, მაშინ ყოველთვის ღმერთიც გვწყალობს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე, 1988-89 წლებში, ეს მოძრაობა უდაოდ ყველაზე ძლიერი იყო, სწორედ იმ ფაქტისა გამო, რომ ჩვენ არაძალადობრივი მეთოდებით ვმოქმედებდით. მას მერე კი, რაც ჩვენ იარაღი ავიღეთ და უაზრო მკვლელობებს მივყავით ხელი, დამცირებისა და დანაკარგის მეტი არაფერი გვინახავს. ეს ჩვენთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს, ამ მაგალითით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენს პირად ცხოვრებაშიაც და ყველანაირად ვეცადოთ, სულიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა კი არ იყოს ჩვენი ბავშვებისათვის მისაბადი გზა, არამედ ის, რომელსაც ქადაგებდა იესო, რომელიც ერთ ლოყაზე დარტყმაზე მეორის შეშვერას ვაჟკაცობის სიმბოლოდ თვლიდა, როგორც ეს რეალურად არის. ფიზიკური დარტყმა და თავდასხმა ყოველთვის სიმხდალის გამოვლინებაა, ძალის წინაშე არაძალადობრივი მოქმედება კი უდიდესი უშიშრობისა და ვაჟკაცობისა, ეს მხოლოდ თეორია როდია. ვარდების რევოლუციამ ეს პრაქტიკაშიც გვანახა. შეუიარაღებელ, მაგრამ სიმართლის ურყევობის რწმენით გამსჭვალულ ადამიანებს კბილებამდე შეიარაღებულმა რაზმებმა ვერაფერი დააკლეს. მაჰათმა განდის დიდებული გამოთქმა „თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ჩემი მკვდარი სხეული, მაგრამ თქვენ არასდროს გექნებათ ჩემი მორჩილება“, პრაქტიკაში განხორციელდა. და ეს ყველა იმ ათასობით ადამიანის დამსახურებაა, ვინც ასე ვაჟკაცურად დადგა სამშობლოსა და სამართლის დასაცავად.

ყოფით კულტურაში ძალადობის წახალისებას კულტურულს ძალადობას უწოდებენ. ეს ჩვენი განათლების სისტემისა და ოჯახური ღირებულებების გადასინჯვის საბაზადაც შეიძლება იქცეს. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ კულტურული ძალადობისაგან, რომლის განხორციელებაში ჩვენი მრწამსი და

ეროვნული ღირებულებები ნამდვილად არ გვიწყობს ხელს. გავიხსენოთ ვაჟას “სტუმარ-მასპინძელი” ან “ალუდა ქეთელაური”, ეს მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები, სადაც პირდაპირი ომი აქვს გამოცხადებული კულტურულს ძალადობას. როდესაც დედა შვილს ასწავლის საზოგადოებაში ცხოვრებას, მან არამც და არამც არ უნდა აიჩიოს ძალადობრივი პასუხის გაცემის გზა. ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზა სწორედ სიყვარულსა და არაძალადობაზე დაფუძნებული პასუხია. „როდესაც დაგარტყამენ, შენ უფრო მაგრა დაარტყი” - ანტიჰუმანური, ანტი-ადამიანური სწავლებაა, რომელიც ყველა დედისათვის, ყველა მშობლისათვის სამარცხვინო უნდა იყოს. ძალადობის წამალი მხოლოდ არაძალადობაა. „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი” - ეს არის ყველაზე თანადროული პასუხი იმ შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვეპყრათ შეცდომაში შესულ ადამიანებს, რომელთაც ყოველი ჩვენგანის მსგავსად გააჩნიათ ის არაჩვეულებრივი ნიჭი, რომ შეძლონ უფლისმიერი სიყვარული. ვარდების რევოლუციას არაჩვეულებრივი პოტენცია გააჩნია, რამეთუ მას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში შეუძლია ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრება, დამკვიდრება სიყვარულზე აღმოცენებული პრინციპისა, რომელიც აღმატებულია სიძულვილზე, შიშზე, სიხარბეზე და ყოველგვარ სხვა მანკიერებაზე. ოღონდ ეს არაძალადობა გააზრებული უნდა იყოს თავისი ყველა განზომილებით და, რაც მთავარია, იმ პრინციპით, რომ არაძალადობას შიშთან არაფერი საერთო არა აქვს და ის არის ყველაზე ურყევი მრწამსი ჭეშმარიტებისა და სამართლისა ამ ქვეყანაზე. თუკი ამქვეყნიური სამართლის ვიწამეთ, მაშინ იმქვეყნიური სამართალიც უფრო ხელმისაწვდომი იქნება.

მეორე სახის ძალადობა, რომელიც აგრეთვე დასაძლევია ჩვენი საზოგადოებისათვის, არის სტრუქტურული ძალადობა. სტრუქტურული ძალადობა პირდაპირ ფიზიკურს ძალადობაზე უფრო საშიში რამ არის. ამ შემთხვევაში ადამიანების ერთი ჯგუფი სტრუქტურას, საზოგადოებრივსა თუ სახელმწიფო სისტემას იყენებს ადამიანთა სხვა ჯგუფების დასაჩაგრად. აქ ლაპარაკია არა მარტო მატერიალურ თუ სოციალურ აღმატებულებაზე, არამედ ისეთ კატეგორიებზეც, როგორცაა პატივისცემა მოყვასისა ჩვენისა და ჩვენი თანაბრობის პრინციპის დარღვევა. უფალმა ყველა თანაბრად გაგვჩინა, თანაბრად და არა ერთნაირად. თანასწორუფლებიანობა სულაც არ გულისხმობს ადამიანების ერთგვარობას. ერთგვარი ადამიანებით შევსებული სამყარო მეტად უინტერესო იქნებოდა არსებობისა და მით უმეტეს ცხოვრებისათვის. ადამიანები ღმერთმა ერთმანეთისაგან განსხვავებულად და ამავე დროს თანასწორუფლებიანად გააჩი-

ნა. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია” - გენიალურად არის ნათქვამი ჩვენს სათაყვანო ლიტერატურულ ნაწარმოებში. ჩვენ თანასწორნი ვართ, მიუხედავად ჩვენი განსხვავებისა ჩვენს ასაკში, ფიზიკურს აღნაგობაში, გონებრივ მონაცემებში, სქესსა თუ წარმომავლობაში. თანასწორუფლებიანობის მანიფესტი გულისხმობს ყველა ამ ნაირფეროვანი ადამიანის პატივისცემას, მათი ადგილის დაფასებას ჩვენს საზოგადოებაში. არავისი აღმატებული ამპარტავნება არ არის მისაღები ცივილიზებული საზოგადოებისათვის. ჩვენ ერთობლივად უნდა დავძლიოთ საკუთარს თავში, როგორც კლასობრივი, ასევე ნაციონალისტური, რელიგიური, კუთხური, გვაროვნული თუ კლანური შოვინიზმი და აღმატებულების ყოველგვარი აღქმა. ჩვენს თანასწორობაშია ჩვენი აღმატებულება. ქართველი ერის სულიერი მისია, სწორედ საერთო ადამიანური ღირებულებების მსოფლიოსათვის ყველაზე თვალნათლივ ჩვენებაშია. ამის შესაძლებლობას ჩვენ ის მოგვცემს, რომ სოციალურად და პოლიტიკურად სამართლიანი სისტემა შევქმნათ, სადაც არ იქნება არც ერთი პრივილეგირებული ჯგუფი, სადაც ყველა ადამიანს ექნება საკუთარი ნიჭის გამოყენების საშუალება და თანაბარი საწყისი შესაძლებლობები. გარანტირებული იქნება ყველა ადამიანის ძირეული უფლება, რომ დაცული იყოს სოციალურად და იურიდიულად. ეს არ არის ადვილი, მაგრამ ეს არ არის შეუძლებელიც. წარმატებული ბიზნესმენები საზოგადოებაში უნდა იყვნენ და სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მათ. მათაც არ უნდა დაავიწყდეთ საკუთარი ვალდებულება მიუსაფართა წინაშე, და პატიოსნად გადაიხადონ ის გადასახადი, რომელიც მართებთ. რა თქმა უნდა, ქველმოქმედების როლიც არ არის მეორადი. ილიას “მეზავრის წერილები” თავისუფლების ჰიმნია, როგორც პიროვნულის, ასევე ეროვნულისა. იმავე ილიას “გლახის ნაამბობი” კი სოლიდარობისა და თანაგრძნობის ჰიმნია. თავადი ილია ჭავჭავაძე იყო ერთდროულად თავისუფლების უბადლო მოძღვრალიც და სოციალური პასუხისმგებლობის მქადაგებელიც.

ქალის დისკრიმინაციაც დიდი პრობლემაა ჩვენს საზოგადოებაში და აქაც ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ გენიალური “ოთარაანთ ქვრივი”. ჩვენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დიდი მაგალითები გვაქვს არა მარტო ჩვენს ხელოვნებაში, არამედ ჩვენს ისტორიაშიაც. თამარ მეფის ხანაში არსებული პოლიტიკური სისტემა ქალის როლის ისეთ გამოყენებას გვთავაზობდა, რასაც იშვიათი ანალოგი აქვს მსოფლიო ისტორიაში. რატომაც არ უნდა მივბადოთ ჩვენს წინაპრებს, და რატომაც არ უნდა გვეამაყებოდეს ჩვენ საკუთარი ისტორია? ამაზე უარყოფითი პასუხის გაცემას დღეს უკვე საფუძველი არ გააჩნია.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირულის სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება”. ნიკოლოზ ბარათაშვილს თამამად შეეძლო დღეს ამ სიტყვების გამოთქმა. ადამიანის ყველაზე რომანტიული მხარე მკვეთრად გამოჩნდა და იმედი ვიქონიოთ კიდევ გამოჩნდება. ის, რომ ადამიანი ღვთის სახედ და სატად გაჩნდა, ბევრად დამაჯერებელია, ვიდრე ის რომ ჩვენ ყველანი სატანის მოციქულები ვართ. და ამ „ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს” რევოლუციურ გარემოში ქართველი კაცის შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქნის ყველა პირობა უნდა შეიქმნას. ჩვენ ამას უთუოდ შევძლებთ. მაშინ, როდესაც დავემორჩილებით ჰუმანურ კანონებს და როცა ქურდობას არ ჩავთვლით საამაყო საქციელად. მე მჯერა, რომ ეს დღე აუცილებლად დადგება. ფრთაგაშლილი არწივი აუცილებლად გადაიფრენს ჩვენს ცაზედ და ყვავ-ყორნებს აღარ ექნებათ საშუალება, რომ საკუთარს ნომენკლატურულ კაბინეტებში ჩაკეტონ ქართველი ერის ოცნება და ლტოლვა სილამაზისაკენ.

ჩვენი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ინდოეთის ელჩი შემხვდა. მე არ გავეუშვი იმის შესაძლებლობა, რომ მაღლობა გადამეხადა ინდოელი ხალხისათვის მაჰათმა განდის გენიალური სწავლების გამო. ელჩმა გააკვირვებელი სახით შემომხედა და თქვა: ის, რასაც ამჟამად თქვენ აკეთებთ, განდის ინდოეთ-მა თავის დროზე ვერ შეძლო. ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ჩვენ გამუდმებული ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით პაკისტანთან, ხოლო თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ შანსი, რომ ბოლომდე მშვიდობიანად გაიტანოთ თქვენი “სატიაგრაჰა“-ო. მართალია - დიდი მაჰათმა ხომ მაშინვე მოკლეს ინდოელმა ნაციონალისტებმა და შემდეგ ნერუსა და ჯალალის წყალობით ინდოელებს შორის ძმათამკვლელი ომი დაიწყო, მხოლოდ იმისა გამო, რომ ერთნი მაჰმადიანნი აღმოჩნდნენ და მეორენი კი ინდუსები. ჩვენ კი გვაქვს შანსი, რომ დიდი მაჰათმას ხედვა მთელს მსოფლიოს დავანახოთ, როგორც ცხოვრებისა და ურთიერთობის ერთადერთი სწორი გზა.

მით უმეტეს, დღევანდელ მსოფლიოში ხომ სულ ადვილია კაცობრიობის სრული სიკვდილი და ამის არდაშვება კი ბევრად უფრო რთული. ამას ყოველ-დღიური შრომა სჭირდება, რომელსაც რუდუნება და სიყვარული ასაზრდოებს.

სიყვარული, რომელიც სიცოცხლის ტოლფასია.





